საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (303)
10 – 16 ივნისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «შესაძლოა, პრემიერის პოსტზეც რესპუბლიკელი ვიხილოთ»

„დღეს ივანიშვილის დისკრედიტაციაც მიმდინარეობს, რადგან ამ ეტაპზე აღარ არის საჭირო ავტორიტეტი, რომელსაც პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ალბათ, მალე გამოიკვეთება, რა თამაში დაიწყება, თუმცა, შესაძლოა, ყოფილი პრემიერის სურვილიც არის, რომ თუნდაც ფორმალური პასუხისმგებლობა ჩამოიცილოს“

4



9



## რომელ აღლუმში მიიღებს მონაწილეობას თქვენი შვილი?



„ჰომოსექსუალიზმი საფრთხეს უქმნის ქართველი ერის გადარჩენასა და განვითარებას, რომელიც ისედაც კატასტროფულ დემოგრაფიულ მდგომარეობაშია — საქართველოს მოსახლეობა 2002-დან 2014 წლამდე 14%-ით შემცირდა და ახლა 3,7 მლნ კაცს შეადგენს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნიდან 700 000-ზე მეტი მოქალაქე გავიდა“.



## «ივანიშვილი მოქმედებდა და მოქმედებს გარე ძალების, კერძოდ, ამერიკელების ინსტრუქციით»

5

10




2

## ირაკლი ღარიბაშვილი მარიხუანის დეკრიმინა-ლიზაციის კატეგორიული წინააღმდეგია

6

## პატრიოტიზმი – მხოლოდ ერთი მიმართულებით!

7

## «საქართველო და მსოფლიოს» გრანტიჭოვია «ლიბერასტები» უტევენ!

### ვინ და რატომ ებრძვის საქართველოში თავისუფალ სიტყვას

12

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

## ისინი, ვის კისერზეც არის აფხაზეთის განდგომა, დღესაც ყელყელაობენ

24

## «თუ ერთად არ დადგა ორი მართლ-მადიდებელი ქვეყანა, საქართველო გაქრება!»

24

## რამდენიმე წინადადება ავტოსაოგოების საკითხის მოსაგვარებლად

26

## ზოგი რამ ჩაის შესახებ

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაერო: საქართველოს მოსახლეობის 7,4 პროცენტი მშიერია



**გამოცემა „ნეშნლ ჯეოგრაფიმ“ გამოაქვეყნა გაეროს ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოს ყველაზე მშიერი ხალხის შესახებ. ყველაზე მშიერ ქვეყნებს შორის საქართველოცაა.** გაეროს მონაცემების მიხედვით, დღეს მსოფლიოში 795 მილიონი ადამიანი იტანჯება საკვების უკმარისობით და, შესაბამისად, ავადმყოფობით. 2014-2016 წლების მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის შიმშილის მაჩვენებელი 7.4%-ია, თუმცა ეს მაჩვენებელი ყოველთვის ამდენი არ იყო. 1990-92 წლებში საქართველოში შიმშილის პროცენტული მაჩვენებელი 56.5%-ს შეადგენდა. ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აფრიკისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებს აქვს. აფრიკაში, საჰარის რაიონში, ყოველი მეოთხე ადამიანია მშიერი, ხოლო სამხრეთ აზიაში 281 მილიონი ადამიანი იტანჯება საკვების უკმარისობით.



ილია მეორე:

## ჩვენი ახალგაზრდები უცხოეთში მოსამსახურეებად მუშაობენ, როდესაც სამშობლოში ჩვენს მიწა-წყალს უცხო ხალხი იკავებს

ჩვენი ახალგაზრდობა უცხოეთში მოსამსახურეებად მუშაობს იმ დროს, როდესაც სამშობლოში უცხო ხალხი შემოდის და ჩვენს მიწა-წყალს იკავებს, — **განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას.**

პატრიარქის თქმით, დღევანდელ საზოგადოებას აღარ უნდა მიწაზე მუშაობა და ეძებს ისეთ სამუშაოს, სადაც ფიზიკური შრომა ნაკლებია.

> **«ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძინოს მიწა, ვინაიდან ის ყველაზე დიდი საუნჯეა. ჩვენი მიწა-წყალი დალოცვილია, ამიტომ ვიფიქროთ ამაზე და შრომას მოვკიდოთ ხელი. ფიზიკური შრომა — ეს არის ლოცვა-კურთხევა ღვთისა. შევთხოვ უფალს, რომ ქართველი ხალხი, რომელიც წასულია უცხოეთში, მალე დაბრუნდეს, დაუბრუნდეს თავის მიწას. ქართული მიწა გადაგვარჩენს!»**

„ქართველი ადამიანი მუდამ ცდილობდა, მოეპოვებინა მიწა, ემუშავა, ეშრომა თავის მიწაზე. დღეს **ქართველი ადამიანი გაურბის მიწაზე მუშაობას, ეძებს ისეთ შემოსავალს, რომლისთვისაც შრომა არ იქნება საჭირო.** ფსალმუნში ვკითხულობთ: „მაუწყე მე უფალო გზაი, რომელსაცა ვიდოდი“. აი, ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ გვაჩვენოს გზა. უფალი ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“. იმის მაგივრად, რომ მივყვეთ უფლის სიტყვებს, ჩვენი ახალგაზრდობა მიდის უცხოეთში და იქ მოსამსახურედ მუშაობს იმ დროს, როდესაც სამშობლოში უცხო ხალხი შემოდის და იკავებს ჩვენს მიწა-წყალს. ამიტომ მოგმართავთ ყველას, იფიქროთ თქვენს თავზე, თქვენს შვილებზე, ჩვენს მომავალზე. ბრძენი ადამიანები ამბობენ, რომ **ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძინოს მიწა, ვინაიდან ის ყველაზე დიდი საუნჯეა. ჩვენი მიწა-წყალი დალოცვილია. ამიტომ ვიფიქროთ ამაზე და შრომას მოვკიდოთ ხელი. ფიზიკური შრომა ეს არის ლოცვა-კურთხევა ღვთისა. შევთხოვ უფალს, რომ ქართველი ხალხი, რომელიც წასულია უცხოეთში, მალე დაბრუნდეს, დაუბრუნდეს თავის მიწას. ქართული მიწა გადაგვარჩენს!“** — ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

მან მრევლს მოუწოდა, მეფუტკრეობის საქმე შეისწავლოს. მისი თქმით, სამების ახალგაზრდულ ცენტრში გახსნილია მეფუტკრეობის სასწავლებელი და ეს არის ყველაზე კეთილშობილი და ყველაზე შემოსავლიანი საქმე ადამიანისთვის.

## ირაკლი ღარიბაშვილი მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კატეგორიული წინააღმდეგია

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მარიხუანის დეკრიმინალიზაციის კატეგორიული წინააღმდეგია. პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ეს იქნება საქართველოს ნარკოპოლიტიკის გადახედვა.**



„მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს და გუნდშიც, ვიცი, რომ ამ საკითხზე საერთო აზრი არ არის. ეს იქნება ჩვენი ნარკოპოლიტიკის გადახედვა, ამიტომ შედეგებს სჭირდება ძალიან კარგი გააზრება. ახალგაზრდები ამ საკითხზე ემოციურად საუბრობენ, მაგრამ ეს არის ძალიან პრინციპული თემა. ჩვენ ვალდებული ვართ, სავალალო შედეგებზე დავფიქრდეთ და გავიაზროთ“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მომავალი თაობისთვის სავალალო შედეგებს მოიტანს.

**„ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შევუქმნათ ახალგაზრდებს ბედნიერი მომავალი. უნდა ვიფიქროთ ჯანსაღი ცხოვრების წესზე და არა მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე, რომელსაც შემდგომ, შესაძლოა, მოჰყვეს მისი ლეგალიზაციის მოთხოვნა და საბოლოოდ მივიღებთ მომავალი თაობებისთვის სავალალო შედეგს. სამწუხაროა, რომ საზოგადოება არ საუბრობს მთის განვითარებაზე, დემოგრაფიის საკითხებზე, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს; საუბრობენ იმაზე, რომ თავისუფლად მოსწიონ ქუჩებში მარიხუანა. ვისაც სურს, თუ ასე ძალიან უნდათ, ეს მოუწოდონ თავიანთ შვილებს“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ მარიხუანის პირველ მოხმარებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული და ამ შემთხვევაში კანონმდებლობა პირისთვის 500-ლარიანი ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს.

სულხან მოლაშვილი — მიხეილ სააკაშვილს:

## ვის წარსულს, ვის სოფელს მიმოიკითხავ, შე ქვეყნის პირველო გამყიდველო!

**კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუზე ისაუბრა.**



„სერიოზულად დამაფიქრა იმ ინტერვიუმ, რომელიც სააკაშვილმა იკადრა. გუშინდელი დღე გავიდა, დღევანდელი იწურება და უმრავლესობიდან კაციშვილი ხმას არ იღებს. ის ხალხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წყალობით დღეს პოლიტიკურ სარბიელზეა, ხმას არ იღებს და გატრუნულია. ეტყობა, გაუტკბათ კარგი ცხოვრება და, რომ დასჭირდეთ, ალბათ, ამ კაცს ისე გაყიდიან, როგორც არაფერი. არ ვიცი, როგორ ბედავს სააკაშვილი თავისი დაბოლმილი, კოკაინით, კორუფციითა და ათასი ილუზიით გათანგული აზროვნებით კიდევ ასე რომ ლაპარაკობს; კიდევ ისმის მისგან ჭორვილის პროვინციალიზმზე საუბრები. რა იცის სააკაშვილმა ჭორვილა და მისი მნიშვნელობა?!

რა იცის, რა დიდი ცივილიზაცია იყო ამ ტერიტორიზე?! ვის ეძახის და რატომ ეძახის სააკაშვილი ასე?! რა უფლებით არის აღჭურვილი, მაშინ, როდესაც მისი ჯიში არ ვიცით. გასაგებია, რომ დედა მეგრელი ჰყავს, მაგრამ გაგვაგებინოს, მამა სადაურია. საქართველოში სომხობა სირცხვილი არ არის. თუ სომეხი ხარ და მალავ, ვაი შენს კაცობას, სააკაშვილო! თუ არა ხარ და ასე გყავს მივიწყებული ჯიში და ჯილაგი მამის მხრიდან, აფერუმ შენს ღირსებებსა და შეხედულებებს. ვის წარსულს, ვის სოფელს მიმოიკითხავ შენ და პროვინციელს ეძახი, შე ქვეყნის პირველო გამყიდველო, რომელმაც შენი ავადმყოფური ლტოლვის გამო ქვეყნის 20 პროცენტი დაკარგე. როდესაც აგვისტოს მცხუნვარე მზეზე დალუპული ბიჭების გვამები იხრწნებოდა, ნახევარი თბილისი რატომ აცეკვე და ამღერე?! ეს არ არის სისხლის სამართლის დანაშაული?! როგორ შეიძლება, შენ ერი გიყვარდეს, როდესაც 300 000 პრობაციონერი გყავდა? ვერ ჩამოხვალ, მიხეილ სააკაშვილო, და აღარ გავა შენი „კმარა“! საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იარაღს ავიღებთ ხელში, ფეხი რომ არ დაადგა ქართულ მიწას. ესაა ზუსტად ქართველი მოქალაქეების აზრი!“ — განაცხადა სულხან მოლაშვილმა.



ბიძინა ივანიშვილი:

## სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა მთხოვა, გიორგი ქადაგიძე არ დაეკავებინათ

**საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრის — ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა სთხოვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე არ დაეკავებინათ და ეს თხოვნა გაითვალისწინა.**

„ქართუ ბანკის“ საკითხი პირადი იყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმაც იცოდნენ, რომ მან კანონი დაარღვია, ის კი არ უთქვამთ, დასაჭერი არ არისო. ჩვენ ვიცით, რომ ის დასაჭერია, მაგრამ იქნებ აპატიოთო. მეც ვუთხარი, რომ, რაც პირადულია, შემიძლია, გავაკეთო და პროკურატურაში განცხადების მსვლელობა შევაჩერე, რაზეც ჯავახიშვილი ძალიან განაწყენდა, მაგრამ ვინც მთხოვა, იმასაც და თვითონ გიორგი ქადაგიძესაც განვუმარტე, რომ სახელმწიფოს წინაშე თუ აქვს დარღვევა ჩადენილი, ხელს ვერ დავაფარებდი“, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მთავარი პროკურორის მოადგილის, ირაკლი შოთაძის, განცხადებას გიორგი ქადაგიძის შესაძლო დაკითხვაზე, ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ, როგორც ჩანს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს დარღვევები კიდევ აქვს, მაგრამ ამას დამტკიცება უნდა.



რუსეთის საგარეო უწყება:

## საქართველოსა და რუსეთს შორის კავშირების ნორმალიზებისთვის შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს

**რუსეთის საგარეო უწყების მიერ გამოქვეყნებულ 2014 წლის მუშაობის შემაჯამებელ ანგარიშში საქართველოსთან ურთიერთობის შემაფერხებელ ფაქტორებზეც არის ლაპარაკი.**

**„საქართველოსთან დიპლომატიური კავშირების ნაკლებობა, ოფიციალური თბილისის არასაკმარისი სურვილი, უარი თქვას სოხუმისა და ცხინვალისთვის „ოკუპირებული ტერიტორიების“ სტატუსზე, აგრეთვე, ქვეყნის კურსი ევროკავშირსა და ნატოში მაქსიმალური ინტეგრაციისთვის, დარჩება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების შემაფერხებელ ფაქტორებად“,** — აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების ანგარიშში.



## აშშ იყენებს მზვერავ თვითმფრინავებს, რომლებსაც ტელეფონებიდან მონაცემების მოპოვება შეუძლია

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 3 ივნისს ხელი მოაწერა აქტს თავისუფლების შესახებ, რომელიც სპეცსამსახურებს უნარჩუნებს უფლებას, შეაგროვონ ინფორმაცია მოქალაქეებზე, თუმცა აწესებს რამდენიმე შეზღუდვას.** ამიერიდან აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ამერიკელთა პერსონალური ინფორმაციის მოპოვება კავშირგაბმულობის ოპერატორებისგან შეეძლებათ, ოღონდ სასამართლოს ნებართვით. თუმცა ცოტა ხნის წინათ ცნობილი შეიქნა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო მობილური ტელეფონების მისაყურადებლად ვიდეოკამერებითა და სათვალთვალო საშუალებებით აღჭურვილ 50-მდე თვითმფრინავს იყენებს. ამასთანავე, ეს უწყება, როგორც წესი, არ ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას ასეთი ტექნიკის გამოყენების თაობაზე. აშშ-ის დაზვერვა თვალყურს ადევნებს თავისი მოქალაქეების არა მხოლოდ ტელეფონებს, არამედ ფულსაც.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ესპანური გამოცემა: LA VANGUARDIA
# აშშ ცეცხლს ეთამაშება!

**რუსეთისა და ჩინეთის საზღვარზე სერიოზული სამხედრო დაპირისპირების პროვოცირებით აშშ ცეცხლს ეთამაშება, არც უკრაინა და არც სამხრეთ ჩინეთის ზღვა ამერიკის „უკანა ეზო“ არ არის, — წერს ესპანური გამოცემა La Vanguardia.**




„მოსკოვისა და პეკინის მცდელობას, საერთაშორისო არენაზე ურთიერთობა აზრთა პლურალიზმითა და კონსენსუსით ააგონ, ვაშინგტონი აღიქვამს მუქარად, რომელიც უნდა ჩაახშოს. აშშ-ს დღემდე ვერ გაუთვითცნობიერებია, რომ ბიპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა ცივი ომის შეწყვეტის შემდეგ დასრულდა და მისი მცდელობა, შეექმნა ერთპოლუსიანი მსოფლიო, ასევე წარუმატებლად დამთავრდა. ვაშინგტონი განაგრძობს იმ სამხედრო ავანტიურებში ჩართვას, რომლებიც საერთაშორისო ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს. ამჟამად **ვაშინგტონის მიზანი ატომური არსენალის მქონე ორი ისეთი სახელმწიფოს განვითარების შეჩერებაა, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი. აშშ-მა რუსეთის შესაჩერებლად უკრაინაში კრიზისი შექმნა.** მოსკოვის წინააღმდეგ გაჩაღდა სანქციებისა და საინფორმაციო კამპანია, რუსეთის საზღვრებთან რეგულარულად იმართება ნატოს სამხედრო სწავლებები, ჩინეთს კი უწევს „აზიისკენ ამერიკის შემობრუნების“, აგრეთვე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რეგიონის გასაკონტროლებლად მიმართული ამერიკული სამხედრო ბაზების მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთანავე, არც ჩინეთი და არც რუსეთი არ შეჭრილან მექსიკის ყურეში და აშშ-ის ნაპირებთან არ მართავენ სამხედრო სწავლებებს. დროა, ვაშინგტონმა შეიგნოს, რომ რუსეთი და ჩინეთი არ დაექვემდებარებიან ამერიკულ გავლენას და არ დათანხმდებიან „ვასალის სტატუსს“, რომელიც მათ მოუმზადა აშშ-მა და რომელიც უკვე შესთავაზეს ევროპას, კანადას, ავსტრალიასა და იაპონიას. და, თუ ევროპის ქვეყნები შეასრულებენ ვაშინგტონის მითითებებს და უარს იტყვიან საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოებაზე, მსოფლიოს ატომური ომის საფრთხე დაემუქრება“, — წერს La Vanguardia.

**«დროა, ვაშინგტონმა შეიგნოს, რომ რუსეთი და ჩინეთი არ დაექვემდებარებიან ამერიკულ გავლენას და არ დათანხმდებიან «ვასალის სტატუსს», რომელიც მათ მოუმზადა აშშ-მა და რომელიც უკვე შესთავაზეს ევროპას, კანადას, ავსტრალიასა და იაპონიას. და, თუ ევროპის ქვეყნები შეასრულებენ ვაშინგტონის მითითებებს და უარს იტყვიან საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოებაზე, მსოფლიოს ატომური ომის საფრთხე დაემუქრება»**



## პოლ კრეიგ რობერტსი:
# უკრაინელები სასაფლაოსკენ მიემართებიან!

**„ამ მომენტში ევროპა და აშშ მხარს უჭერენ არა უკრაინის აყვავებას, არამედ მის მტანჯველ აგონიას, უკრაინა კი „ახალი ხელისუფლების“ საფასურს ათასობით ადამიანის სიკვდილითა და ეროვნული ერთიანობას გახლეჩით იხდის“, — წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და ეკონომისტი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრის თანაშემწე პოლ კრეიგ რობერტსი.**

**„ისევე, როგორც სხვა ქვეყნების, რომლებსაც აშშ-ის მსახვრალი ხელი შეეხო, უკრაინის მომავალიც სამწუხარო იქნება. ქვეყანას ელოდება სრული დაცემა, მოსახლეობას კი — დაუნდობელი ექსპლუატაცია დასავლეთისგან.** უკვე ამჟამად უკრაინამ განუზომლად დიდი საფასური გადაიხადა „ევროპულ მომავალში“. ქვეყანაში სამოქალაქო ომია გაჩაღებული, იღუპებიან ადამიანები, ინგრევა ქალაქები. უკრაინას აღარ აქვს ეკონომიკის აყვავების ერთადერთი საშუალება: დაკარგა სანდო პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორი რუსეთის ფედერაციის სახით.

უკრაინის მოსახლეობა სასაფლაოსკენ მიემართება. ამ მიამიტ ადამიანებს ნუთუ კიდევ სჯერათ ვაშინგტონის მიერ მაიდანზე ორგანიზებული რევოლუციის?“ — სვამს კითხვას პოლ კრეიგ რობერტსი.

# საბავშვო ლიტერატურა ტრანსსექსუალების შესახებ ამერიკელ მკითხველს იპყრობს

**ამერიკელ საზოგადოებაში ტრანსსექსუალების პრობლემებზე მსჯელობა მთავარი ტენდენცია გახდა და ამ საკითხებს სულ უფრო მეტი წიგნი ეძღვნება, — წერს The New York Yimes-ი.**




„ჩემი მიზანი იყო, დამეწერა ისტორიები, რომლებიც დამეხმარებოდა, ამ ასაკში თავი მარტოსულად არ მეგრძნო“, — ყვება 43 წლის სემ მარტინი, რომლის ნახევრად ავტობიოგრაფიული ისტორია შეავსებს ბავშვთა წიგნების კოლექციას ტრანსსექსუალების შესახებ. მარტინმა ქალიდან მამაკაცისკენ ტრანსფორმაცია დაიწყო მას შემდეგ, როცა 20 წლის წინათ წაიკითხა ფოტოგრაფიებით ილუსტრირებული წიგნები იმ ქალების შესახებ, რომლებიც მამაკაცებად „გადაკეთდნენ“.

წიგნებში შესულია არა მხოლოდ მემუარული ხასიათის ნაწარმოებები, არამედ სამეცნიერო ფანტასტიკა და რომანებიც მოზარდი მკითხველისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნების უმრავლესობას ბეჭდავს გამომცემლობები, რომელთა ყურადღების ცენტრში გეები, ლესბოსელები არიან, ბავშვებისთვის ტრანსსექსუალების შესახებ წიგნებს, აგრეთვე, გამოუშვებს კომპანია „დისნეის“ ქვეგანყოფილება და Scholastic Corporation-ი, რომლებიც სასწავლო ლიტერატურას ბეჭდავენ მასწავლებლებისთვის, მშობლებისა და ბავშვებისთვის.

„რადგან ჩვენი კულტურა იწყებს ტრანსგენდერული ადამიანების აღიარებას, ჩვენი ლიტერატურაც ასახავს ამას“, — განაცხადა ინტერვიუში Scholastic Corporation-ის წარმომადგენელმა.

მაგრამ ამით კმაყოფილი ყველა როდია. ერთ-ერთ მიმოხილვაში წიგნისა „მე — ჯაზი“, რომელიც განკუთვნილია 4-დან 8 წლამდე აუდიტორისთვის, აღნიშნულია, რომ წიგნში **„შეუსაბამო მასალაა ახალგაზრდა მკითხველისთვის“.** სხვა რეცენზენტი წერს, რომ **„ჩვენ არ უნდა გავაცნოთ ბავშვებს ცნება „ტრანსსექსუალიზმი“.**

Scholastic Corporation-ის წიგნს „ჯორჯის“, რომლის გამოცემაც იგეგმება, ზოგიერთი მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის წინააღმდეგობა შეხვდა. მათი აზრით, მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეები მოუმზადებლები არიან ტრანსსექსუალებზე მსჯელობისთვის. პასუხად გამომცემლობამ წიგნის ტირაჟი 35-დან 50 ათას ეგზემპლარამდე გაზარდა.

## ბრაიან მაკდონალდი:
# G7 ამერიკულ სალაყბოდ იქცა!

**ირლანდიელი ჟურნალისტი ბრაიან მაკდონალდი წერს, რომ G7-ის სამიტი შეიძლებოდა ყოფილიყო მსოფლიოს წესრიგზე მსჯელობის მოედანი, მაგრამ ამერიკულ სალაყბოდ იქცა, სადაც არც ერთი „მეგობარი ქვეყნის“ აზრს არ ითვალისწინებს.**



„G7-ის წევრობა მთლიანი შიგა პროდუქტის გათვალისწინებით რომ მოხდეს, მაშინ მისი შემადგენლობა იქნებოდა ასეთი: აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, რუსეთი, გერმანია და ბრაზილია. აი, ამ შემადგენლობას კი მართლა დიდი გავლენა ექნებოდა. ამ ქვეყნების ხელში იქნებოდა მსოფლიოს მშპ-ს 53%, გარდა ამისა, სამიტზე წარმოდგენილი იქნებოდა სამი ზესახელმწიფო სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით. რეალური G7-ის სამიტის ნაცვლად კი ვუყურებთ ფარსს. **ეს არის სალაყბო, სადაც აშშ დომინირებს და სადაც აშშ-ის პრეზიდენტი ორი დღის განმავლობაში უფლებას აძლევს „მეგობარი“ ქვეყნების ლიდერებს, მუცელზე ხელი მოუთათუნონ. იქ არ არის სხვაგვარად მოაზროვნეთა ადგილი.**

ვაშინგტონის დომინირებაში ეჭვი არავის შეაქვს და ყველა მხიარულადაა. დღეს G7-ის წევრები არიან სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკაც კრახის პირასაა, მაგალთად, კანადა და იტალია. კანადის მშპ ოდნავ აღემატება ისეთი ქვეყნების მშპ-ს, როგორებიცაა ესპანეთი, მექსიკა და ინდონეზია“, — წერს ბრაიან მაკდონალდი.

**7-3 ივნისს ელმაუს სასახლეში (ბავარია, გერმანია) გაიმართა 7 სახელმწიფოს (G7) — გერმანიის, აშშ-ის, კანადის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და დიდი ბრიტანეთის — ლიდერთა შეხვედრა. რუსეთს, რომელიც G7-ში 1998 წელს მიიღეს, 2014 წლიდან სამიტებში მონაწილეობაზე უარი განუცხადეს.**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ ხდება „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის, გაძლიერება — არც სტრუქტურულად და არც პერსონალიებით. კოალიციის ძირითად ძალად რესპუბლიკელები რჩებიან, რომლებიც დღეს ერთადერთ დასავლური ტიპის პარტიას წარმოადგენენ. არჩევნების შემდეგ იგი სტრუქტურულადაც გაძლიერდა და სწორედ მისი წარმომადგენლები არიან საკვანძო პოსტებზე... მათ აქვთ გამართული წესდება და პროგრამა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელები მოსახლეობას მაინცდამაინც არ უყვარს და ივანიშვილის გარეშე ისინი ხელისუფლებაში ვერ მოხვდებოდნენ“.**

## თამარ კიკნაძე:

# შესაძლოა, პრემიერის პოსტზეც რესპუბლიკელი ვიხილოთ



# «ნაციონალებიდან» წასულებს ხელისუფლებაში უნდა ველოდოთ»

**„რატომ მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში?“ — ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (№20. 3-9 ივნისი) ვრცელი მასალა, რომელშიც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, ყველა მათგანი თვლის, რომ ივანიშვილმა ამერიკის დაკვეთა შეასრულა...**

ყოფილმა პრემიერმა და აწ უკვე მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის თხოვნით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ირაკლი ქადაგიძეს ყველაფერი აპატია, ქადაგიძეს, რომელსაც ეროვნული ვალუტის განადგურებაში სდებენ ბრალს ქართველი ეკონომისტები. ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა აზიმ სადიკოვმა ასეთი განმარტება გააკეთა: „საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დაადასტურა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისადმი ერთგულება. ყოველივე ამან განაპირობა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკური დახმარების პროგრამებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვერ მიიღებს მხედველობაში ინდივიდების მართლმსაჯულებასა და კანონთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან ეს არ არის მისიის მანდატი“.

როგორც ჩანს, სადიკოვმა პირად საუბარში „სხვათა შორის“ სთხოვა ივანიშვილს, ეპატიებინა ქადაგიძისთვის და „მოქალაქემაც“ მყისვე აპატია.

ამ „მიტევების დღეს“ უსწრებდა ნორლანდისა და ივანიშვილის „ყავა-ფართი“, რომელზეც თინა ხიდაშელის გამინისტრებაც ისევ „სხვათა შორის“ დაიგეგმა...

რამდენიმე დღის წინათ, როგორც იქნა, შეიკრიბა „ქართული ოცნება“ ივანიშვილის თანხლებით და საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზე ისაუბრეს, თუმცა ის, რაზეც ისაუბრეს, 2020 წლის არჩევნებზე უნდა „აგვიხდეს“. 2016 წლის არჩევნები კი ძველი კანონმდებლობით ჩატარდება, ამაზე ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა: „როგორც ჩვენთვის ცნობილია, უკანასკნელ დღეებში იქნა მიღწეული გარკვეული პროგრესი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემის სრულყოფილებას და შემდგომ პროგრესს გამოიწვევს. ამით ასევე იქნება პროპორციული წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი. ჩვენ მივესალმებით პროგრესს, ვაკვირდებით მიმდინარე პროცესს და მივიჩნევთ, რომ საქართველო დგამს ნაბიჯებს დემოკრატიის მეტი სრულყოფისკენ“.

ქვეყნის პირველ მოქალაქეს თავისი სიმშვიდისთვის ბოლო რამდენიმე სვლა აქვს გასაკეთებელიო, — ამბობენ პოლიტოლოგები და ვარაუდობენ, რომ პრემიერ ღარიბაშვილს ჩაანაცვლებენ რომელიმე რესპუბლიკელით, თუნდაც უსუფაშვილით, ხოლო უსუფაშვილის ადგილი ისევ რომელიმე რესპუბლიკელით შეივსება...

„სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ უნდა დავადასტურო, რომ ის პროგნოზები, რომლებიც მქონდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებასა და უვიზო რეჟიმის მიმართ, გამართლდა. ნათლად ჩანს საგარეო პოლიტიკის აბსოლუტური კრახი. ჩვენ ვერ შევძელით ბოლო 2 წელიწადნახევრის განმავლობაში არათუ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, არამედ უკან დავიხიეთ იმ მიმართულებით, რასაც დასავლეთთან თანამშრომლობა ჰქვია,“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. სულ ტყუილად წუხს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, როდესაც საგარეო პოლიტიკის კრახზე საუბრობს, რადგან, როგორც ჩანს, ყველაფერი გათვლილი და განსაზღვრულია.

„საქართველოში სიტუაცია მკაცრად კონტროლდება“, — ამბობს პროფესორი **თამარ კიკნაძე**, რომელსაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ვესაუბრეთ.

**— ქალბატონო თამარ, ფაქტია, რომ დასავლეთმა, კერძოდ, ამერიკამ სააკაშვილი მოიშორა. რა გახდა ამის მიზეზი — ის, რომ აქ უკვე ისეთი სერიოზული დასაყრდენი ძალა ჰყავთ, რომ სააკაშვილი საჭირო აღარ არის?**

— ჩემი აზრით, **სააკაშვილს კიდევ აქვს ფუნქცია და ეს ფუნქცია მას არა მარტო აშშ-ის გარკვეულმა ძალებმა დააკისრეს, არამედ რუსებმაც.** მოგეხსენებათ, ოდესა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქია და რუსეთს აკავშირებს დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკასთან. საჰაერო კავშირი კიევიდან რუსებისთვის დახურულია და, საერთოდ, ოდესას რუსები პოტიომკინის დაარსებულ რუსულ ქალაქად აღიქვამენ, ამიტომ აქ სიტუაციის გართულებას უნდა ველოდოთ, შესაბამისად, შედეგიც უკრაინისთვის ძალიან მძიმე იქნება.

**— ივანიშვილმა ამერიკელების უკვე რამდენიმე დავალება შეასრულა: პირველი — ხიდაშელის გამინისტრება, მეორე — ეროვნული ბანკის პრეზიდენტისთვის ყველაფრის მიტევება. როგორ ფიქრობთ, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? ჩაანაცვლებენ თუ არა ღარიბაშვილს, მაგალითად, უსუფაშვილით და შემდეგ უკვე უსუფაშვილის ადგილს დაიკავებს თუ არა ისევ რესპუბლიკელი?**

— დღეს გამორიცხული არაფერია. ფაქტია: **არ ხდება „ქართული ოცნების“, როგორც პარტიის, გაძლიერება — არც სტრუქტურულად და არც პერსონალიებით. კოალიციის ძირითად ძალად რესპუბლიკელები რჩებიან, რომლებიც დღეს ერთადერთ დასავლური ტიპის პარტიას წარმოადგენენ. არჩევნების შემდეგ იგი სტრუქტურულადაც გაძლიერდა და სწორედ მისი წარმომადგენლები არიან საკვანძო პოსტებზე. ეს ერთადერთი პარტიაა, თუ არ ჩავთვლით „ნაციონალურ მოძრაობას“, სადაც, დასავლეთის ქვეყნების პარტიების მსგავსად, ხდება თაომჯდომარის როტაცია. მათ აქვთ გამართული წესდება და პროგრამა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელები მოსახლეობას მაინცდამაინც არ უყვარს და ივანიშვილის გარეშე ისინი ხელისუფლებაში ვერ მოხვდებოდნენ.** როგორც წინა ინტერვიუებში აღვნიშნავდი, ხელისუფლებაში რესპუბლიკელების მოსვლა კარგად დაგეგმილი ტექნოლოგიების შედეგი იყო, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ **გამორიცხული არაფერია და შესაძლოა, რესპუბლიკელები უფრო დიდ პოსტებზეც ვიხილოთ, მათ შორის, პრემიერის პოსტზე.**

უარყოფითად ვუყურებ იმ მილიტარისტულ რიტორიკას, რომელიც დღეს გაისმის, რადგან ამ რიტორიკამ შეიძლება, მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს.

**— თუ ეს სცენარი განვითარდა, ივანიშვილი, ყველას წინაშე ვალმოხდილი, ალბათ, მშვიდად დაჯდება სახლში...**

— დღეს უკვე გვესმის, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში თავისი ნებით არ მოსულა. ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც მიშას მოშორების უნარი შესწევდა... ხალხი გაწბილებული და იმედგაცრუებული დარჩა იმის გამო, რომ ახალმა ხელისუფლებამ სისტემური ცვლილებები და სამართლიანობის აღდგენა ვერ მოახერხა; ჩემი აზრით, **ქართული საზოგადოების დაკვეთის შესრულება ივანიშვილის შესაძლებლობებს აღემატება.**

**საქართველოში სიტუაცია მკაცრად კონტროლდება. მას აკონტროლებენ სხვადასხვა გავლენის აგენტები – პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, საგანმანათლებლო დაწესებულებები, რელიგიური ჯგუფები.** გახსოვთ, ივანიშვილმა რამდენიმეჯერ მკვეთრი განცხადებები გააკეთა არასამთავრობოების მისამართით, რაც სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ, ალბათ, ისიც გახსოვთ, რა რეაქციაც მოჰყვა ამ ამბავს და ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა.

**დღეს თვითონ ივანიშვილის დისკრედიტაციაც მიმდინარეობს, რადგან ამ ეტაპზე აღარ არის საჭირო ავტორიტეტი, რომელსაც პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა შეუძლია.** ამიტომ მალე, ალბათ, გამოიკვეთება, რა თამაში დაიწყება, თუმცა შესაძლოა, ყოფილი პრემიერის სურვილიც არის, რომ თუნდაც ფორმალური პასუხისმგებლობა ჩამოიცილოს.

**«დღეს ივანიშვილის დისკრედიტაციაც მიმდინარეობს, რადგან ამ ეტაპზე აღარ არის საჭირო ავტორიტეტი, რომელსაც პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ალბათ, მალე გამოიკვეთება, რა თამაში დაიწყება, თუმცა, შესაძლოა, ყოფილი პრემიერის სურვილიც არის, რომ თუნდაც ფორმალური პასუხისმგებლობა ჩამოიცილოს»**

**— საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფლებამ ოპოზიციასთან საუბარი დაიწყო და ამ სისტემის ნაწილობრივ გაუმჯობესებაზე შეთანხმდნენ. ოღონდ ეს ყველაფერი 2020 წლისთვის დაიგეგმა. რას ნიშნავს ეს — 2016 წლის არჩევნებს გააყალბებენ? წელიწად-ნახევარში ყველაფრის მოსწრება შეიძლებოდა, მაგრამ კანონს არ ცვლიან.**

— გასაგებია, რომ **ხელისუფლება შეეცდება, თავისთვის მაქსიმალურად მომგებიანი პირობები შეიქმნას და ერთ-ერთი პირობა სწორედ საარჩევნო კანონია. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაში მოსვლამდე ყველა ძალა საარჩევნო კანონის შეცვლასა და დახვეწაზე ლაპარაკობს, მაგრამ შემდეგ ავიწყდება.** საერთოდ, ძალიან ბევრი ხარვეზი გვაქვს კონსტიტუციაში, საარჩევნო კანონში და სხვ. ვიდრე კანონები ცალკეულ პიროვნებებს კი არა, ქვეყანას არ მოერგება, არაფერი გამოვა. ამასთანავე, გარდა კანონებისა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სულისკვეთებას, რომელიც საზოგადოებაში სუფევს. არსებობს ფორმალური და მორალური ლეგიტიმაცია. **ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიქმნას ისეთი მორალური კლიმატი, რომ გამყალბებელს საზოგადოების რისხვა დაატყდეს თავს და მან ვერ გაბედოს გაყალბება.**

ჩვენს კანონმდებლობაში უნდა გასწორდეს კაზუსები. დაუშვებელია, 5 და 165 ათას ამომრჩეველზე ერთი მანდატი იყოს. ალბათ, შერეული სისტემაც უნდა შეიცვალოს, მაგრამ გაყალბების შესაძლებლობა პროპორციულ სისტემაშიც არის. დღემდე არ არის ზუსტი საარჩევნო სიები. ამ სიების დაზუსტება რთული საქმე არ არის, მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ ძალს არ ჰქონდა ამის პოლიტიკური ნება და გამოყოფილმა თანხებმა და კომისიებმა სასურველი შედეგი არ მოიტანეს. ლაპარაკი უნდა იყოს გამართულ კანონმდებლობასა და პატიოსან არჩევნებზე, დაზუსტებულ საარჩევნო სიებზე.

**— რატომ გვეუბნებიან ხელისუფლების წარმომადგენლები და ივანიშვილიც, რომ სააკაშვილი წარსულის გადმონაშთია და უნდა დავივიწყოთ?**

— ასეთია დასავლეთის დაკვეთა. ისეთ პატარა ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, ელიტა გარეშე ძალების ზემოქმედებით ყალიბდება და დღეს საქართველოს ელიტა, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, მკვეთრად პროდასავლურია, ამიტომ ხშირად ის დასავლეთის ინტერესებს უფრო ატარებს, ვიდრე საქართველოსას. სააკაშვილი გლობალური მოთამაშეა და უკრაინაში მას გარკვეული ამოცანა დააკისრეს, რაც, არა მგონია, უკრაინელი ხალხისთვის სასიკეთო იყოს.

**— უნდა ველოდოთ თუ არა, მომავალში „ნაციონალებიდან“ წასულებს ხელისუფლებაში?**

— **„ნაციონალებიდან“ წასულებს ხელისუფლებაში უნდა ველოდოთ.** საქართველოში რთული პოლიტიკური ლანდშაფტია და ჩვენი ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია სხვადასხვა უცხოური ძალის დასაყრდენი და ინტერესების გამტარებელია. სწორედ ამან მიგვიყვანა ასეთ მძიმე შედეგებამდე. ეს იყო ირონია და დაცინვა, სააკაშვილის ძალას ნაციონალური რომ დაერქვა. მსგავსი ანტიეროვნული ძალა, ალბათ, არ მოიძებნება. ამ ძალამ კარგად გაატარა ანტიქართული პოლიტიკა და, შესაბამისად, კარგად დაფინანსებული და გაპიარებული იყო, ამიტომ მხარდაჭერა დღესაც ექნება. შეეცდებიან, იმ ადამიანების ხელისუფლებაში მოყვანას, რომლებიც შედარებით ნაკლებად დისკრედიტებულნი არიან.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ქვეყანა, ფაქტობრივად, გადაქცეულია ამერიკის საპოლიციო უბნად. ამას უკვე საპარტნიორო ტერიტორიულ წარმონაქმნსაც ვერ დავარქმევთ, ისეთი კოლონიალისტურია ამერიკელთა დამოკიდებულება ჩვენდამი. ამის ნათელი მაგალითი კი იყო თუნდაც ამერიკის ელჩის, ბატონი ნორლანდის შეხვედრა ივანიშვილთან, რომლის შემდეგაც ირაკლი ღარიბაშვილს მისთვის ყველაზე არასასურველი და თავისი ენითა და პირით ნაგინები პოლიტიკური ფიგურის გამწესება მოუწია საკვანძო პოსტზე“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ივანიშვილი მოქმედებდა და მოქმედებს გარე ძალების, კერძოდ, ამერიკელების ინსტრუქციით



**ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ყოფილი დეპუტატი, დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: დღეს ხელისუფლების სათავეში, ფაქტობრივად, გვყავს «ნაცმოძრაობა 2»



**— ბატონო დიმიტრი, წინა კვირას, 2 ივნისს, მთავრობის კანცელარიასთან მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით გამართულ აქციას პოლიტიკოსები და უფლებადამცველები სხვადასხვაგვარად აფასებენ. ბევრი ფიქრობს, რომ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება სისხლის სამართლის კოდექსით არ უნდა ისჯებოდეს, ბევრი კი ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებაზე საუბრობს. თქვენ რა აზრის ხართ?**

— 2 ივნისის აქციის პათოსი საერთოდ სცდება სამართლებრივ წარმოდგენას ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციასა და მოხმარების კანონზომიერებაზე, რაც რეგულირებული უნდა იქნას დიფერენცირებულად. **იმ აქციაზე თითქოსდა საუბარი იყო ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციაზე, მაგრამ სინამდვილეში იგულისხმებოდა ლეგალიზაცია. მეტიც, ამ აქციას არავითარი კავშირი არ აქვს დეკრიმინალიზაციისა თუ ახალი რეგულაციების შემოღებასთან, ვინაიდან საერთოდ არ უხსენებიათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი, რომელიც ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ნარკოტიკის განმეორებით მოხმარების შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს.**

რაც შეეხება აქციას, რომელიც ასევე სცილდებოდა ყოველგვარ ნორმას და იყო აღვირახსნილობა, იქ ძალიან ბევრი საეჭვო რეპუტაციის ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ე.წ. ქლაბერებიც, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ ისეთ საშიშ ნივთიერებებს, როგორებიცაა ამფიტამინები და მეტაამფიტამინები. **ისინი მოურიდებლად ეწეოდნენ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პროპაგანდას. სამწუხაროა, რომ ჩვენი პოლიცია ამაზე დუმს და, ფაქტობრივად, ართუ ვერ ახდენს ამ დანაშაულებრივ ფაქტებზე სათანადო რეაგირებას, მეტიც, მათ გამორჩათ ის ამაზრზენი ფაქტი, რომ აქციაზე მიიყვანეს მცირეწლოვანი ბავშვები და ამ ბავშვებს მათი გაბრუებული მამები თუ ნათესავები იმ გაბუღულ გარემოში დაატარებდნენ. ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც გულისხმობს მცირეწლოვნის ჩაბმას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.** ამ დანაშაულის გამო ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში სასჯელი არის საკმაოდ მძიმე და ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ამ დანაშაულს ჩაიდენს, ისჯება სრული სიმკაცრით...

**— ისე, მსგავსი აქცია წინა ხელისუფლების დროს რომ ჩატარებულიყო, ათიდან, სულ ცოტა, სამი-ოთხი „დემონსტრანტი“, ალბათ, ციხეში მოხვდებოდა. ბევრს, ალბათ, ნარკოტიკი ჰქონდა მიღებული. როგორ ფიქრობთ, რამ შეუშალა ხელი პოლიციას, რომ ადეკვატურად ემოქმედა?**

— ეს იყო აბსოლუტური არაკომპეტენტურობისა და უპასუხისმგებლობის ბრალი. სხვანაირად ამას ვერ ავხსნი, იმიტომ, რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **რაც იქ მოხდა, ეს იყო გამოხატვის თავისუფლებით შენიღბული ანტისაზოგადოებრივი მოქმედება, რომელშიც მონაწილეობა მიაღებინეს მცირეწლოვანებს.**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს აქცია გარკვეულ პროვოკაციასაც ემსახურებოდა, რათა მომხდარიყო ძალადობის პროვოცირება და მერე ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი მისცემოდა?**

— ფაქტია, მათ გადააბიჯეს კანონის ზღვარს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ სამართალდამცავები გამოეწვიათ. ცხადია, ისინი უნდა დაეკავებინათ, მაგრამ **ხელისუფლება, როგორც ჩანს, გარკვეულწილად დაკომპლექსდა და მიიღო გადაწყვეტილება, პროვოკაციას არ აჰყოლოდა.** ვფიქრობ, **ამით ხელისუფლებამ ძალიან დააშავა, იმიტომ, რომ მან უფრო მნიშვნელოვანი ღირებულების დაცვაზე განაცხადა უარი, ვიდრე ე.წ. ნეოლიბერალების „გამოხატვის თავისუფლებაა“,** ანუ პოლიციამ დაარღვია კანონი პოლიციის შესახებ, რომლის თანახმადაც ის ვალდებული იყო, მართლზომიერად ემოქმედა და აღეკვეთა დანაშაული.

**— ნეოლიბერალები რადგან ახსენეთ, ამას წინათ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა იუსტიციის სამინისტროს მოუწოდა, ტრანსგენდერების მიერ სქესის შეცვლის აღიარებისთვის სპეციალური რეგულაციები შემოიღოს და ეს ყველაფერი საკანონმდებლო დონეზე მოაგვაროს. რა აზრის ხართ ამაზე?**

— ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და ამ საკითხზე სამმა უფლებადამცველმა — მე, სოსო მანჯავიძემ და ზვიად ტომარაძემ — განცხადებაც გავავრცელეთ, მაგრამ სამწუხაროდ, **ბატონ ნანუაშვილს ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი არ გასჩენია.** ლაპარაკია თემატიკაზე, რომელიც, ასევე, უხვად არის დაფინანსებული ქვეყნის გარედან და რომლის გამოც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გამუდმებით გვებრძვის. **ეს გულისხმობს ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას, მათ „თანასწორუფლებიანობას“ და, საბოლოო ჯამში, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ეს არის ვალდებულება, რომელიც საერთაშორისო ლიბერალური ინტერნაციონალის წინაშე აღებული აქვს რესპუბლიკურ პარტიას და ამ ვალდებულების შესასრულებლად ისინი ყველაფერს გააკეთებენ.** მით უფრო, რომ ივანიშვილის ძალისხმევით ახლა პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება მათ ხელშია, ფაქტობრივად, ისინი აკონტროლებენ სამივე სახელისუფლო შტოს. სხვათა შორის, ივანიშვილი ამბობდა, დემოკრატიით ევროპასაც გავაოცებო და მან ეს მოახერხა, — **მსოფლიოში, ალბათ, არსად მომხდარა ისეთი პოლიტიკური პარადოქსი, როგორიც ჩვენთან, როცა აბსოლუტურად ურეიტინგო პარტიამ ჩაიგდო მმართველობის სადავეები და ძალაუფლების სრული მონოპოლიზება შეძლო.**

**— ეს მხოლოდ ივანიშვილის ძალისხმევით მოხდა თუ გარე ძალებიც ჩაერივნენ?**

— ცხადია, ივანიშვილი იმთავითვე მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს გარე ძალების, კერძოდ, ამერიკელების ინსტრუქციით. ამიტომაც არის, რომ **ქვეყანა, ფაქტობრივად, გადაქცეულია ამერიკის საპოლიციო უბნად. ამას უკვე საპარტნიორო ტერიტორიულ წარმონაქმნსაც ვერ დავარქმევთ, ისეთი კოლონიალისტურია ამერიკელთა დამოკიდებულება ჩვენდამი. ამის ნათელი მაგალითი კი იყო თუნდაც ამერიკის ელჩის, ბატონი ნორლანდის შეხვედრა ივანიშვილთან, რომლის შემდეგაც ირაკლი ღარიბაშვილს მისთვის ყველაზე არასასურველი და თავისი ენითა და პირით ნაგინები პოლიტიკური ფიგურის გამწესება მოუწია საკვანძო პოსტზე** (ვგულისხმობ თინა ხიდაშელის დანიშვნას თავდაცვის მინისტრის პოსტზე), რითაც ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ ჩვეულებრივი პოლიტიკური მარიონეტია. ამ ყველაფრის ფონზე, ალბათ, გასაკვირი არ არის, რაც ხდება და რა განცხადებებიც გვესმის. **დღეს ხელისუფლების სათავეში, ფაქტობრივად, გვყავს „ნაცმოძრაობა 2“, რომელმაც საშინაო დავალებების შესრულებაში „ნაციონალების“ რეკორდიც კი მოხსნა...**

**— მიუხედავად ამისა, დღე არ გავა, რომ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში მუქარის წერილი არ გამოაქვეყნოს და „ოცნებას“ თითი არ დაუქნიოს, — მალე დავბრუნდებიო. როგორ ფიქრობთ, ოდესის გუბერნატორად დანიშვნა სააკაშვილს და მის პარტიას პოლიტიკურად აძლიერებს თუ პირიქით — ეს მისი პოლიტიკური აღსასრული შეიძლება გახდეს?**

— ერთი რამის თქმა უკვე დანამდვილებით შეიძლება: სააკაშვილი არ იცვლება, არ იცვლება არც მისი პოლიტიკა და ეს ადამიანი ისევ რევანშისტულადაა განწყობილი, როგორც იყო თავის დროზე, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. გახსოვთ, ალბათ, ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ დაიწყო დაჭერები და არაერთი თანამდებობის პირი აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე, მათ შორის, ბევრი სამართლიანად და ბევრიც — უსამართლოდ, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია ის, რომ ამ კაცს იმთავითვე ჰქონდა ძალადობრივი, არაშემწყნარებლური პოლიტიკა და ამ პოლიტიკის შედეგად მივიღეთ დაახლოებით 40 ათასამდე პატიმარი.

ახლა შეხედეთ, რას აკეთებს უკრაინაში, დანიშნული არ იყო გუბერნატორის თანამდებობაზე, ვიღაც-ვიღაცებს ეცა და ციხეში გააქანა. მერე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ კონკრეტული თანამდებობის პირები მას ანგარიშს აბარებენ. ეს ადამიანი არ იცვლება და მისი რიტორიკა ისევ და ისევ არის ნულოვანი ტოლერანტობა.

რაც შეეხება შეკითხვას, გუბერნატორად დანიშვნა სააკაშვილის პოლიტიკური აღსასრულია თუ აძლიერებს მას, მოდი, საკითხი ასე დავსვათ: ის, რაც სააკაშვილმა საქართველოში გააკეთა და ქართველი ხალხისთვის აღმოჩნდა ერთმნიშვნელოვნად მიუღებელი, უკრაინელი ხალხისთვის მისაღები იქნება? შეეგუება იმ ქვეყნის მოსახლეობა მასობრივ დაჭერებს, პოლიციის მხრიდან ძალადობას, ტერორს, შიშს? ეს წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, **დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ძალიან მალე იქაც კრახით დაასრულებს, უკრაინელი საზოგადოება ძალიან მალე მიხვდება, ვისთან და რა ძალასთან აქვს რეალურად საქმე.**

**— არის საუბრები იმაზეც, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობამ“ და „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ზოგიერთმა სუბიექტმა, შესაძლოა, ახალი კოალიცია შექმნან. რეალურად მოგაჩნიათ ეს?**

— რა თქმა უნდა, „ქოც-ნაცური“ ალიანსი რეალურად ერთი სახელისუფლო ძალაა, რომელიც იყოფა ფორმალურად და სააკაშვილი ახლა ემზადება ძალაუფლების ხელახლა მისაღებად. ის, პირადად, ცხადია, არ ჩაებმება სახელისუფლო ბრძოლაში, მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, **სხვადასხვა სუბიექტი შექმნის ახალ კოალიციას, რომელშიც განიხილებიან თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და ეს იქნება ე.წ. ნეოლიბერალურ ძალთა გაერთიანება, რომლის ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინება პრეზიდენტი მარგველაშვილი.** სწორედ ასეთი ჩანაცვლებების გზით მოხდება „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია და ამ ახალ კოალიციაში არაფორმალურად სააკაშვილი იქნება ლიდერი. ამის შემდეგ ის დაელოდება „ნეოლიბერალური“ ძალების ახალ უმრავლესობაში მოსვლას, შემდგომ მის სრულ რეაბილიტაციას და რეაბილიტაციის ფონზე გამარჯვებული რადამესივით დაბრუნდება. აი, ეს არის ის მარტივი ვირეშმაკული გათვლა, რომელსაც არ უწერია აღსრულება, თუკი საზოგადოება გამოფხიზლდება და დადგება ფეხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი, რასაც ეს ე.წ. ნეოლიბერალური ძალები გვთავაზობენ, უსიტყვოდ უნდა მივიღოთ და მათ არც ერთ ნაბიჯზე, არც ერთ ქმედებაზე, თუნდაც ეს ქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, პროტესტი არ უნდა გაგვიჩნდეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში პრობლემები აღარ იქნება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ გრიგოლ გეგელიას დავუჯერებთ, ის, ვისაც „შიდა აეროპორტად“ გადავუფორმეთ ბათუმის აეროპორტი, სულაც არ ყოფილა საქართველოს ტერიტორიის ოკუპანტი. კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ასეთი ხალხი „პატრიოტი“ არის მხოლოდ ჩრდილოეთის მიმართულებით, ხოლო სამხრეთის მიმართულებით მათ პატრიოტიზმიც ავიწყდებათ და, როგორც ჩანს, გამართული ქართული წერა-კითხვაც.**

# პატრიოტიზმი — მხოლოდ ერთი მიმართულებით!

**აბა, ახლა, დამანებეთ თავი! არავინ დამელაპარაკოთ და ხელი არავინ შემიშალოთ! ამ სტატიაში მილიონის მეოთხედს შემპირდნენ ჰონორარს და კარგად, პასუხისმგებლობით უნდა დავწერო! დიახ, დიახ! საუბარია სწორედ 250 ათას ლარზე! თუ დოლარზე? არა, არა! დოლარზე და ევროზე, შანსი არ არის, აქ ლაპარაკი იყოს, რადგან, სადაც ცივილიზაციაა, სადაც დოლარია და მით უმეტეს — ევრო, იქ რუსეთს რა უნდა? ჩამორჩენილი და გაპარტახებული რუსეთი რომ ძალიან შორს დგას ევროსთან და ჩვენ რომ ძალიან ახლოს ვდგავართ, ეს ჯერ კიდევ ჩვენმა დიადმა ბელადმა მიშამ გვასწავლა, სააკაშვილმა!**

ახლა დაიწყებს ზოგიერთი, — მიშა სააკაშვილი რაღა შუაშიაო?

ეგ ჩვენც გვიკვირს, რადგან „მიშას რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლნი“, წესით, მიშას ავადმყოფურ ფრაზებს ერთიერთზე არ უნდა იმეორებდნენ და იმგვარ „რეჟიმულ“ მოწოდებებს არ უნდა აკეთებდნენ, მაგრამ...

**„აუცილებლად მივიჩნევ ყველა იმ საინფორმაციო სიხშირის დაუყოვნებლივ აკრძალვას, რომლებიც ღიად (გინდ ირიბად) ფინანსდება საქართველოს სახელმწიფოს მტრის მიერ, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის საუკეთესო ინტერესების წინააღმდეგ სამუშაოდ. ამასთანავე, აუცილებლად და გადაუდებლად მივიჩნევ, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორიული ფაქტის ნებისმიერი ფორმით უარყოფა გახდეს სისხლის სამართლებრივი დანაშაული“,** — ამბობს ვინმე „ექსპერტი“ **გრიგოლ გეგელია.**

ამ ამბავში ყველაზე საყურადღებოა სიტყვა „ისტორიული“.

ანუ, **თუ გრიგოლ გეგელიას დავუჯერებთ, ის, ვისაც „შიდა აეროპორტად“ გადავუფორმეთ ბათუმის აეროპორტი, სულაც არ ყოფილა საქართველოს ტერიტორიის ოკუპანტი. კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ასეთი ხალხი „პატრიოტი“ არის მხოლოდ ჩრდილოეთის მიმართულებით, ხოლო სამხრეთის მიმართულებით მათ პატრიოტიზმიც ავიწყდებათ და, როგორც ჩანს, გამართული ქართულით წერა-კითხვაც.**

ზემოთ მოყვანილ ციტატაშიც მიაქცევდა მკითხველი ყურადღებას ავტორის „ტკბილქართულს“, თუმცა კიდევ უფრო სასაცილოა რეგალია, რომლითაც ციტატის გადმოცემამდე მოხსენიებულია ბატონი გრიგოლ გეგელია.

„ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტურის მკვლევარი“ — აი, ზუსტად ასეა მოხსენიებული ბატონი გეგელია საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში და, თუკი ვინმე ოდესმე შეძლებთ იმის გარკვევას, რას ნიშნავს ეს, გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და ჩვენც გაგვაგებინეთ! მით უფრო, რომ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას „არაპირდაპირი დაფინანსება“ ახლახან მიღებული და სირცხვილია, არ იცოდეს, რას ნიშნავს „ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტურის მკვლევარი“!

დიახ! დიახ! **თავდაპირველად, სიმართლე გითხრათ, მეც ვერ დავიჯერე, რომ ორიოდე არცთუ „ევრორემონტიან“ ოთახში განთავსებული რედაქცია „არაპირდაპირი დაფინანსების“ და არც თვითონ რედაქციის თანამშრომლებს სჯეროდათ ეს, მაგრამ, როდესაც შენი თვალით ნახავ, რომ ამ ინფორმაციას ავრცელებს ისეთი პრესტიჟული, ნამუსიანი და სერიოზული სააგენტო, როგორიც არის „ექსპრესნიუსი“ (EPN), უკვე შანსი აღარ გრჩება არდაჯერებისა და მეც ამიტომ გაუწყეთ დასაწყისში — მეოთხედ მილიონს ველოდები ჰონორარს-მეთქი! როგორ?! 5 მილიონიდან ერთი მილიონის მეოთხედიც არ მეკუთვნის?!**

ეს „ძალიან სანდო“ სააგენტო კი ზუსტად ასეთ ინფორმაციას ავრცელებს: „ცნობისთვის, ფონდმა „რუსულმა სამყარომ“ და შპს „როსტელეკომმა“, რომლის მფლობელობაშია კომპანია „სპუტნიკი“, ქართული ონლაინ და ელექტრონული მედიის გასაძლიერებლად 2015 წლის თებერვლიდან 25 მაისამდე 5 მილიონი დოლარი გადმორიცხეს. „ექსპრესნიუსისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, რომ ორივე რუსული ორგანიზაციიდან არაპირდაპირი დაფინანსება მიიღო მედიასაშუალებებმა „გევორლდ“-მა („საქართველო და მსოფლიო“) და „საქინფორმმა“.

ისე, ცნობისათვის: **აი, ასეთი სტილის ვითომ ინფორმაციის მხოლოდ „ცნობისათვის“ გავრცელება, ისე, რომ არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი არ ერთვის, ნორმალურ ქვეყნებში სხვადასხვა პასუხისმგებლობას იწვევს, რომ არაფერი ვთქვათ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ყველაზე ცოტა, ასეთი მიდებ-მოდება იწვევს მკითხველის დაკარგვას და მსგავსი ტუტუცობების გამავრცელებელი „სააგენტოების“ სრულ გაკოტრებას.**

თუმცა რა, ეს რაღაც „ექსპრესნიუსი“ მკითხველს როგორ დაკარგავს, როდესაც ისედაც არ ჰყავს?! გაკოტრებას რაც შეეხება, უცხო ქვეყნებიდან სწორედაც რომ ასეთი ტლიკინა და უპასუხისმგებლო „სააგენტოები“ ფინანსდებიან „ვედრო მანეთად“ და მათ, რაც უნდა ნდობა დაკარგონ მკითხველისა, ფინანსური გაკოტრების საფრთხე მაინც არ ემუქრებათ.

თუმცა, ვიდრე შესაბამის დასკვნებს გავაკეთებდეთ, მოდით, თანმიმდევრობით მივყვეთ „ექსპრესნიუსის“ ე.წ. ექსკლუზიურ სისულელეებს.

„ექსპრესნიუსისთვის“ ასევე ცნობილი გახდა, რომ „სპუტნიკმა“, რომლის მთავარი რედაქტორი დიმიტრი კისილიოვია, საქართველოში „გე“-დომეინზე რამდენიმე ონლაინ მედია რესურსი გახსნა. ყველა დაფინანსებული მედიარესურსის მიზანია ანტიდასავლური ინფორმაციის გავრცელება გადამოწმების გარეშე“.


გრიგოლ გეგელია

კიდევ ერთხელ თავი დავანებოთ ამ „პატრიოტი“ მედიასაშუალების ჩიქორთულ ქართულს და ვიკითხოთ: კი ბატონო, **ამ დალოცვილი „ექსპრესნიუსისთვის“ ყველაფერი „ექსკლუზიურად“ ხდება ცნობილი და მათ ხელთ არსებული სხვადასხვა ინფორმაცია ისეთი „ექსკლუზიურია“, რომ არანაირ მტკიცებულებასა და წყაროს არ საჭიროებს... მაგრამ აი, „რუსების მიერ დაფუძნებული“ მედიასაშუალების მიზნები საიდანღა გაიგო ასე დაზუსტებით და „ექსკლუზიურად“ პატივცემულმა „ექსპრესნიუსმა“?**

თქვენ წარმოიდგინეთ, „ექსპრესნიუსს“ ისიც კი დაუზუსტებია, ამ რუსეთისგან დაფინანსებულმა მედიასაშუალებებმა ანტიდასავლური ინფორმაცია გადამოწმებით უნდა გაავრცელონ თუ გადამოწმების გარეშე!

მოკლედ, მთელი **ეს „ინფორმაცია“ ჟურნალისტური შედევრია და მისი გამავრცელებლების ტვინის „გადამოწმება“ მართლაც საინტერესო იქნებოდა...**

თუმცა, რა თქმა უნდა, **რთულია, როდესაც მართლა გიხდიან ფულს იმაში, რომ სხვას „ფულის აღება“ დასწამო და ერთ ადგილს მაგრად იწვალებ, რომ როგორმე შეუსრულო დაკვეთა შენს დამკვეთებს.**

რომელ დამკვეთებს?..

**სხვათა შორის, ამ ყველაფრის „ექსკლუზიურად“ გამგებ „ექსპრესნიუსსა“ და მის ხელმძღვანელს იმდენი ტვინიც არ ჰყოფნით, რომ ეგეც არ წამოროშონ, ვის დაკვეთას ასრულებენ რეალურად. აგერ, ბატონო, ინებეთ:**

„ამავე საფრთხეზე „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა **ირაკლი ალასანიამაც** ისაუბრა — „ვხედავ სერიოზულ გამოწვევას იმიტომ, რომ დიდი ფულის ჩადება დაიწყეს რუსული სპეცსამსახურების მხრიდან ქართულ მედია სივრცეში, ვებპორტალების დაფინანსებაში. ცდილობენ, საქართველოში იპოვონ დასაყრდენი იდეისა, რომ ევროპული არჩევანი ქვეყნისთვის არასწორია“, — აი, ზუსტად ასე ასრულებს „ექსპრესნიუსი“ თავის ინფორმაციას, რომლითაც, ფაქტობრივად, აღიარებს, ვინ არის რეალურად ფულის სანაცვლოდ დაკვეთის შემსრულებელი.

თუმცა „უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტურის მკვლევარებს“ სხვა რა უნდა მოსთხოვო?!

მათ ხომ ისიც არ შეუძლიათ, კონკრეტულად თქვან, **სად მიდის ეს „დიდი ფული“, რომლითაც თურმე რუსეთი აფინანსებს „ქართულ მედიასაშუალებებს“. რომელია ეს „მედიასაშუალებები“? მხოლოდ „საქინფორმი“ და „გევორლდი“? და ეს მილიონები და მილიარდები ამ ორ მედიასაშუალებაზე იხარჯება?**

ისე, პირდაპირ რომ ვთქვათ, 5 მილიონი დოლარი მართლაც რომ დაეხარჯა ვინმეს ამ მიმართულებით, მაშინ ამ მიმართულების პირველი მიმდევარი თავად ირაკლი ალასანია გახდებოდა.

სხვათა შორის, **ნუ გაგვიკვირდება, თუ მართლა დაიწყო რუსეთმა „დიდი ფულის“ ჩადება „ანტიდასავლურ“ მიმართულებებში, ამ მიმართულების ლიდერი მართლაც ირაკლი ალასანია რომ გახდეს. რა, აქამდე ერთხელ გადაუბრუნებიათ „პლასტინკა“ ასეთ ფულის მონებს თუ ორჯერ?!**

თუმცა ისევ მინდა, იმ განსაზღვრებას მივუბრუნდე, სადაც საუბარია „საქართველოს ოკუპანტზე“.

თუკი ჩვენ მართლაც მივიღეთ ის სამართლებრივი ნორმა, რომ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის უარყოფა გახდეს სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც ამას „უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტურის მკვლევარი ითხოვს“, მაშინ ყველა, ვინც თურქეთთან რაიმე ტიპის ეკონომიკურ ან საზოგადოებრივ ურთიერთობას დაამყარებს, დაუყოვნებლივ უნდა დავიჭიროთ...

ახლა **მიხვდით, რატომ არის ამ ბატონის მიერ ჩამოყალიბებულ განსაზღვრებაში ჩართული სიტყვა „რუსეთი“? ანუ, არა საზოგადოდ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები“, არამედ მხოლოდ „საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები“! თორემ სხვა რომელიმე ქვეყნის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს კისერიც უტეხიათ, არა?**

აი, დღევანდელი ქართული „პატრიოტიზმის“ ნიმუში!

ანუ ჩვენ „პატრიოტულ“ განცდებს აღგვიძრავს მხოლოდ ის ტერიტორიები, რომლებიც დავკარგეთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოფიციალურად აღიარების შედეგად, ხოლო ის ტერიტორიები, რომლებიც თურქეთმა წაგვართვა და იქ მცხოვრებ ქართველებს ეროვნებაც კი არ შეუნარჩუნა, სულაც არ არის ჩვენი „მაღალპატრიოტული“ ყურადღების ღირსი, ხო?

მომისმენია ასეთი „არგუმენტი“: **მთავარი ის არის, რომ დღეის მდგომარეობით თურქეთი აღარ გვემტერება და ჩვენ მიმართ მტრული განზრახვები აღარ აქვსო!**

ანუ, რა გამოდის: ასე, 60-70 წლის შემდეგ, თუკი რუსეთი საბოლოოდ შემოიმტკიცებს სოხუმსა და ცხინვალს, და გვეტყვის, მეტი პრეტენზია და მტრული განზრახვა აღარ მაქვს საქართველოს მიმართო, აღარ იქნება ოკუპანტი?

ანუ, ძალიან საინტერსოა, რა კრიტერიუმით ადგენენ ეს ბატონები „ოკუპანტის“ სტატუსს.

წესით, თუ პატრიოტი ხარ, ნებისმიერი დაკარგული ტერიტორია უნდა გაღელვებდეს და ნებისმიერი ტერიტორიის მიმტაცებელს „ოკუპანტს“ უნდა უწოდებდე!

მაგრამ, როგორც ჩანს, „უნივერსიტეტის ინსტიტუტში“ მათ სხვანაირად ასწავლიან...

ალბათ, ასწავლიან იმასაც, რომ, თუკი შენი პროპაგანდა, იგულისხმება რეალური პროამერიკულ-პროდასავლური, მძიმედ ჩაისვრის, ამაში დახარჯული მილიარდების უნაყოფობა საკუთარ უუნარობასა და საქმის უიმედობას კი არ უნდა დააბრალო, არამედ ვიღაც მოგონილ „მოწინააღმდეგეს“, რომელიც თურმე საპასუხო პროპაგანდით გჩაგრავს!

და ეს მაშინ, როდესაც საშენო პროპაგანდას მართლა რამდენიმე ასეული ყველაზე კარგად დაფინანსებული და ყველაზე მაღალრეიტინგული მედიასაშუალება ეწევა, ხოლო ე.წ. საწინააღმდეგოს, რეალურად არც არავინ. უბრალოდ, შენ გაჭირვებით ახერხებ იმას, რომ ორიოდე მატერიალურად აშკარად ცუდად უზრუნველყოფილ გამოცემას ეს დააბრალო!

**რაც შეეხება დაფინანსებას, მეტი ფანტაზია, ბატონებო! აკი, ყველა ხედავს, რომ თქვენ წინააღმდეგ იბრძვის მთელი „მონსტრი“ პრორუსული პროპაგანდისა!**

5 მილიონი რა ჩემი ფეხებია?!

თუ ფანტაზიაა, ფანტაზია იყოს! დააბრეხვეთ 50 მილიონი, 5 მილიარდი! რა იყო, ფანტაზიებშიც კი ძუნწები და ხარბები ხართ თუ, მე თქვენ გეტყვით, პასუხს მოგთხოვთ ვინმე ამხელა ტყუილისთვის, ამ მართლაც, მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირისგან კი არა, ღვთისგანაც მიტოვებულ ქვეყანაში?!

**ხალხს, რომელიც მთელი ცხოვრება უცხოურ დაფინანსებაზე ზის და სოროსის ფინანსურ ჯაქანს მადიანად წოვს, ყველა მწოველი ჰგონია. სხვანაირად არც და ვერც წარმოუდგენიათ, რადგან მათთვის იდეის მსახურება სრულიად უცხო რამ არის. ისე, წარმოიდგინეთ, მანაგაძის მონაჩმახი ერთი პროცენტითაც რომ შეესაბამებოდეს სიმართლეს და რუსეთი მართლა მილიონებს იხდიდეს ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებაში ნომერი პირველი „რუსეთუმე“ ხომ სწორედ თვითონ იქნებოდა! განა ვინმე აჯობებდა მას და ბატონ ალასანიას ამერიკის ან ევროკავშირის ლანძღვაში? აი, მერე ნახავდით ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებას...**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველო და მსოფლიოს» გრანტინოვია «ლიბერასტები» უტევენ!

## ვინ და რატომ ებრძვის საქართველოში თავისუფალ სიტყვას

**ამას წინათ საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსმა“ და მისმა ყელყელა რედაქტორმა ირაკლი მანაგაძემ, რომელიც ლგბტ თემის თავგადაკლული აპოლოგეტია, თავის ქათმური ჭკუით, „საქართველო და მსოფლიო“ რუსეთის აგენტობაში „ამხილეს“. როგორც ამ ნარნარა „ლიბერასტის“ მიერ მისივე სააგენტოთი გავრცელებულ ცნობაშია აღნიშნული, თურმე 2015 წლის თებერვლიდან 25 მაისამდე ფონდ „რუსული სამყაროსა“ და შპს „როსტელკომისგან“ „არაპირდაპირი გზით“ დაფინანსება მიგვილია. თურმე რუსულმა კომპანიებმა ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებაში 5 მილიონი უნდა დახარჯონ და ამ ყველაფრის შესახებ მანაგაძის „კანტორას“ ექსკლუზიურად შეუტყვია.**

ბოლო დღეებში მედიასივრცეში „ქათმების“ კრიახი არ წყდება და ნარნარა ყმაწვილები ლოყებს იკაწრავენ, — „ბნელი ღრუზინები“ ავადსახსენებელ წარსულში გვაბრუნებენო; არის გნიასი და ლამისაა ლიბერასტების ცხვრების ფარა ერთხმად აბღავლდეს, — „საქართველო და მსოფლიო“ საერთოდ უნდა აიკრძალოსო... იმავე ცნობაში, რომლითაც თვალფახულა მანაგაძემ, თავის ჭკუით, გვამხილა, კომენტარი ვინმე „ექსპერტს“ — **გრიგოლ გეგელიას** სთხოვა და მანაც, რომ იტყვიან, ცოფი ჰყარა: რუსეთიდან დაფინანსებული ყველა მედიასაშუალება კანონით უნდა აიკრძალოს, ხოლო თვით ოკუპაციის ფაქტის უარყოფა სისხლის სამართლის კოდექსით დაისაჯოსო. გეგელიას შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ **ირაკლი ალასანიასაც** მიადგნენ და მანაც ტოლი არავის დაუდო, — ვხედავ სერიოზულ გამოწვევას, რადგან რუსულმა მხარემ ქართულ მედიასივრცეში დიდი ფულის ჩადება დაიწყოო. მოკლედ, **მედასავლეთე ლიბერასტებმა ტანსაცმელი შემოიბრდღვნეს და განგაშის ზარები დაარისხეს; ეტყობა, გრანტი შემოაკლდათ და ნემსის ყუნწში ძვრებიან, — იქნებ ძია სემმა ახალი საწოვარა გადმოგვიგდოსო...**

ცხადია, ამ ყველაფერში მინიმალურ საფრთხესაც ვერ ვხედავ (და შეუძლებელია, ვხედავდე), რადგან ერთი თვალფახულა, ნარნარა ყმაწვილის კაკანი თავისუფალ სიტყვას ვერასოდეს შეზღუდავს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. გულსაკლავი ისაა, რომ ეს სულით კინტო ცილისწამებას ბედავს და იმის ნაცვლად, რომ თავის „მრავალჭირნახულ“ ბეგრაუნდს მიხედოს, ჯანსაღი აზრის ჩახშობაზე, ამოძოლვაზე საუბრობს. ამ მდგომარეობას, ალბათ, ყველაზე მეტად მიესადაგება ბრძნული შეგონება: „ქურდს ყველა ქურდი ჰგონიაო“, — **ხალხს, რომელიც მთელი ცხოვრება უცხოურ დაფინანსებაზე ზის და სოროსის ფინანსურ ჯიქანს მადიანად წოვს, ყველა მწოველი ჰგონია. სხვანაირად არც და ვერც წარმოუდგენიათ, რადგან მათთვის იდეის მსახურება სრულიად უცხო რამ არის.** ისე, წარმოიდგინეთ, **მანაგაძის მონაჩმახი ერთი პროცენტითაც რომ შეესაბამებოდეს სიმართლეს და რუსეთი მართლა მილიონებს იხდიდეს ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებაში, ნომერი პირველი „რუსეთუმე“ ხომ სწორედ თვითონ იქნებოდა! განა ვინმე აჯობებდა მას და ბატონ ალასანიას ამერიკის ან ევროკავშირის ლანძღვაში? აი მერე ნახავდით ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებას...**

რაც შეეხება მიზეზს, რამ გაამწარა და გააკაპასა ჩვენზე ეს ყელყელა შეთავსებით ჟურნალისტი, მოგეხსენებათ, „საქართველო და მსოფლიო“ დღიდან გამოსვლისა, ე.წ. ნეოლიბერალებს დაუღალავად ეპაექრება. ამის გამო მათი სამიზნე არაერთხელ გავმხდარვართ და უსაფუძვლო კრიტიკა თუ ცილისწამებაც არაერთხელ მოგვისმენია. **მანაგაძეც იმთავითვე სწორედ იმ „ლიბერასტების“ რიგებში იყო და საკმარისია, დასავლეთის, ვთქვათ, ევროკავშირის ან ნატოს მიმართ ობიექტური მასალის გამოქვეყნება „გავბედოთ“, რომ მაშინვე წრიპინს იწყებს. მანაგაძის აგზნება განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, როცა ე.წ. სექსუალურ უმცირესობებს შევუტევთ და სოდომური ცოდვით შეპყრობილებზე მწარე სიმართლეს ვიტყვით.** ბოლო რამდენიმე ნომერში ბევრი ასეთი მასალა გვქონდა და, ამჯერადაც მანაგაძემ პედარასტიის, სოდომიის კრიტიკა პირად შეურაცხყოფად მიიღო — მისი ნება რომ ყოფილიყო, ამ კრიტიკისთვის რედაქციის ყველა წევრს კუპრის ქვაბში გვაბანავებდა, მაგრამ, ვინაიდან კუპრის ქვაბზე ხელი არ მიუწვდება, ორლობის დედაკაცივით ჭორიკნობა დაიწყო, — რუსეთი ქართულ მედიას აფინანსებს და დროზე მიხედეთო. თანაც ამ დეზინფორმაციას ისე აქვეყნებს, ხელს არ აწერს. ალბათ, ჰგონია, რომ ასეთი საქციელით საკუთარ თავს პასუხისმგებლობას აცილებს, მაგრამ მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო და მანაგაძე — ჩიხტიკოპშიც. ბევრი რომ არ გავაგრძელო, **მანაგაძესა და მის სულიერ დებსა თუ ძმებს, ვიდრე სოდომიზმის კრიტიკას პირად შეურაცხყოფად მიიღებენ და კრიახს დაიწყებენ, ურჩევნიათ, ზედმეტი ხმაურის გარეშე, ჩუმად მოწოვონ ძია სემის ფინანსური ჯიქანი. ეს, პირველ რიგში, შენ გეხება, მანაგაძევ!** ისე არ დაგემართოს, ქათამმა რომ ჩხრიკა და უმ ბადრიჯანზე წამოეგო. წამოგება არ გაკლია შენ, როგორც ვხედავ — აქამდე ქარწაღებული ჭინჭივით ფრიალებდი ხან სად, ხან — სად. ახლა, ვატყობ, ტარიც გაგიკეთეს და დროშადაც გაქციეს... ყველაფერს ნუ მათქმევინებ! გირჩევ, პირი გამოირეცხო და ვირეშმაკობას შეეშვა! როგორც ჩანს, ტარი „თავისუფალმა დემოკრატებმა“ უკვე გიბოძეს და იფრიალე, სადაც გინდა!


ირაკლი მანაგაძე

**მანაგაძესა და მის სულიერ დებსა თუ ძმებს, ვიდრე სოდომიზმის კრიტიკას პირად შეურაცხყოფად მიიღებენ და კრიახს დაიწყებენ, ურჩევნიათ, ზედმეტი ხმაურის გარეშე, ჩუმად მოწოვონ ძია სემის ფინანსური ჯიქანი. ეს, პირველ რიგში, შენ გეხება, მანაგაძევ!**

**მედასავლეთე ლიბერასტებმა ტანსაცმელი შემოიბრდღვნეს და განგაშის ზარები დაარისხეს; ეტყობა, გრანტი შემოაკლდათ და ნემსის ყუნწში ძვრებიან, — იქნებ ძია სემმა ახალი საწოვარა გადმოგვიგდოსო...**

**ჯაბა ჟვანია**



### გიგლა ბარამიძე აშშ-ის ელჩს «ნაციონალური მოძრაობის» სიის პირველნომრობას ურჩევს

**პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის — გიგლა ბარამიძის განცხადებით, ჩვენი ხელისუფლების უნიათობის ბრალია, რომ ერთი ქვეყნის ელჩი თავს უფლებას აძლევს, მთავრობის სხდომები შეაჯამოს და მინისტრები დაგვინიშნოს.**

**„2 დღის წინათ თვითონ ვიხილე, სიღნაღის ერთ-ერთ ძვირად ღირებულ სასტუმროში როგორ შედიოდნენ მასთან რიგრიგობით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათთან დაახლოებული პირები. თუ ჩვენ „ნამესტნიკები“ და გენერალ-გუბერნატორები გვყავს, გვითხრან და გვეცოდინება,“** — აცხადებს ბარამიძე.

მისივე თქმით, ამერიკის ელჩს მალე გასდის აკრედიტაციის ვადა და იგი სთავაზობს მას მომავალ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის პირველ ნომრად ჩაჯდომას და პარლამენტში შესვლას.



### ჯებ ბუში აშშ-ის პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს

**აშშ-ის 43-ე პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის ძმა, ჯებ ბუში, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.**

ბუში თავის კანდიდატურას ოფიციალურად 15 ივნისს წარადგენს. ჯებ ბუში რესპუბლიკური პარტიის წევრი და ფლორიდის შტატის გუბერნატორია.

მოკლედ



### კარტერი: რუსეთზე ეკონომიკური სანქციები არ მოქმედებს

**სანქციებმა რუსეთის პრეზიდენს პოლიტიკური კურსის შეცვლა ვერ აიძულა. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა განაცხადა.** „ცხადია, სანქციები რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფით ასახვას ჰპოვებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პუტინს, ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, პოლიტიკური კურსი არ შეუცვლია“, — აღნიშნა კარტერმა. მისი განცხადებით, აშშ-მა უკრაინის კონფლიქტის საპასუხოდ ახალი ნაბიჯები უნდა გადადგას. „საჭიროა ახალი ზომების მიღება. როგორც ჩანს, ვლადიმერ პუტინი არ აპირებს კურსის შეცვლას“, — ბრძანა მან.

ყოფილი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფაიშენელ ტაიმსის“ მიმომხილველი ტონი ბარბარა მიიჩნევს, რომ სააკაშვილის დანიშვნა დიდი პრობლემების სათავეა პეტრო პოროშენკოსთვის. „გადამთიელი მიჩვეულია თავხედურ მოქმედებას, ხოლო თავისუფლების მოყვარული ოდესელები ამას ვერ აიტანენ“. სააკაშვილის ადგილზე, მიმომხილველის აზრით, უნდა იყოს კვალიფიციური უკრაინელი. ეს დანიშვნა კი ოდესის შეურაცხყოფაა და საფუძველს გვაძლევს, დავეჭვდეთ პოროშენკოს საღ აზროვნებაში“.**

# აბა, ოდესაში მნახე, ვინა ვარ!

**ბედნიერმა სააკაშვილმა მორიგი თავხედობით გაახარა „რუსთავი 2“-ის პატრონები და ის „წვერგაუპარსავი გაუგებრობა“, რომელიც მისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად სასწრაფოდ გადააფრინეს მრავალჭირგადანახად ოდესაში. სხვა რა „არჩევანი“ ჰქონდათ.**



## თეატრის სახურავიდან დაგეგმილი იყო ხიდის გადება ბატონის, ერეკლე მეორის, სასახლის ეზოში ჩასასვლელად



უტვინო თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო. გვყავდა ამ ანდაზაზე ზედგამოჭრილი „მიდი-მოდი, ხასაია!“ ქვეყნის პირველ კაცად — ჩვენ მიერ არჩეული პრეზიდენტი სააკაშვილი; მიხეილი, რომელიც პეტრო პოროშენკოს მიერ წოდებულია მიკოლად.

**ოდესის ოლქის გუბერნატორად გაამწესეს საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ყოფილი პრეზიდენტი. „სექონდ ჰენდ“ — მეორადი საქონელი. ნახმარი მოირგო ზალეჟნაია უკრაინის ხელისუფლებამ.**

მშვიდობაში!

ერნესტო ჩე გევარა, ფიდელ კასტროსთან ერთად კუბის რევოლუციის ბელადი, ალიარებდა, რომ იყო ავანტიურისტი, „მაგრამ ისეთი ავანტიურისტი, რომელიც საკუთარი სიცოცხლით რისკავდა და არა სხვისით“.

მიშაც „მაგარი“ ავანტიურისტია („დარშიც და ავდარშიც“), ოღონდ სხვისი სიცოცხლის ხარჯზე და ფასად. ოდესა საკუთარ თავზე გამოცდის ამას. ზალეჟნაია. თანავუგრძნოთ უკრაინას და ჩვენ ჩვენი ვთქვათ.

### თავლია „სარკოფაგი“

ჩერნობილის რომელი ატომური ელსადგური იყო თელავის სახელმწიფო თეატრის შენობა, სარკოფაგში მისი მოთავსება რომ მოინდომა სააკაშვილმა?!

„სარკოფაგი“ დაარქვეს დამცავ ნაგებობას, რომლითაც დაფარეს IV ენერგობლოკი, აფეთქების კერა, რადიაციის ინტენსიური გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მოასწრო და ჩაასო, ჩაადუღაბა, ჩააბეტონა 3 ოვალი — 82 ზემაგარი მილი, მილი-სვეტი თეატრის გარშემო, მომავალი ვერტოდრომის საყრდენი, ორი შვეულმფრენის დასაშვები პლატფორმა: ერთი — პრეზიდენტის ღრუბელ-ღრუბელ გადასაადგილებელი საშუალებისთვის; მეორე — მისი დაცვისთვის, რომელიც მიხეილს (ახლა მიკოლა რომ ჰქვია) უნდა გადაფარებოდა რუსების СУ-ების შემოტევის შემთხვევაში.

თეატრის სახურავიდან დაგეგმილი იყო ხიდის გადება ბატონის, ერეკლე მეორის, სასახლის ეზოში ჩასასვლელად. თავზე გადაუვლიდა, გადაალაჯებდა, გადააბოტებდა, ფეხქვეშ გაიდებდა შადრევან მეფე კახეთის გულს, მობრძანებით პატივს რომ დასდებდა, მაშინ.

და საერთოდაც.

ახლა ახალგაზრდა არქიტექტორები გულმოდგინედ ამუშავებდნენ პროექტს, ეს იდიოტური სვეტთა ჩარიგება გალაკტიონისეულ ნიკორწმინდად რომ აქციონ:

**აქ რომ თაღებია,**
**სვეტთა შეკონება,**
**ისე ნაგებია,**
**სიზმრის გეგონება.**
**ნეტა ვინ ააგო,**
**რა ნიჭმა ააგო,**
**რა მადლმა ააგო**
**სვეტი ნიკორწმინდა!**

და შეუთავსონ ამ სილაღეს მაჩაბლის თეატრის ისტორია, ფერწერაში გაცოცხლებული; თანაც ააცილონ ქალაქს ის უზარმაზარი ხარჯი, რომელიც ამ სვეტებისა თუ მილების ამოსათხრელად და ამოსაძირკვად უნდა გაიღოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

საყურადღებო იდეაა.

მანამდე კი, ამ ციკლოპურ მესერს იქით თეატრია, ნადიკვარია თუ ბალღოჯიანი, არაფერი ჩანს...

მარტო ეგ შემთხვევა რომ იყოს, ერთჯერად ბოდვით აფეთქებას მიაწერდა კაცი.

აგერ მეორეც: აქედან არცთუ შორს, სიღნაღის თავზე მითიური ამირანის, ძლიერი საქართველოს ბრწყინვალე ქანდაკება რომ დაანგრევინა, რომელი სტალინის ძეგლი ეგ იყო, ძირფესვიანად რომ მოთხარა და დაანაწევრა?!

ამას გორში გააკეთებს კარგა ხნის შემდეგ.

**ადვილი წარმოსადგენია, რა გეენის ცეცხლს დაატრიალებდა სააკაშვილი საქართველოში, ტროცკისტ ხრუშჩოვის დროს ჩვენი რესპუბლიკის სათავეში რომ მდგარიყო, როცა სტალინის ძეგლების მსხვრევა-მტვრევა საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების საზომად იყო დადგენილი! გორის შუაგულში სტალინის მონუმენტური ქანდაკების დემონტაჟით კი არ შემოიფარგლებოდა, „ქართლის შუაგულს“ და „მეთაურს ქართლისას“ მიწასთან გაასწორებდა საერთოდ.**

ამირანის ძეგლი რატომ იავარქმნა?

იმიტომ, რომ მის ვერტმფრენს მოუსუფთავა დასაფრენი ადგილი.

და ეს, **შვეულმფრენების პლატფორმისტი მოყვასი სხვას რომ საყვედურობს ვერტოდრომის მოწყობის მცდელობას, მამაძაღლობაა და თავხედობა.**

„რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა გაილაშქრა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის — იანუკოვიჩის წინააღმდეგ და გვაუწყა, რომ ის მამაძაღლი და კორუმპირებული (იანუკოვიჩი) თავისი შვილისთვის აშენებდა ისეთ სახლს, რომლის სახურავზე ვერტმფრენის დაშვება იქნებოდა შესაძლებელი(!)

პარადოქსული ცინიზმია!

უარესი კი ისაა, რომ **მიკოლა სააკაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ იყო მიშა სააკაშვილი, რომლის პრეზიდენტობის ვადაც დე იურე 2013 წლის 17 ნოემბრამდე გრძელდებოდა, თავისი ბოლო, 2013 წლის 29 ოქტომბრის ბრძანებულებით (როცა კიევის „მაიდნის“ დაწყებამდე 3 კვირა და 2 დღე იყო დარჩენილი), უკრაინის იმჟამინდელ პრეზიდენტს — ვიქტორ იანუკოვიჩს აჯილდოებს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით — „ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის“.**

ცნობილი ფაქტია.

### მარადმწვანე ჯეჯილი

დემოკრატიულობის დემონსტრირება მიშამ (ახლა უკვე — მიკოლამ) „ხალხში გასვლით“ დაიწყო. და ენამწარე ჟურნალისტებმაც არ დააყოვნეს: სააკაშვილმა გაიარაო ოდესის ქუჩაში, „სადაც გამვლელებზე მეტი მისი დაცვის თანამშრომლები იყვნენ“.

სააკაშვილმა წაიტრაბახა, რომ დაცვა კიევშიც დასდევდა, მაგრამ ოდესაში მთელი რაზმი მიცავსო.

დამშვიდდა ეს მარადმწვანე ჯეჯილი, რომელიც (ალბათ, გახსოვთ) ბაკურიანის სითეთრეში ხასხასა მოლისფერ სპორტულ შარვალში გამოწყობილი რომ გამოგვეცხადა. თხილამურებზე ისე იდგა, როგორც მენჯ-ბარძაყის უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის შემდეგ რიგითი პაციენტი, რა თქმა უნდა, დაცვის მჭიდრო რკალით გარშემორტყმული. ზამთარი იყო და ლორთქო ბალახს მონატრებულ „დედალ ძროხებს“, შეიძლება, არასანქცირებული აგრესიული აქცია მოეწყოთ პრეზიდენტზე იერიშის მისატანად.

ის დრო სააკაშვილთან ერთად წავიდა, მაგრამ დაცვის აუცილებლობა გაძლიერდა, უკრაინაში — განსაკუთრებით. და, ვისაც დაცვა სჭირდებოდა, პოროშენკომ ყველა უზრუნველყო კბილებამდე შეიარაღებული ბიჭების მიმაგრებით: ოდესის გუბერნატორ სააკაშვილს სპეცდანიშნულების მთელი რაზმი იცავს.

**ჟურნალისტი ქსენია პოლჩინა კიევიდან გადმოსცემს: „ახალ გუბერნატორს სურს, უფრო დაუახლოვდეს ხალხს, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, — გაძლიერებული დაცვით“. და ციტირებს სააკაშვილის მორიგ ბოდვით რეფორმას: „ჩემი აზრით, უნდა დავითხოვოთ უმაღლესი სასამართლო და მთლიანად შევცვალოთ იგი ამერიკელი და ბრიტანელი მოსამართლეებით. ისინი უნდა მოვიწვიოთ თუნდაც ათი წლის ვადით და მივცეთ მათ მაღალი ხელფასები“.**

ავოეეე!

რომ დაუჯერონ მიკოლა სააკაშვილს და მართლა მოიწვიონ ანგლოსაქსები მოსამართლეებად, უკრაინული სასამართლო ხომ გადაიქცევა ავქსენტი ცაგარელის „ძველი ვოდევილების“ მსგავს „რეალურ შოუდ“?

ხომ გახსოვთ სცენა „ძველ სასამართლოში“ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან, სადაც თარჯიმანის ამპლუაში განუმეორებელი ვასო გოძიაშვილი გამოდიოდა.

მოსამართლეს მომჩივნისა არაფერი ესმის, მომჩივანს — მოსამართლისა და ძალად თარჯიმანს ის რუსულიც ამოეწურება, რომელიც „მოიატვოიასაც“ ვერ გასწვდებოდა ისედაც.

ჰოდა, დამტვრეული რუსულ-ქართულით შეჰყავს საქმის კურსში მომჩივანი სოსიკა ექვსშაურაშვილი თარჯიმანს:

— შენ ახლა სუდიას უნდა ურასკაზო, რისთვის მოშავებულხარ, რა საჩივარი გაქვსო, რა გინდაო ვითომაო?

**ექვსშაურაშვილი** (გვარი, რომელიც თარჯიმანმა მოსამართლეს ტრიცატიკაპეიჩნად უთარგმნა):

— ჩემი ღორი გადასულიყო წიწაკაანთ ბოსტანში. ჭარხალი ეჭამა, შენი ჭირიმე, დაენახა იმ ულმერთო მაგდანასა და ტაბიკი ურტყა და ურტყა შიგ თავში. მომიკლა ღორი. ხორციც არ გამომადგა, ძაღლებს შევაჭამეთ. ვჩივი ღორის ფასსა ექვს მანათსა.

**მოსამართლე**: — ჩტო ონ გოვორიტ? პერევოდიტე!

**თარჯიმანი**: — ონ ღოვორიტ, ადინ ბალშოი სვინია ზაბრალსა ბოსტან წიწაკა.

**მოსამართლე**: — ჩტო ტაკოე წიწაკა?

**თარჯიმანი**: — ეტა პერეც, ეტა ფამილია ემუ სასედ მაგდანა. ი კუშილ ოჩენ მნოგო, ოჩენ მნოგო ჭარხალ, ზნაჩიტ.

**მოსამართლე**: — ჭარხალ ჩტო ტაკოე?

**თარჯიმანი**: — ჭარხალ, გასპადინ სუდია, ოჩენ ლუბიტ კუშიტ სვინია. ჭარხალ კრასნი ეტა, კრასნი, სლადკი ჭარხალ. ჭარხალ ეტა დვაიურუნდი ბრატ სტაფილო...“

და ასე შემდეგ.

**„ფაიშენელ ტაიმსის“ მიმომხილველი ტონი ბარბარა კი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის დანიშვნა დიდი პრობლემების სათავეა პეტრო პოროშენკოსთვის. „გადამთიელი მიჩვეულია თავხედურ მოქმედებას, ხოლო თავისუფლების მოყვარული ოდესელები ამას ვერ აიტანენ“. სააკაშვილის ადგილზე, მიმომხილველის აზრით, უნდა იყოს კვალიფიციური უკრაინელი. „ეს დანიშვნა კი ოდესის შეურაცხყოფაა და საფუძველს გვაძლევს, დავეჭვდეთ პოროშენკოს საღ აზროვნებაში“.**

ყველას თავისი გასჭირვებია...

**არმაზ სანებლიძე**

**P. S. უშოვნეთ მიშას ერთი პროპელერი...**

**ჰომოსექსუალიზმი საფრთხეს უქმნის ქართველი ერის გადარჩენასა და განვითარებას, რომელიც ისედაც კატასტროფულ დემოგრაფიულ მდგომარეობაშია — საქართველოს მოსახლეობა 2002-დან 2014 წლამდე 14%-ით შემცირდა და ახლა 3,7 მლნ კაცს შეადგენს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნიდან 700 000-ზე მეტი მოქალაქე გავიდა.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 300 სპარტელიდან 300 პედერასტამდე

**ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო სპარტა (XI-II ს.ს. ჩვ.წ.აღ.) აღზრდის უნიკალური სისტემით (აგოგე) გამოირჩეოდა. ბერძენი ფილოსოფოსი, ბიოგრაფი და მორალისტი პლუტარქე (45-127) წერს, რომ სპარტაში ახალშობილებს, თუკი მათ რამე ფიზიკურ ნაკლს შეამჩნევდნენ, უფსკრულში აგდებდნენ, ჯანმრთელ ბავშვებს კი მკაცრად ზრდიდნენ. 7 წლის მოზარდი მიჰყავდათ სამხედრო ბანაკში, სადაც ფიზიკურად წვრთნიდნენ და იარაღის გამოყენებასა და ექსტრემულ პირობებში თავის გადარჩენას ასწავლიდნენ. სწორედ ეს განაპირობებდა სპარტელთა ჯარის სიძლიერეს, რომლის 300 წარმომადგენელმა მეფე ლეონიდეს ხელმძღვანელობით ჩვ.წ.აღ. 480 წელს ფერმოპილის ხეობაში რამდენიმე დღის განმავლობაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სპარსთა 250-ათასიან ლაშქარს და ათასობით ჯარისკაცი დაუხოცა.**



## რომელ აღლუმში მიიღებს მონაწილეობას თქვენი შვილი?



სპარტელთა გმირობის შემდეგ თითქმის 2500 წელიწადი გავიდა. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ტრადიციები ოჯახის, მშობლების, წინაპრების მიმართ, რომლებიც ქრისტიანულმა რელიგიამ ევროპის ხალხების უპირველეს ფასეულობებად აქცია. დღეს კი ვითარება მკვეთრად შეიცვალა — სოდომია ცისარტყელას ფერებით აყვავდა მსოფლიოში და ამ ფასეულობებს განადგურებით ემუქრება — უკვე ბევრ ქვეყანაში დააკანონეს ერთსქესიანთა ქორწინება, კაცი კაცზე თხოვდება, ქალი — ქალზე...

6 ივლისს კიევში, ობოლენსკის სახელობის სანაპიროზე, ლგბტ აქტივისტების მიერ ორგანიზებული „თანასწორობის მარში“ გაიმართა ლოზუნგით „უკრაინა ევროპაა“, თუმცა ეს ე.წ. მარში მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა. სამართალდამცველებით გარშემორტყმულ 300 პედერასტსა და ლესბოსელს, რომელთა შორის ქართველებიც იყვნენ, 500 მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ თავს დაესხა 30-40 ახალგაზრდა, მათ მარშის მონაწილეებს ცრემლმდენი გაზი შეასხურეს და პეტარდები ესროლეს. დაზარალდა 5 სამართალდამცველი, აღლუმის 4 მონაწილე და რადიკალურად განწყობილი 10 ახალგაზრდა, დააკავეს 25 ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** მხარი დაუჭირა ლგბტ თემის მარშს და განაცხადა, რომ „ეს თითოეული უკრაინელის კონსტიტუციური უფლებაა“.

პედერასტებისა და ლესბოსელების მხარდამჭერი განცხადება გააკეთა აშშ-ის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა **ბრუს დონაჰიუმ: „როდესაც კიევში ლგბტ საზოგადოების მარში გაიმართება, ამერიკის შეერთებული შტატები მხარში ამოგიდგებათ. ეს ბრძოლა მნიშვნელოვანია, რადგან მოქალაქეთა უფლებების გაფართოებითა და თანაბრობის დაცვით ჩვენ ვაშენებთ უფრო სამართლიან და თავისუფალ საზოგადოებას“,** — ნათქვამია დონაჰიუს განცხადებაში, რომელიც უკრაინაში აშშ-ის საელჩოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**როგორი თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოების აშენება იცის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სხვა ქვეყნებში (საკითხავია, რა ხელი აქვს მას სხვა ქვეყანაში „საზოგადოების აშენებასთან“?!) ნათლად გამოჩნდა საქართველოსა და უკრაინაში, არაბული გაზაფხულით „აშენებულ“ ლიბიასა და ეგვიპტეში, ერაყსა და ავღანეთში, უფრო ადრე — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, ლაოსში, კამბოჯაში, ვიეტნამში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში...**

ამერიკელთა მიერ სხვა ქვეყნებში დემოკრატიის სახელით ჩადენილ დანაშაულებზე არაერთხელ წერდა „საქართველო და მსოფლიო“ და ახლა მათ ჩამოთვლას აღარ განვაგრძობთ, მაგრამ შევჩერდებით უკრაინაზე, რომლის „აშენებაც“ უკვე მოასწრო დემოკრატიის აკვნად წოდებულმა აშშ-მა.

უკრაინაში „დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის“ ბრძოლა და „ახალი საზოგადოების“ შენება აშშ-მა 2013 წლის ნოემბერში დაიწყო ე.წ. ევრომაიდნით, როდესაც კიევის ცენტრალურ მოედანზე გამოსულმა ხალხმა ევროკავშირთან უკრაინის ასოცირების შეთანხმების შეჩერება გააპროტესტა. ეს იყო საბაბი უკრაინის კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობისა, რომელსაც მხარს აქტიურად უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები. იმ პერიოდში მაიდანზე სნაიპერთა ტყვიებით ათეულობით ადამიანი დაიხოცა, ოდესაში პროფკავშირების სახლში გამოწვეს ათეულობით ადამიანი, მაგრამ არავინ დასჯილა. სწორედ **აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი (როგორც ფინანსურად, ისე ფიზიკურად) მაიდნის შემდეგ აყვავდა უკრაინაში ფაშიზმი და კორუფცია, მოიმატა პოლიტიკური მკვლელობებისა და თვითმკვლელობების რაოდენობამ, სწორედ ამერიკელთა წაქეზებით დაიწყო უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ ძმათამკვლელი ომი რუსეთთან, შედეგად — დაკარგა ყირიმის ნახევარკუნძული, დონბასისა და ლუგანსკის ოლქები, აშშ-ისა და ევროკავშირის კრედიტების შემყურე ქვეყანა გაპარტახდა და დეფოლტის პირასაა.** აი, ასეთ დღეშია ამერიკელთა მხარდაჭერილი უკრაინა, რომლის ხელისუფლებამაც 6 ივნისს პედერასტებისა და ლესბოსელების აღლუმის ჩასატარებლად მოიცალა, რათა დასავლელი მფარველებისთვის დაენახვებინა, — „უკრაინა ევროპაა!“ **დღეს, როდესაც უკრაინის აღმოსავლეთში ძმათამკვლელი ომი მიმდინარეობს და ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპება, უკრაინელმა პედერასტებმა ქართველ კოლეგებთან ერთად დრო გამონახეს ე.წ. თანასწორობის მარშის გასამართავად. ამას უწოდებს აშშ „თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოების“ შენებას! აი დროება, აი ზნე-ჩვეულებანი!**

ყველამ იცის, რომ უკრაინის შს მინისტრი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია, თუმცა ის სოდომიის აგიტაცია-პროპაგანდას არ ეწევა ქვეყანაში — ჯერჯერობით მაინც. ჯერჯერობით არც უკრაინელი მამაკაცი-მინისტრი გაჰყოლია ცოლად თავის „ბოიფრენდს,“ როგორც ეს 2010 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **გიდო ვესტერველემ** გააკეთა, ახლახან კი — ლუქსემბურგის პრემიერმინისტრმა **ქსავიე ბეტელმა...**

**უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაცვიფრებელი არ უნდა იყოს — ეს ფილმი ხომ უკვე ნანახი გვაქვს! 9 წლის განმავლობაში საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ ამერიკელთა ხელდასხმული და მათ მიერვე „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკე: განათლებისა და კულტურის ნგრევა; ბიზნესის ტერორი; ადამიანებისთვის ქონების წართმევა; ახალგაზრდების დახვრეტა ქუჩებში; წამება-გაუპატიურება ციხეებში, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ტერიტორიების დაკარგვა და ა.შ.**

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს დღეს უკრაინაშიც. უფრო მეტიც — ამერიკელთა ძალისხმევით, დამნაშავე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, სააკაშვილის მეთაურობით, უკრაინის მთავრობაში საკვანძო თანამდებობებზე დანიშნეს, ალბათ, იმიტომ, რომ ის, რაც საქართველოში ვერ მოასწრეს, უკრაინაში დაასრულონ. თუმცა, რა — საქართველოშიც ხომ აშშ-ის ელჩი წყვეტს, ვინ უნდა დაინიშნოს, მაგალითად, თავდაცვის მინისტრად და ვინ უნდა იყოს ოპოზიციური პარტია...

**მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიხვდნენ, რომ ჰომოსექსუალების მეშვეობით მიმდინარეობს გარეშე ძალების ფარული შეტევა სახელმწიფოებსა და საზოგადოებებზე.** რთული არ არის შემჩნევა იმისა, რომ პედერასტებისა და ლესბოსელების მხარდაჭერა და წინ წამოწევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს ამერიკაში მძლავრად ფესვგადგმულ გეილობის. ლგბტ თემი, რომელიც მიუღებელია ტრადიციული კულტურებისთვის, გარეშე ძალებს თავისი ინტერესების გასატარებლად სჭირდებათ. **ლგბტ აქტივისტების დახმარებით, მიმდინარეობს გააფთრებული შეტევა სახელმწიფოსა და საზოგადოების საწყისებზე. ამასთანავე, პოლიტიკურად აქტიურ ჰომოსექსუალებს, ფინანსურ დაინტერესებასთან ერთად, აგრესიაც აქვთ იმ საზოგადოების მიმართ, რომლისთვისაც მიუღებელი არიან. რა თქმა უნდა, ბევრია ისეთიც, ვინც მიზეზთა გამო (ძირითადი მიზეზი ფინანსური დაინტერესებაა) თანაუგრძნობს ჰომოსექსუალებს და პედერასტიის იმიტაციასაც კი ეწევა.** დასავლური და ჩვენი ე.წ. ლიბერალური მედიასაშუალებები კი აქტიურად უჭერენ მხარს ლგბტ თემსა და მის „უფლებება-თავისუფლებებს“. ამ შემთხვევაშიც განმსაზღვრელია დიდი პოლიტიკა და დიდძალი ფული.

**ჰომოსექსუალიზმი საფრთხეს უქმნის ქართველი ერის გადარჩენასა და განვითარებას, რომელიც ისედაც კატასტროფულ დემოგრაფიულ მდგომარეობაშია — საქართველოს მოსახლეობა 2002-დან 2014 წლამდე 14%-ით შემცირდა და ახლა 3,7 მლნ კაცს შეადგენს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნიდან 700 000-ზე მეტი მოქალაქე გავიდა.**

**ოჯახი, დედობა და ბავშვობა, ტრადიციული გაგებით, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში წინაპრები გადმოგვცემდნენ, არის სწორედ ის ფასეულობები, რომლებიც უზრუნველყოფს თაობათა უწყვეტ ცვლას და რომლებიც ქართველი ერის გადარჩენისა და განვითარების აუცილებელი პირობებია.**

**ნიკა კორინთელი**

**P.S. ალბათ, არ არსებობს ნორმალური მშობელი, რომელიც არ დაფიქრებულა, ვის აღლუმში მოუწევს მის შვილს მონაწილეობა — სამხედროების თუ პედერასტების...**

GW-იუმორი
მაგზე უკეთესი გვერდი
www.geworld.net

**სააკაშვილ-ადეიშვილის ფარული მოწოდებებითა და ხელმძღვანელობით დაიწყო თბილისში აქციები მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით. ამ ამბის საბოლოო მიზანი არის ის, რომ ქართველი ხალხი მაგრად დაბოლდეს და მარიხუანის კაიფში მყოფებს, ყველას ერთბაშად მოეჩვენოს, რომ სააკაშვილი კაი ტიპია და მან სოხუმი დაიბრუნა!**




# შევუტიოთ ოდესას — დავიბრუნოთ სოხუმი!

**სააკაშვილი მაგრად დაბოლდა და ოდესა სოხუმად მოეჩვენა! ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო დაბოლილზე დანახულმა ზღვამ, პალმებმა და თოლიებმა. დაბოლილმა სააკაშვილმა ოდესის პროკურორად ადეიშვილი დანიშნა, ხოლო ოდესის მილიციის უფროსად — ლორთქიფანიძე**

**საბოლოოდ აეხადა ფარდა საიდუმლოს, რატომ იყო გასულ კვირაში ყველაზე აქტიური მარიხუანისა და ოდესის თემები, უფრო ზუსტად, ოდესაში კიდევ არაერთი ქართველის ჩაყვანა და დასაქმება.**

ყველაზე ხმაურიანი „ოდესელი ქართველი“ მიშა სააკაშვილის შემდეგ **ზურაბ ადეიშვილი** გახდა. იგი ოდესის ოლქის მთავარ პროკურორად დაინიშნა და ბევრს ეგონა, ამით დასრულდა კიდეც ოდესაში ქართველთა მომრავლება-მომძლავრების პროცესი, მაგრამ მოგვიანებით საზოგადოება გააოგნა ინფორმაციამ, რომ ოდესაში მიშას, ადეიშვილის გარდა, **გიორგი არველაძე** და **გიორგი ვაშაძეც** ჩაუყვანია. მართალია, ამ ორს ჯერ ოფიციალური პოსტები არ მიუღიათ ოდესის მმართველობაში, მაგრამ მათი იქ ჩასვლა რაღაც კონკრეტულზე უნდა მიანიშნებდეს.

და, რა თქმა უნდა, ყოველივე ნათელი გახადა მიხეილ სააკაშვილის მიერ „რუსთავი 2“-ის ეთერში წამოსროლილმა ფრაზამ: **„მე რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე გავხდი, ეგ არაფერს ნიშნავს, მე და ჩემი გუნდი მაინც შევუსრულებთ საქართველოსა და ქართველებს იმ ყველაზე მთავარს, რასაც შევპირდით!“**

ლოგიკური ჯაჭვი რომ შევკრათ, ყველაზე მარტივია, დავფიქრდეთ და გავიხსენოთ, **რა იყო „ყველაზე მთავარი“, რომელსაც მიშა სააკაშვილი საკუთარი ქვეყნიდან სამარცხვინო გაქცევამდე გვპირდებოდა?**

**რაღა თქმა უნდა, სოხუმის დაბრუნება!**

**სწორედ ეს იყო სააკაშვილის „ყველაზე მთავარი“ დაპირება, რომლითაც 2008 წელს კიდევ ერთხელ მოატყუა ხალხი და დავით ბაქრაძესთან ერთად ტელეეთერში მჯდომმა პირობა მოგვცა, რომ „მომავალ წელს“ სოხუმში შევხვდებოდით....**

და რა კავშირშია სოხუმი ოდესასთან? — პირდაპირ კავშირში! და ეს ორივე, არ გაგიკვირდეთ და, კიდევ უფრო პირდაპირ კავშირშია მარიხუანასთან.

აკი, ყველას კარგად გვახსოვს სააკაშვილის მიდრეკილება გამაბრუებელ-დამაბოლებელი საშუალებების მიმართ.

აბა, **ახლა ის გაიხსენეთ, გასულ კვირაში მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნით გამართულ აქციებში როგორ აქტიურობდნენ სწორედ „ნაცების“ მხარდამჭერები!**

პოეტ-დეფი! კრეატივ-მშვილდაძე და კიდევ სხვა ცნობილი „ნაც-აქტივისტები“...

მოკლედ, ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა იკვლია, იკვლია და დაადგინა:

**სააკაშვილი მაგრად დაბოლდა და ოდესა სოხუმად მოეჩვენა! ამას, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო დაბოლილზე დანახულმა ზღვამ, პალმებმა და თოლიებმა.**

ეს ფაქტი უპირობოდ დასტურდება იმით, რომ **დაბოლილმა სააკაშვილმა ოდესის პროკურორად ადეიშვილი დანიშნა, ხოლო ოდესის მილიციის უფროსად — ლორთქიფანიძე. როგორც ჩანს, ასევე დაბოლილი ვაშაძე მალე შეეცდება, ოდესელებს საქართველოს მოქალაქეების პასპორტები ნელ-ნელა შეატყუოს, ხოლო გიორგი არველაძე ჩაიბარებს ოდესის ტელევიზიას და იქ მისდროინდელ „იმედზე“ რომ იყო, დაახლოებით მსგავს „მოდელირებულ“ სიუჟეტებს გაუშვებს იმის შესახებ, რომ ოდესა ძირძველი ქართული მიწაა და მას ჩვენს წელთაღრიცხვამდე სოხუმი ერქვა!**

ასეთი მეთოდით აპირებენ დიდი ქართველი მოღვაწეები სოხუმის დაბრუნებას, თუმცა არსებობს ერთი დეტალი — როდესაც ისინი შეატყობინებენ ქართველ ხალხს, რომ საქართველოს სოხუმი დაუბრუნეს, ხალხმა ეს ხომ უნდა დაიჯეროს?

აი, სწორედ ამიტომ, **სააკაშვილ-ადეიშვილის ფარული მოწოდებებითა და ხელმძღვანელობით, დაიწყო თბილისში აქციები მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით. ამ ამბის საბოლოო მიზანი არის ის, რომ ქართველი ხალხი მაგრად დაბოლდეს და მარიხუანის კაიფში მყოფებს, ყველას ერთბაშად მოეჩვენოს, რომ სააკაშვილი კაი ტიპია და მან სოხუმი დაიბრუნა!**

როგორც ჩვენს არც ისე სპეციალურ კორესპონდენტს ჩვენმა არასანდო წყარომ შეატყობინა, ამ გზით სოხუმის დაბრუნების საკითხი დაბოლილ სააკაშვილსა და მის გუნდს უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია.

ახლა მიმდინარეობს თათბირი იმის შესახებ, რა მოუხერხონ დასაბრუნებელ ცხინვალს, რადგან უკრაინის ზღვიანი რეგიონები რომ ხალხს ცხინვალად მოაჩვენო, ყოვლად შეუძლებელია!

ამიტომ, სავარაუდოდ, **ბობოლა „ნაცები“ ცხინვალის ნაცვლად მალე დაიწყებენ კიევის ათვისებას და მას დაბოლილ ქართველ ხალხს „დაუბრუნებენ“, როგორც ცხინვალს!**

ამის იმედს იძლევა უკრაინის პრეზიდენტის — პეტრო პოროშენკოს ბოლო განცხადება, რომ „სააკაშვილი უკრაინაში მალე უფრო დიდ და საპასუხისმგებლო პოსტს დაიკავებს“.

საინფორმაციო საშუალებები, რომლებმაც გაავრცელეს ეს ინფორმაცია, დიდ გაკვირვებას გამოთქვამდნენ, რამ აიძულა პოროშენკო, ასეთი სისულელეები ილაპარაკოს.

მაგრამ ჩვენთვის და ჩვენი მკითხველისთვის ხომ ყველაფერი უკვე ნათელზე ნათელია!

**როგორც ჩანს, სააკაშვილს მართლა მაგარი მოსაწევი აუგდია!..**

**რაჯანდაბა მოწია**

GW-იუმორი
მაიკლ ჯექსონის მეგობარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენმა ფარულმა კორესპონდენტმა მოახერხა ბიძინა ივანიშვილის აკვარიუმში ზვიგენებთან დამეგობრება. მან ასეთი ხერხით მოიპოვა სენსაციური მასალა, როგორ ესტუმრა ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ბიძინას და როგორ მოსთხოვა, რომ დაანებოს თავი სააკაშვილს.**

# ვინ აიძულებს ბიძინას, დაივიწყოს სააკაშვილი?

**საზოგადოება შოკში ჩააგდო ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელმა განცხადებამ: „არავის აღარ აინტერესებს, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა თუ არა! მიშა უკვე წარსულია და მასზე საერთოდ თუ აღარ ვილაპარაკებთ, უკეთესია!“**

მიაქციეთ ყურადღება სიტყვას „არავის“! ნეტავ, ვინ „არავის“ აინტერესებს, სააკაშვილი არის თუ არა საშიში საქართველოსთვის? ეგ რომ არავის აინტერესებდეს, მაშინ კითხვებსაც ხომ არავინ დასვამდა?! სინამდვილეში სწორედაც ყველას აინტერესებს, რა საფრთხეს წარმოადგენს მიშა სააკაშვილი საქართველოსთვის და არის თუ არა რეალური, რომ მან შეძლოს დაბრუნება საქართველოში.

მაშ, რატომ იყო ასეთი ხისტი ბიძინას პასუხი ჟურნალისტების კითხვაზე? ნაპრემიერალი ამ პასუხის გაცემისას ცოტა აღელვებულიც ჩანდა და აშკარა იყო, ასე მხოლოდ იმიტომ უპასუხა, რომ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

მაგალითად, ხომ შეეძლო, ეთქვა: **„ჩვენ სააკაშვილს დავაპატიმრებთ და ჩამოვიყვანთ!“**

ან — **„ხალხი არ დაივიწყებს მიშას მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ის უნდა დაისაჯოს!**

განა ასეთი ფრაზებით უფრო არ დაიმსახურებდა ხალხის სიყვარულს?

არა! **პრემიერის პასუხიდან აშკარად ჩანდა, რომ მას სურს სააკაშვილის, როგორც „წარსულის აჩრდილის“, თავიდან მოშორება და მასთან დაკავშირებული კითხვებისთვის თავის არიდება...**

სწორედ ამ ყველაფერს ჩაავლო ხელი ჩვენმა ფარულმა კორესპონდენტმა და მოახერხა ბიძინა ივანიშვილის აკვარიუმში ზვიგენებთან დამეგობრება. მან **ასეთი ხერხით მოიპოვა სენსაციური მასალა, როგორ ესტუმრა ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ბიძინას და როგორ მოსთხოვა, რომ დაანებოს თავი სააკაშვილს.**

გთავაზობთ უშუალოდ ბიძინას ზვიგენის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას:

ივანიშვილი ცხელ „კაპუჩინოს“ და თბილ კრუასანებს მიირთმევდა, ტანთ ეცვა თეთრი „ჟატის“ ხალათი, კურდღლისყურებიანი სახლის ჩუსტები, ესალმებოდა დელფინებს და გასაოცარი დემოკრატიის შედეგებს აჯამებდა, როდესაც მოულოდნელად რიჩარდ ნორლანდი დაატყდა თავს.

შეცბუნებულ ივანიშვილს წამსვე ამოუცვამს შარვალი და ზრდილად დახვედრია ამერიკელ სტუმარს.

— გამარჯობა, გრიგორიჩ! — მიესალმა რიჩი,

— რიჩარდს ვახლავართ, მობრძანდი, რამე ხომ არ გაგჭირვებია? — ჰკითხა ნამთავარკაცარმა.

— მე რა მიჭირს, მათ იკითხონ, ვისაც უჭირს, — უპასუხია ამაყი ღიმილით და პუფზე ჩამომჯდარა, — მაგრამ ერთი საკითხი უნდა მოგვარდეს, — დაიწყო რიჩიმ და თხლად დაჭრილი ძეხვი ახლად გამომცხვარ პურში ჩადო.

— გისმენ, — მოსასმენად მოემზადა ნამთავარკაცარი.

— მოკლედ, ჩვენს ძაღლიშვილს თავი უნდა დაანებოთ, ხომ იცი, ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენია, — თქვა რიჩიმ და თხლად დაჭრილ ძეხვს ფორთოხლის წვენი მიაწრუპა.

— ეგ რომელ ძაღლიშვილზე მესაუბრებით, თქვენ ეგეთი ბევრი გყავთ...

— მთავარი ძაღლიშვილი, გრიგორიჩ! გუშინ დამირეკა ოდესიდან, ხმა უკანკალებდა, მეხვეწებოდა, რამე შეაგნებინე მაგას, მე თავი დამანებოს და, თუ უნდა, ქვა ქვაზე არ დარჩენილაო.

— გასაგებია, მაგრამ, დავუშვათ, მე ხელი არ ვახლე მაგას, ხალხს რა ვუყოთ? ის მოითხოვს გასამართლებას, თორემ, ეგ რომ მდომოდა, აქ არ მყავდა? მეორე დღესვე გავუშვებდი იქ, სადაც საჭიროა, — თქვა ივანიშვილმა და ჭიქა მაგიდაზე დადო.

— ხალხი ბრბოა, ერთი ნაწილი აყვირდება, მეორე ტაშს დაგიკრავს, მესამე დუმილს ამჯობინებს. სრულყოფილი არავინ ვართ, ბატონო ბიძინა, ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი ცოდვები, — უთხრა ნორლანდმა და დაორთქლილი სათვალე გაწმინდა.

— არა, მე მაინც უნდა მოვიფიქრო, რა ვუთხრა ხალხს ან ჟურნალისტებს, როდესაც კითხვას დამისვამენ მაგ თქვენს ძაღლიშვილზე.

— კარგი, გრიგორიჩ, მაგრამ, მაგას თუ ვერ მოიფიქრებ, მაშინ ის მოიფიქრე, როგორ უნდა შეინარჩუნო შენი 7 მილიარდი, თუკი მე და კიდევ ზოგიერთი ამის შესახებ კითხვებს დავსვამთ იქ, სადაც საჭიროა... მე მეტს არ შეგაწუხებთ, თქვენ კი იფიქრეთ, — თქვა ნორლანდმა და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა სოლოლაკის დაღმართზე.



**— კარგი, გრიგორიჩ, მაგრამ, მაგას თუ ვერ მოიფიქრებ, მაშინ ის მოიფიქრე, როგორ უნდა შეინარჩუნო შენი 7 მილიარდი, თუკი მე და კიდევ ზოგიერთი ამის შესახებ კითხვებს დავსვამთ იქ, სადაც საჭიროა... მე მეტს არ შეგაწუხებთ, თქვენ კი იფიქრეთ, — თქვა ნორლანდმა და სწრაფი ნაბიჯით დაეშვა სოლოლაკის დაღმართზე**

ბიძინა საგონებელში ჩავარდა. ორი დღე და ღამე დანა პირს არ უხსნიდა, გადიოდა ტერასაზე, გამოდიოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, არც ნიცშე ჩანდა, ჰეგელის ხმა კი ყრუდ ესმოდა.

ბოლოს თქვა, რაც იქნება იქნება, რაც უნდათ, ის თქვან, მე მაინც ჭარბი ნდობა მაქვსო, მოიხურა საბანი და ძილის წინ მტკიცედ წარმოთქვა „მიშა წარსულია და აღარ გვაინტერესებს! მიშა წარსულია არავის აინტერესებს! მიშა წარსულია...“

მერე გადაიფარა „ჟატის“ საბანი და ღრმა ძილს მიეცა.

**გრიგოლ ინგაძე**

# ინტერვიუ ლეღვის ფოთოლთან



**თავიდანვე სიმართლეს გეტყვით, ჩვენი მიზანი არ იყო ინტერვიუს ჩაწერა ლეღვის ფოთოლთან. ეს, უბრალოდ, მისი ინიციატივა იყო, ელაპარაკა იმის მაგივრად, რასაც ასე საგულდაგულოდ ეფარებოდა. იმასაც გეტყვით, იმისთვისაც, რასაც ის ეფარებოდა, მხოლოდ ნამდვილი სახელის თქმა გვინდოდა ხმამაღლა, თორემ კითხვების დასმას არც ამ შემთხვევაში ვაპირებდით. უბრალოდ, ლეღვის ფოთოლმა, როგორც საზოგადოდ ლეღვის ფოთლებს სჩვევიათ ხოლმე, თვითონ გამოიჩინა ინიციატივა:**

— მე მითხარით და გადავცემ! — მკაცრად დაიწყო მან.

**— გადაეცით, რომ ის არის...**

— ეგ იცის! ყველა მაგას ეუბნება, სხვა თქვით რამე, თუ გინდათ! — მოგვიჭრა სიტყვა.

**— სხვა არაფერი. მხოლოდ ეგ გვინდოდა.**

— აი, თქვენნაირების გამკვირვებია, რა! ამხელა ამბავს მაგიტომ ატეხთ ხოლმე, რომ ეგ უთხრათ? მეტი საქმე არ გაქვთ?

**— მერე შენ რაღა გინდა, რაღას ეფარები?**

— აბა, აქ თუ არ ავეფარები, მაშინ ლეღვის ხეზე უნდა ვიყო ჩამოკიდებული, ერთ ადგილზე!

**— და ახლა უკეთეს ადგილზე ხარ ჩამოკიდებული?**

— რა შედარებაა! აქ ამასთან ერთად აქეთ-იქით მაინც დავდივარ, ქვეყანას ვათვალიერებ...

**— რას ათვალიერებ, კაცო, შენ?! ჰა, დიდი-დიდი, ბევრი ტუალეტი გქონდეს ნანახი, სხვას ვინ რას განახვებს?!**

— ლეღვის ხეზე ვერც მაგას ვნახავდი!

**— იქ შენნაირებთან ერთად მაინც იქნებოდი და ერთ ბედს გაიზიარებდით!**

— კაი, კაცო, ერთი! ეგ სულელები, უარი თქვეს აფარებაზე და არიან ჩამოკიდებული ხეზე და როდის მოწყვეტს ქარი, სად წააფრიალებს, ღმერთმა უწყის! ეგაა ცხოვრება?

**— და შენ რამდენ ხანს აპირებ მაგას აეფარო?**

— მე? არ მოვშორდები არასოდეს!

**— შენამდე რომ იყო აფარებული, ის სადაა?**

— ის მოიშორეს... მოიფრიალეს და მე უფრო ახალი და უფრო ლამაზი... მოიცა, შენ გინდა, თქვა, რომ... არა...

აქ ლეღვის ფოთოლი ისე აცახცახდა, რომ სიტყვის დაძვრა ველარ შეძლო, ამიტომ ინტერვიუს გაგრძელებასაც აზრი აღარ ჰქონდა და წამოვედით. გზად ლეღვის ფოთლების მთელი აცმა დავინახეთ, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: „ეს რომ გამოჭიმულა იქ, ჩვენ რა, ნაკლებად ავეფარებით?“ — და მტრული თვალით უყურებდნენ ჩვენს რესპონდენტს...

**რა შედარებაა! აქ ამასთან ერთად აქეთ-იქით მაინც დავდივარ, ქვეყანას ვათვალიერებ...**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესები რუსეთთან, გამოვიყენოთ, სადაც საჭიროა, ვივაჭროთ, დავთმოთ, დავათმობინოთ. ესაა დიპლომატია. მხოლოდ ამ გზით მივალთ საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებამდე. თორემ ხომ ვხედავთ, რომ ჩვენი მეგობრები ამ გაერთიანების დეკლარირების იქით ვერ მიდიან. ვერც მივლენ.“**

### ნაპოლეონ ქარქაშაძე:

# ისინი, ვის კისერზეც არის აფხაზეთის განდგომა, დღესაც ყელყელაობენ



**ჩვენს საზოგადოებას ხომ არ დაავიწყდა აფხაზეთი? — ამ თემაზე ვიწყებთ საუბარს, ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძესთან, ჩვენი გაზეთის ჭეშმარიტ მეგობართან, რომელიც წლების განმავლობაში სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად მუშაობდა და დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა აფხაზეთში.**

— სამწუხაროდ, წავიდა თაობა, რომელსაც აფხაზეთი ტკიოდა და რომლის მიზანი იქ დაბრუნება იყო, — **ამბობს ბატონი ნაპოლეონი,** — დღევანდელი ახალგაზრდა თაობის ინტერესსა და პრობლემებში აფხაზეთი „ვერ ჯდება“, მეორეხარისხოვან საკითხთა რიგშია გადასული.

**— მიზეზი?**

— მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი უახლეს ისტორიაში უნდა ვეძებოთ. აფხაზეთის ომი მაქვს მხედველობაში, როცა ბევრი ფაქტორი ერთმანეთს გადაეხლართა. ერთ-ერთი იყო ამ ომში მებრძოლი ქართველებისა და აფხაზების განსხვავებული მოტივაცია. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგალითად, ლაგოდეხის ან ტყიბულის ბატალიონებისთვის არ აღიქმებოდა ისეთ მოტივად, რომლისთვისაც ღირდა თავის გაწირვა. აფხაზები კი სამშობლოს დასაცავად იბრძოდნენ (ეს მათ მტკიცედ ჩაუნერგეს).

ეს ორი, განსხვავებული მოტივაცია ამჟამად საზოგადოებაშია გადასული.

ვინ იბრძოდა ძირითადად აფხაზეთში? ე.წ. საძმოების წევრები, მხედრიონელები, კრიმინალური განწყობილების ელემენტები, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ომი შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს, თუ მოიპარავ, იქურდებ და გაძარცვავ. ამაზე რატომღაც არ ვლაპარაკობთ.

რა თქმა უნდა, მოხალისეებში იყვნენ გულანთებული პატრიოტებიც, მაგრამ ისინი მასაზე გავლენას ვერ ახდენდნენ. არც ისეთი შემთხვევები იყო იშვიათი, როცა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ჯგუფები თვითნებურად ტოვებდნენ წინა ხაზს და ფრონტს აშიშვლებდნენ.

არავინ კითხულობს, რატომ გაიქცა საქართველოდან პროფესიონალი სამხედრო — გენერალი კამკამიძე.

**— რატომ გაიქცა?**

— იმიტომ, რომ ელემენტარულ კითხვებზე ვერ მიიღო პასუხები: რამდენი მებრძოლი გვყავდა (მიახლოებით მაინც), როგორი შეიარაღება გვქონდა, ვინ და სად წვრთნიდა მებრძოლებს, ვინ ვის ექვემდებარებოდა, ან ექვემდებარებოდა კი საერთოდ? ელემენტარული საბრძოლო გეგმაც არ არსებობდა. ყველა მისი მცდელობა, წესრიგი დაემყარებინა, ამაო გამოდგა.

საგანგებო მდგომარეობაც არ გამოცხადებულა საქართველოში.



რადგან ჩემს მისიას აზრი ეკარგებოდა.

ცხადია, შევხვდი. საინტერესო საუბარი გაიმართა. არძინბა მეუბნება, ჩვენ გვაქვს საზოგადოება “აიდგილარა”, რომელიც აფხაზეთის კეთილდღეობისთვის იბრძვის (გამოყოფისთვის იბრძვისო,— არ უთქვამს). ქართველების მხრიდან აქტიურობს თხუთმეტამდე ორგანიზაცია, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან. მათ შორის ზოგი ბანდიტური ორგანიზაციაა, ზოგს სათავეში ნარკომანი უდგას. მხედველობაში ჰყავდა ვინმე ახალაია, რომელმაც პოლკოვნიკის პაგონები დაიკერა და თავისი შეიარაღებული რაზმი შექმნა, ასევე, კაკუბავა და ა.შ. მითხარით, ვის დაველაპარაკო, თორემ ერთს რომ შევხვდები, მეორეს გული მოსდის. იქნებ, თქვენნაირი

**«ჩვენი მოსახლეობის ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს თუ დავუჯერებთ, 31 პროცენტმა თქვა, რომ რუსეთთან დალაპარაკება აუცილებელია. ამით მაინცდამაინც ის კი არ განაცხადეს, რომ გინდა თუ არა, ევრაზიის კავშირში უნდა შევიდეს საქართველო — დავილაპარაკოთო»**

პოლიტიკურ სპექტრზე არაფერს ვიტყვი. არადა, **ისინი, ვის კისერზეც არის აფხაზეთის განდგომა, დღესაც ყელყელაობენ.**

სიმართლის მთქმელი ადამიანები ცოტანი არიან. იტყვი და „მოღალატის“, „პუტინის აგენტის“ იარლიყს მოგაკერებენ.

**— რამდენიმე წლის წინათ, როცა ყოფილები ზეობდნენ, თქვენ, ბატონო ნაპოლეონ, გულდაწყვეტით შენიშნეთ, რომ ხელისუფლება არაფერს ეკითხება, არ ელაპარაკება აფხაზეთში მოღვაწე ქართველებს, რომლებიც სხვაზე უკეთ იცნობენ იქაურ პრობლემებს, მათ აფხაზები პატივს სცემენ და ენდობიან კიდეც. ხელისუფლება შეიცვალა. ახალმა მმართველებმა თუ მიგიწვიეს?**

— სააკაშვილის ხელისუფლება სხვანაირად არც მოიქცეოდა.

ვიდრე ახლანდელ ხელისუფლებაზე რამეს გეტყვით, ერთ საინტერესო მომენტს გავიხსენებ.

აფხაზეთში სიტუაციის გამწვავება როცა ვიგრძენი, მივედი მაშინდელ იმელის შენობაში სახელმწიფოს მეთაურ **ედუარდ შევარდნაძესთან** შესახვედრად. ვერ ვნახე და **გოგუაძეს** შევთავაზე, რომ წავიდოდი სოხუმში და არძინბას დაველაპარაკებოდი. მხარი დამიჭირა და მე და გენერალი აბაშიძე გავემგზავრეთ აფხაზეთში.

ქართული და აფხაზური დეპუტაციები ცალ-ცალკე ფლიგელებში რომ ისხდნენ, ეგ არაფერი. მაგრამ ერთმანეთს რომ არ ელაპარაკებოდნენ, მათ შორის რა შეთანხმების იმედი უნდა გვქონოდა?

ქართულ დეპუტაციას რომ ველაპარაკებოდი, გამიხმეს და მითხრეს, რომ ჩემთან შეხვედრა სურდა ანქვაბს. მივედი. ერთ საათს ვისაუბრეთ. ბოლოს მეუბნება, **არძინბას** ხომ არ შეხვდებიო. ქართველებმა კატეგორიულად ამიკრძალეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრა. არ დავეთანხმე, ხალხი ჩამოვიდეს თბილისიდან და მოვილაპარაკოთო.

არ მითქვამს, თვითონ რომ არ შეხვდა **სიგუას,** მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც თბილისიდან სპეციალურად იყო ჩასული. არ ვუთხარი იმიტომ, რომ ურთიერთის მიმართ გამოთქმულ საყვედურებში მოლაპარაკების იდეა დაიმარხებოდა.

მოკლედ, არძინბა მზად იყო მოლაპარაკების გასამართავად.

თბილისში რომ დავბრუნდი, დავწერე მოხსენებითი ბარათი, ჩამოვთვალე საკითხები, რომლებზეც ოპერატიულად შეიძლებოდა მოლაპარაკების გამართვა. საკითხების მეორე ნაწილისთვის პერსპექტივაში იყო შესაძლებელი ნიადაგის მომზადება. ხოლო საკითხების კიდევ ერთ ჯგუფს საერთოდ არ უნდა შევხებოდით არსებულ სიტუაციაში.

მივიტანე სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიაში, სადაც აფხაზეთთან ურთიერთობის საკითხებს კურატორობდაშევარდნაძის თანაშემწე, პროფესორი ალექსიძე.

▶

**«ქვეყნის ბედს წყვეტენ ვიღაც ელჩები და საერთაშორისო ორგანიზაციების ვიღაც წარმომადგენლები. ჩემთვის გაუგებარია, გყავდეს ისეთი ინტელექტუალი, მეცნიერი, შესანიშნავი ორგანიზატორი, გამოცდილი პიროვნება, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა, რომელიც აფხაზეთში გაიზარდა, იქ ჰყავს მეგობრები, სერიოზული, აქტიური კავშირები გააჩნია სოხუმსა და სრულიად აფხაზეთში, ამჟამად მოსკოვში მოღვაწეობს, და არ იყენებდე მას აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად»**

## ვლადიმერ პუტინი: მხოლოდ არაჯანმრთელი ადამიანი წარმოიდგენს, რომ რუსეთი ნატოს წევრ ქვეყნებს თავს დაესხმება

**„რაც შეეხება ზოგიერთი ქვეყნის შეშფოთებას რუსეთის შესაძლო აგრესიული ქმედებების შესახებ, ვფიქრობ, მხოლოდ არაჯანმრთელ ადამიანს, თანაც მხოლოდ სიზმარში, შეუძლია, წარმოიდგინოს, რომ რუსეთი მოულოდნელად ნატოს თავს დაესხმება. როგორც ვამჩნევ, ზოგიერთი ქვეყანა, უბრალოდ, სარგებლობს ადამიანების შიშით რუსეთის მიმართ“, — განაცხადა პუტინმა იტალიურ გამოცემა Corriere della Sera-სთან საუბრისას.**

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ზოგიერთ ქვეყანას ახლა სურს, ითამაშოს „წინა ხაზზე მყოფი“ ქვეყნის როლი, რომლებმაც, შესაძლოა, დამატებით სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის დახმარება მიიღონ.

ვლადიმერ პუტინი აღნიშნავს, რომ აშშ-ს სჭირდება გარე საფრთხეები ატლანტიკურ საზოგადოებაში ლიდერის პოზიციის შენარჩუნებისთვის.

„მინდა, გითხრათ, რომ რუსეთი არ არის საშიში. მსოფლიო ისე შეიცვალა, რომ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია, წარმოიდგინოს მსგავსი მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი დღეს!“ — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.





# ნოდარ ხადური: მთავრობა ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხებზე სანქციების დაწესებას არ აპირებს

**„საქართველოს მთავრობა ემიგრანტების ან საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს სხვა მოქალაქეების მიერ საქართველოში გადმორიცხულ თანხებზე, ფულად გზავნილებზე არანაირი სანქციების დაწესებას არ აპირებს“, — ეს განცხადება ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა სოციალურ ქსელში გაავრცელა.** მინისტრი წერს, რომ მსგავსი საკითხი ამ მთავრობას არასოდეს განუხილავს. „ამ საკითხზე სოციალურ ქსელში გავრცელებული ცნობები არის დეზინფორმაცია და სრული სიყალბე. მეგობრებო, გთხოვთ, ნუ აზიარებთ ამ ყალბ ინფორმაციას და ჩემს კომენტარს, რომელიც 2014 წლის ბოლოს არის ჩაწერილი და სულ სხვა თემას — ლარის გაცვლით კურსს ეხება. ნუ შეუწყობთ ხელს შეგნებულად დაგეგმილ პროვოკაციას, რომლის მთავარი მიზანიც მოსახლეობის მოტყუებაა!“ — წერს მინისტრი.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— შედეგი?**

— არავითარი. კარგა ხნის შემდეგ შევხვდი შევარდნაძეს. შენი მოხსენებითი ბარათი არ მიმიღიაო. ვაჩვენე მეორე პირი. ყურადღებით წაიკითხა. მოეწონა. მაგრამ მოლაპარაკებაზე ლაპარაკი უკვე დაგვიანებული იყო.

**— დაგიძახათ თუ არა ახალმა ხელისუფლებამ?**

— იცით, რას გეტყვით? წავიდა ის თაობა აფხაზებისა, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა, ერთმანეთს ვაფასებდით, ოჯახებით ვმეგობრობდით, მსტუმრობდნენ თბილისში.

მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც არც კი იცის, ერთად რომ ვიყავით.

ვის დაველაპარაკოთ?

**— გადაიწურეთ იმედი?..**

— არა. პრობლემას გადავწყვეტთ იმ შემთხვევაში, თუ მათთვის მიმზიდველი გახდება საქართველო, ეკონომიკურად მიმზიდველი და სასურველი, აუცილებელიც კი. ამის მისაღწევად რაღაც უნდა დათმო კიდეც.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულიც კი იყო. შემდეგ ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო შეწყდა და დღეს ჩვენი ტვირთი ბაქოს გავლით მიდის ევროპაში, 800 კილომეტრით დაგრძელდა გზა პირდაპირი მნიშვნელობით. მახსენდება, გულახდილი საუბარი, **სერგეი ბაგაფშთან**, რომელიც **დავით ფილიასთან** ერთად შინ მეწვია, თბილისში. მან მაშინ თქვა, რომ არსებულ ვითარებაში ორივე მხარისთვის მისაღები ფორმულის გამოძებნა ძნელია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ ერთმანეთისკენ, რისთვისაც ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ. ამ რესურსებს შორის მან პირველ ადგილზე დააყენა რკინიგზის აღდგენის საკითხი, რომელიც მაშინ აქტიურად იბლოკებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარისთვის სასარგებლო იყო.

**— ქვეყნის ხელმძღვანელობას თუ ესაუბრეთ ამის შესახებ?**

— რასაკვირველია! რექტორთა საბჭო იმხანად პრეზიდენტთან არსებობდა და ერთ-ერთი სხდომის შემდეგ ედუარდ შევარდნაძეს რკინიგზისა და სხვა პრობლემებზე აფხაზების დამოკიდებულებაზე მოვახსენე. ყურადღებით მომისმინა და მითხრა: ასეთი წინადადებები პარლამენტის ტრიბუნიდან რომ ვთქვა, ჩამქოლავენო.

პრობლემა რომ სერიოზულია, ამაზე მეტყველებს ჩინეთის დაინტერესება საქართველოს რკინიგზით. ამის მაგალითია, თუნდაც თბილისის ვაგონმშენებელი და ვაგონშემკეთებელი ქარხნით ამ ქვეყნის შესაბამისი დარგის წარმომადგენლების დაინტერესება, რომლებსაც განზრახული აქვთ ჩვენთან ბაზის გახსნა, სადაც დამზადდება პლატფორმა-ვაგონები და კონტეინერები. ეს დაკვეთა ჩამოიტანა ბატონმა წილოსანმა, ამ ქარხნის მფლობელმა, რომელიც ეს-ესაა ჩინეთიდან ჩამოვიდა.

ეს მომენტი ხელიდან თუ გავუშვით, ჩვენი ეკონომიკის გაძლიერების რეალურ შესაძლებლობას დავკარგავთ, რადგან ჩინეთი, რომელიც ისტორიული „აბრეშუმის გზით“ ამოქმედებით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, ახალ რკინიგზას რუსეთთან შეთანხმებით ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლით გაიყვანს.

— არ მინდა, ცუდი ვთქვა ინტეგრაციისა თუ შერიგების მინისტრზე, ბატონ **ზაქარეიშვილზე,** მაპატიოს, თუთიყუშივით რომ დაუზეპირებია რუსეთთან ურთიერთობა არ გვინდაო. **ჩვენი მოსახლეობის ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს თუ დავუჯერებთ, 31 პროცენტმა თქვა, რომ რუსეთთან დალაპარაკება აუცილებელია. ამით მაინცდამაინც ის კი არ განაცხადეს, რომ გინდა თუ არა ევრაზიის კავშირში უნდა შევიდეს საქართველო — დავილაპარაკოთო.**

მე რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის წევრი ვარ და ჩემი პრაქტიკიდან ვიცი, რომ თანამშრომლობა საჭიროა და ურთიერთსასარგებლო. გვინდოდა საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება. ვერ მივაღწიეთ...

**— პოლიტიკური მოტივით?**

— აბა, კაცო?! ეს ხომ იდიოტიზმია. ჩამოვიდოდნენ საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსები, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატები. ერთმანეთს გავაცნობდით ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგებს, გავუზიარებდით გამოცდილებას. აქ პოლიტიკის სახსენებელიც არ არის...

მეჩვენება, რომ **ჩვენი, უწინარესად, საგარეო საქმეთა მინისტრის კატეგორიული განცხადებებით, მდგომარეობას უფრო ვამწვავებთ და ქვეყანას ჩიხისკენ ვუბიძგებთ. არ მესმის, ეს რა დიპლომატიაა...**

მეგობრებიო, მეგობრებიო გავიძახით, თუმცა კარგად ვიცით, რომ პოლიტიკაში მეგობრობა კი არა, ინტერესებია ურთიერთობის განმსაზღვრელი. პუტინი პოროშენკოსთან მოსალაპარაკებლად მინსკში ჩავიდა, რუსეთს უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გაუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ხდება.

**ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესები რუსეთთან, გამოვიყენოთ, სადაც საჭიროა, ვივაჭროთ, დავთმოთ, დავათმობინოთ. ესაა დიპლომატია. მხოლოდ ამ გზით მივალთ საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებამდე. თორემ ხომ ვხედავთ, რომ ჩვენი მეგობრები ამ გაერთიანების დეკლარირების იქით ვერ მიდიან. ვერც მივლენ.**

ჩვენ ვფაფხურობთ.

**— რისი ბრალია?**

— მაგალითს გეტყვით. სოხუმში ინსტიტუტის რექტორად რომ მიშვებდნენ, მმართველობის ორთვიანი კურსებზე მატარეს მოსკოვში, რომლებიც ტიმირიაზევის აკადემიასთან ფუნქციონირებდა. მმართველობის ფსიქოლოგიაში მიკითხავდნენ ლექციებს, მასწავლიდნენ მართვის ელემენტებს და შემდეგ ყოველწლიურად გვაცნობდნენ იმ სიახლეებს, რომლებიც ამ მიმართებით ქვეყანაში გროვდებოდა.

ვინ შეასწავლა დღევანდელ მმართველ ახალგაზრდულ ელიტას ეს საკითხები?

მართავენ — კი. ასწავლიან — არა. სამაგიეროდ, **ქვეყნის ბედს წყვეტენ ვიღაც ელჩები და საერთაშორისო ორგანიზაციების ვიღაც წარმომადგენლები. ჩემთვის გაუგებარია, გყავდეს ისეთი ინტელექტუალი, მეცნიერი, შესანიშნავი ორგანიზატორი, გამოცდილი პიროვნება, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა, რომელიც აფხაზეთში გაიზარდა, იქ ჰყავს მეგობრები, სერიოზული, აქტიური კავშირები გააჩნია სოხუმსა და სრულიად აფხაზეთში და არ იყენებდე მას აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად!**

ვინ და სად აანალიზებს, მაგალითად, იმ ვითარებას, რომელიც დღეს აფხაზეთშია? ვის გამოაქვს ანალიტიკური დასკვნები? ვეჭვობ, რომ ეს არ ხდება... როგორც ვიცი, აფხაზები დღეს არ გვაგინებენ. ვიყენებთ კი ამ ვითარებას იმ ხიდის აღსადგენად, რომელიც ჩვენ და აფხაზებმა ერთობლივად ჩავტეხეთ?

**— რა მოგახსენოთ... ვართ, ეტყობა, ზაქარეიშვილის იმედად...**

— თუ საქართველოს გეოპოლიტიკურ სიტუაციას ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენებთ, საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ნაკადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინად შეიძლება მოგვევლინოს, რაც ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველი გახდება. ანუ, თუ საქართველო ეკონომიკურად მიმზიდველ ქვეყნად გადაიქცევა (და სწორი პოლიტიკის შედეგად შეიძლება ასეც მოხდეს), მაშინ აფხაზეთიც და სამაჩაბლოც ბუნებრივად ქართული ეკონომიკის ცენტრისკენულ ძალებს დაექვემდებარება, მისი შემადგენელი ნაწილი გახდება. თუმცა ეს, ალბათ, შორეული პერსპექტივაა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# დემურ გიორხელიძე:
# რაც მალე დატოვებს სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი საქართველოს, მით უკეთესი



**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების ყოფნა საქართველოში სახელმწიფოს აკნინებს.**

„რაც მალე დატოვებს სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი საქართველოს და რაც მალე დავიწყებთ მათთან თანამშრომლობას, როგორც ცივილიზებული ქვეყანა, მით უკეთესი. უნდა დამთავრდეს მათი ძიძაობა. ჩვენ ეს არ გვჭირდება, იმიტომ, რომ ასე საქართველოს მთავრობა სულ იმის შიშში იქნება, რას იტყვის ესა თუ ის მისია და როგორ შეაფასებენ მის საქმიანობას.

არანაირი ტრანში სავალუტო ფონდისგან და მსოფლიო ბანკისგან საქართველოს არ სჭირდება. ეს ნარკოტიკული თრობა იაფი, მუქთი ფულისგან საქართველოს ხელისუფლებამ 25 წლის შემდეგ მაინც უნდა დაასრულოს. რაც მალე გავა მათი წარმომადგენლობა საქართველოდან, მით უფრო უკეთეს საქმეს გაუკეთებენ ისინი ჩვენს ქვეყანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ეს ძიძაობა საქართველოს საბოლოოდ დააკნინებს, როგორც სახელმწიფოს“, — განაცხადა დემურ გიორხელიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის გადაცემა „არგუმენტების დროში“.



# მეეზოვე ილია ჩოხელი თავის ხელფასს 13 მზრუნველობამოკლებულ ბავშვს უნაწილებს

**38 წლის ილია ჩოხელი „თბილსერვის ჯგუფის“ სამგორის რაიონის სპეცთანამშრომელია. მას საკმაოდ რთული ცხოვრება აქვს გავლილი. ილია 16 წლამდე ბავშვთა სახლში იზრდებოდა. როგორც კი 16 წელი შეუსრულდა, ქუჩაში აღმოჩნდა. 2 წელი ქუჩა-ქუჩა სამსახურსა და თავშესაფარს ეძებდა. ამ პერიოდში მოინათლა და ცხოვრება სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში განაგრძო, სადაც ხელობას დაეუფლა.**

წლების შემდეგ თბილისში ბინა იქირავა და 12 მზრუნველობამოკლებულ ბავშვზე პატრონობა იკისრა. ბავშვებს ნაქირავებ ბინაში ზრდიდა, მაგრამ იმის გამო, რომ მეუღლე არ ჰყავდა და არც სათანადო პირობები ჰქონდა, ბავშვები ჩამოართვეს.

2012 წლიდან ილია „თბილსერვის ჯგუფში“ მუშაობს, თბილისში 10 კვ.მ ბინაში ცხოვრობს და სახლთან ახლოს რიყის სკვერს ასუფთავებს. მისი ხელფასი 13 ბავშვს ხმარდება, რომლებიც საბურთალოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობენ.

# მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა არ გაუქმდება



**პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ 2016 წლის არჩევნები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ჩატარდება.**

„2016 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას დღეს მოქმედი შერეული სისტემით ვგეგმავთ, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად მნიშვნელოვანი იქნება შემცირებული მაჟორიტარული ოლქების ამომრჩეველთა რაოდენობას შორის დღეს არსებული დისბალანსი და ასევე დაწესდება 50%-იანი ბარიერი. ჩვენი გეგმა ითვალისწინებს 2016 წლის შემდგომი პერიოდის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# ევროკავშირმა რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის სპეციალური ორგანო შექმნა

**ევროპული მედიის ცნობით, სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ იბრძოლებს. ეს უწყება იზრუნებს ევროპის მიერ რუსეთისა და ევროკავშირის მოსაზღვრე ქვეყნების მოსახლეობასთან დიალოგის დამყარებაზე. ექსპერტები ასევე იმუშავებენ ფაქტების შემოწმებასა და არასწორი ინფორმაციის შესწორებაზე.**

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ საჭიროა ევროპაში რუსულენოვანი მაუწყებლის გახსნა. მსგავსი განცხადებით გასული წლის ბოლოს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარ რინკევიჩიც გამოვიდა. მისი თქმით, ევროპული რუსულენოვანი მაუწყებლის დაარსება ხელს შეუწყობს რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას.



პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა თქმა უნდა, ასეთი აზროვნება, რომელიც თავისთავად უდიდესი გარყვნილებითაა ნასაზრდოები, უკვე სულის ავადმყოფობის ნიშნებს ატარებს.**



გურამ ფალავანდიშვილი

# გენდერული თანასწორობა ლგბტ სატყუარაა

**გაუცნობიერებელ ადამიანს შეიძლება გენდერული თანასწორობა უბრალოდ მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ეგონოს, მაგრამ საქმე აქ სულ სხვაგვარადაა.**

ტერმინი „გენდერი“ — ეს სულ ახალი დამკვიდრებულია, და არა როგორც ადამიანის სქესის აღმნიშვნელი, არამედ პირიქით, მისი საპირისპირო (სიტყვა „გენდერი“ ინგლისურში გრამატიკულ სქესს აღნიშნავს). ის ეგრეთ წოდებული სოციალური სქესია.

სოციალური სქესი კი თურმე ეწოდება იმას, თუ როგორ ცხოვრობს კონკრეტული ადამიანი საზოგადოებაში, როგორია მისი ცხოვრების წესი.

ანუ ბილწმოყვარეთა იდეოლოგიით, თურმე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ბიოლოგიური, დაბადებითი სქესიც (მას დასამცირებლად აკუშერულ, ბებიაქალის ამოცნობილ სქესს უწოდებენ) და სოციალური სქესიც.

და თურმე ეს დაბადებითი სქესი შეიძლება არც ემთხვეოდეს სოციალურ სქესს.

და ის კი არა და, თურმე 4 ტიპის გენდერი არსებობს.

და თურმე ადამიანი შეიძლება, მაგალითად, ერთდროულად 3 გენდერული იდენტობის მატარებელიც კი იყოს. მაგალითად, გაჩნდეს კაცად, მაგრამ უნდოდეს, რომ იყოს ქალი და თან მოსწონდეს კაცები, ანუ ტრანსგენდერი იყოს.

(მოკლედ, შეიძლება მთლად სწორად ვერ დავახასიათე, მაგრამ ფაქტია, რომ გარყვნილი, და არა მარტო ფიზიკურად, გონებრივად გარყვნილი აჯაფსანდალია).

და აი, თურმე ამ გენდერულ თანასწორობას უნდა ვცეთ (გვაცემინონ) პატივი.

ანუ ამ ტერმინების ხმარებისას რომ გვგონია, თითქოს ქალისა და კაცის თანასწორობის მაღალ იდეალებზე ვსაუბრობთ, სინამდვილეში ბილწი მამათმავლობის სახეობებს ვესარჩლებით.

ამ მოგონილ ტერმინოლოგიებს თავისი მიზეზები აქვს და ჰქონდა.

კერძოდ:

მას მერე, რაც „განათლებულმა“ მსოფლიომ „ბნელი“ ნაწილისაგან განსხვავებით 1990 წელს მამათმავლობა ავადმყოფობის სიიდან ამოიღო, გაცხოველებულად დაიწყო ამ უდიდესი გარყვნილების სამედიცინო საფუძვლების ძებნა და განსაკუთრებული აგიტაცია, რომ თურმე სქესის შეცვლა ოპერაციით შეიძლება.

(სწორედ ამ „სქესის შესაცვლელი“ ოპერაციების დაჩქარების მოთხოვნით, სულ რამდენიმე დღის წინათ, მიმართა ჩვენმა „სახალხო დამცველმა“, მე ვიტყოდი „სახალხო გამრყვნელმა“ საქართველოს მთავრობას).

მაგრამ სინამდვილეში სქესს როგორ შეიცვლიან, უბრალოდ კეთდება სასქესო ორგანოების იძულებითი პლასტიკური ოპერაციები და ა.შ. და თან იღებენ კიდეც სპეციალურ ჰორმონებს.

რა თქმა უნდა, ეს აბსურდი და სიბეცეა.

თუ სქესის შეცვლა შეუძლიათ, მაშინ , მაგალითად, აბა, კაცს ჩაუნერგონ საშვილოსნო და ამშობიარონ; ან თუნდაც ქალს ჩაუნერგონ სათესლე ჯირკვლები და სხვა ქალი გაანაყოფიერებინონ.

ან თუნდაც დაბადებიდან რომც ჰქონდეს ვინმეს, მაგალითად, ორგანოების პათოლოგია, რა, ამიტომ შეუძლებელი გახდება სქესის გარჩევა?!



ანუ კაცს რომ იგივე, საშვილოსნო არ შეიძლება ჰქონდეს, რთული მისახვედრია?!

ან თუნდაც ვისაც აქვს, რომ აუცილებლად ქალია?!

და ვინაიდან ე.წ. ლგბტ თემი ამ სამედიცინო ოპერაციებში ძირითადად მხოლოდ გაუგებრობასა და საშინელებაში ტრიალებს, მათ შემოიღეს ახალი ცნება — გენდერული იდენტობა, რის უსაფუძვლობასაც ფიზიოლოგიურად ველარ დაუსაბუთებ.

ის გეუბნება, მე, კი, ბატონო, კაცი ვარ ფიზიკურად, მაგრამ ქალი მინდა ვიყოო და რა, არ შემიძლიაო?!

ამაზე რაღა პასუხი უნდა გასცე, თუ ეტყვი, საშვილოსნო არ გაქვს, ქალი როგორ ხარო? გიპასუხებს, თავისუფალი ნება მაქვს და რაც მინდა, ვიქნებიო.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

რა თქმა უნდა, ასეთი აზროვნება, რომელიც თავისთავად უდიდესი გარყვნილებითაა ნასაზრდოები, უკვე სულის ავადმყოფობის ნიშნებს ატარებს.

P.S. ბოლო ხანებში იდენტობის „განათლებული“ მესვეურები კიდევ უფრო წინ წავიდნენ და ამ საშინელი ცოდვის შესაფუთად ახლებური გზა აირჩიეს.

კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ მათ სქესის გამოცვლის სურვილი არანაირი გარყვნილების გამო არ უნდათ, და მაგალითად, შეიძლება სხვა ადამიანთან არანაირი ფიზიკური კონტაქტიც არ დაამყარონ, არამედ მათ უბრალოდ სურთ იდენტობის შეცვლა ყველანაირი წინასწარი მიზნის უქონლად, მაგალითად, ისევე, როგორც ადამიანს რომ უნდოდეს, გახდეს ლომი, ან კატა ან რაიმე სხვა.

ერთი შეხედვით ეს თითქოსდა აბსურდული და მართლაც ავადმყოფური სურვილი სინამდვილეში ბილწი მამათმავლების ხელში კვლავ და კვლავ მათი ბინძური მიზნების მიღწევას ემსახურება.

იმით, რომ თუკი ადამიანი რაიმე ეტაპზე დაუშვებს იმას, რომ სხვა იდენტობის სურვილი რაიმე ფორმით შეიძლება იყოს წარმომდგარი არა ცოდვის, არამედ უბრალოდ თავისუფალი ნების გამოხატვის გამო და ეს ნორმალურია, მერე უკვე ის ადამიანი საბოლოოდ ყველაფერსაც დაუშვებს და, მათ შორის, ბუნების საწინააღმდეგო, ამაზრზენ გარყვნილებასაც.

(ეს კაცის ლომად და კატად გადაქცევის პერფორმანსი, სწორედ იდენტობის თუ მათი გულშემატკივრების თაოსნობით ჩატარდა კიდეც ამას წინათ თბილისის ერთ-ერთ თეატრში).

მართლაც ჩაბურდული, ჩახლართული, ჩაგმანული, მაცდური, ავადმყოფური და ბნელით მოცული აზროვნებაა, მაგრამ ეს ხომ ზოგადად ცოდვისა და სიბოროტის თვისებაა, განსხვავებით მარტივი და ნათელი ჭეშმარიტებისგან, სიწმინდისგან, რომელიც ბავშვისთვისაც გასაგებია.

განსხვავებით ბიბლიის სიტყვებისგან, რომ „მამაკაცად და დედაკაცად შეიქმნა ადამიანი, რათა აღორძინდებოდეს და განმრავლდებოდეს“.

**გურამ ფალავანდიშვილი**

# განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს «შვეიცარიის ალპებს»!



**სტატიის სათაურზე მავანს შეიძლება გაეღიმოს, მაგრამ ღიმილი ზოგჯერ გულისწუხილსაც გამოხატავს.**
**საქართველო ცნობილია ისეთი ულამაზესი და საოცარი ადგილებით, რომლებიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანას შეშურდება. ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის იმ წალკოტ ადგილებზე, რომლებიც, რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის მფლობელობაში რომ ყოფილიყო, „შვეიცარიის ალპებად“ კი არა, მსოფლიოს საოცრებად იქნებოდა აღიარებული.**

მავანი იკითხავს — რა ასეთი სიმდიდრე გაგვაჩნია ქართველებს? ჩვენი სიმდიდრეა კურორტები ბახმარო და გომის მთა, ლებარდე, შაორის წყალსაცავი, რომლებიც გამაჯანსაღებელ კერებად შეიძლება გადაიქცეს; სხვადასხვა ნაკრძალი, კინტრიშის, არაგვის, აჭარისწყლის, რიონის ხეობები და ბევრი სხვა ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც კარგი პატრონის ხელში ქვეყანას დიდ სიკეთეს მოუტანდა.

ერთ კონკრეტულ ფაქტზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას:

ულამაზესი გურიის ჩოხატაურის რაიონში არის ბუნებისგან შექმნილი ულამაზესი სოფლები — სურები და დიდი ვანი. სოფელიო, — ვამბობთ, მაგრამ ეს ადგილები უფრო ნასოფლარს დაემსგავსა. თუ 1990-იან წლებში ამ სოფლების მოსახლეობა 2000 კომლს ითვლიდა, დღეს იქ დარჩენილია, სულ რაღაც, 150-180 კომლი, რომლებიც, ალბათ, მალე მიატოვებენ მამა-პაპის ფუძეს და დარჩება ნასოფლარები.

საქმე ის არის, რომ **ამ სოფლების მოსახლეობა მოკლებულია ისეთ სოციალურ სიკეთეს, როგორიცაა გზა, ელექტროენერგია და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.** ამ საკითხების მოსაგვარებლად ზემოხსენებული სოფლების მკვიდრებმა შექმნეს საინიციატივო ჯგუფი „სურები“ 20 კაცის შემადგენლობით.

ჯგუფი თავს ართმევს ბევრ საჭირბოროტო საკითხს. კერძოდ, მათი მოთხოვნით, უბნების მიხედვით დაყენებული იქნა ელექტრომრიცხველები, მაგრამ სასწრაფოდ საჭიროა თითოეული ოჯახის გამრიცხველიანება, რათა ყველა ოჯახმა ისარგებლოს ელექტროენერგიით.

რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ერთად, მიაღწიეს იმას, რომ სუფსის ხეობაში გამავალი უკაცრიელი სამანქანო გზა მოიხრეშება, მაგრამ, თუ გზა კაპიტალურად არ გაკეთდა, მხოლოდ მოხრეშვა თავის მოტყუება იქნება, რადგან ეს ხეობა ცნობილია დიდთოვლობით და მოხრეშილი გზა თოვლის დნობის შემდეგ მალე ისევ უწინდელ მდგომარეობას დაუბრუნდება.

ლაპარაკია 17 კმ-იანი გზის მონაკვეთზე, უნდა შესრულდეს გზის სარემონტო სამუშაოები, გაკეთდეს წყლის საწრეტი არხები და დაიგოს ასფალტის საფარი. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ ულამაზესი ადგილის „შვეიცარიის ალპებად“ გადაქცევა.

**ვისაც ერთხელ მაინც უნახავს დიდი ვანის, ზემო და ქვემო სურების ლანდშაფტი, დაგვეთანხმება, რომ აქ შეიძლება შეიქმნას მსოფლიოს საოცრება.**

მისასალმებელია, რომ საკითხის მოგვარებით დაინტერესებულია რაიონის მკვიდრი ბიზნესმენი **ვლადიმერ მინოშვილი**, რომელიც ისრაელში მოღვაწეობს. ბატონ ვლადიმერს სურს, თუ ზემო სურებამდე დაიგება ასფალტი, შუა გორში ააგოს რამდენიმე სასტუმრო ტურისტული ბაზისთვის, მიკროქარხანა სხვადასხვა პროდუქტების (თაფლი, ხილი) გადასამუშავებლად, რაც დიდად წაადგება ამ კუთხეს როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით.

მავანი იკითხავს, რატომ დაინტერესდა წერილის ავტორი ამ თემითო. ეს სურვილი ჩემში აღძრა იმ სატელივიზიო გადაცემებმა, რომლებშიც გაშუქებული იყო საინიციატივო ჯგუფ „სურების“ მიტინგები.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის გამო ყოველდღიური დახმარება სჭირდებათ, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა და ვეტერანთა სამსახური უგზოობის გამო სათანადო ყურადღებას ვერ იჩენენ მათ მიმართ.

**იმედს ვიტოვებთ, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რაიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მაჟორიტარი დეპუტატი გულთან მიიტანენ წერილში მოყვანილ საკითხებს და იზრუნებენ გურიის ამ ულამაზესი კუთხის აღორძინებაზე.**

**რევაზ ნაცარიშვილი,**
**აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი**

**ამ აბდაუბდით მიხეილ სააკაშვილს თავისი ამჟამინდელი ბოსი, უკრაინის პრეზიდენტი, შეცდომაში შეჰყავს. „ნებაყოფლობით დევნილმა“ კორუფციასთან ბრძოლის პასაჟების მოყვანისას იმედი გამოთქვა, — პეტრო პოროშენკო და მისი გუნდი მიხვდება, ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლებაო. გამოდის, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი არ იყო, კიევის ხელისუფლება ძველებურად ცხოვრობდა და ქრთამის აღებას განაგრძობდა, ახლა კი იგი აჩვენებს, როგორ უნდა კორუფციასთან ბრძოლა...**

უცხოური მედია სააკაშვილზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამბავი იმისა, როგორ ატყუებს მიხეილ სააკაშვილი პეტრო პოროშენკოს

**მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა საპროგრამო განცხადებით, რომლის არსი ასეთია: მას სურს, ოდესაშიც ის გააკეთოს, რაც საქართველოში. ახალგამომცხვარმა გუბერნატორმა საქართველოსა და ოდესის სიტუაციები ერთმანეთს დაუკავშირა და თითქმის ტირილით თქვა, რომ, თუ ოდესა დაეცემა, საქართველოსაც პირისაგან მიწისა აღგვიანო. სწორედ ამიტომაც არ უყვარს მიხეილ სააკაშვილს რუსეთი და რაღაც საშინელებებს იგონებს ამ ქვეყანაზე.**




დავანებოთ თავი იმას, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მისთანებს — ბევრ უკრაინელ და ქართველ პოლიტიკოსს — ყოველთვის სურთ, ყველაფერი რუსეთს გადააბრალონ. დავივიწყოთ პირადი და თითქმის ბავშვური წყენა რუსეთის პრეზიდენტის მიმართ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ამჟღავნებს. რაღა რჩება? — ტრადიციების ერთგულება. ტრადიციები კი მიხეილ სააკაშვილს მტკიცე აქვს. საქართველოში მუშაობის გამოცდილება ამას ზედმიწევნით ადასტურებს: **ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ოთხი საქმეა აღძრული, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის მუხლებით. ამით ხომ არ უნდა ექსპრეზიდენტს, ერთმანეთს დაუკავშიროს ყოფილი და ახალი სამშობლო?**

როგორც ჩანს, ძველებურად ხელგაშლილად ცხოვრების სურვილი ისე ძლიერი აღმოჩნდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მისი გაზიარება გადაწყვიტა. და, რომ არავინ მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა ამ ნათქვამში, იმავე წუთს რუსეთით შენიღბა, — ოდესის ოლქი საბრძოლო პოლიგონი უნდა იყოსო... გასაგებია, ვის წინააღმდეგაც. უფრო მეტიც — ჩემი წარმატება გავლენას რუსეთზეც მოახდენსო. გამოდის, **რომ მიხეილ სააკაშვილმა თავი პლანეტარული მასშტაბის ფიგურად წარმოაჩინა. არადა, კარგად გვახსოვს მისი „საქმენი საგმირონი“. გავახსენებთ, ვისაც დავიწყებული აქვს.**

**ამ აბდაუბდით მიხეილ სააკაშვილს თავისი ამჟამინდელი ბოსი, უკრაინის პრეზიდენტი, შეცდომაში შეჰყავს. „ნებაყოფლობით დევნილმა“ კორუფციასთან ბრძოლის პასაჟების მოყვანისას იმედი გამოთქვა, — პეტრო პოროშენკო და მისი გუნდი მიხვდება, ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლებაო. გამოდის, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი არ იყო, კიევის ხელისუფლება ძველებურად ცხოვრობდა და ქრთამის აღებას განაგრძობდა, ახლა კი იგი აჩვენებს, როგორ უნდა კორუფციასთან ბრძოლა...** მართლაც კარგად აუწია ყური გამოცდილმა ლიდერმა გამოუცდელს. რა უნდა ექნა პოროშენკოს? წყენა გადაყლაპა. ეს ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს შეუძლია, ჯერჯერობით მშვიდად იძინოს: კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები უკრაინაში მას უკან არ მიუბრუნდება და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება. **თუმცა პეტრო ალექსეევიჩს ხელში კოზირი აქვს: ქართველი პროკურორების თხოვნა მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირების თაობაზე...**

**დიმიტრი გეერი**
**„РИА Новости“ (რუსეთი)**

# მიშას მომენტი

## ოდესის ოლქის ახალი გუბერნატორი რუსეთის პროვოცირების მიზნით დაინიშნა

**ოდესის ოლქის ახალ გუბერნატორს ბევრი კარგი თვისება აქვს: მან წლების წინათ წარმატებული კამპანია განახორციელა კორუფციის წინააღმდეგ, გარდაქმნა შინაგან საქმეთა უწყება და რეფორმის დასაწყისში საგზაო პოლიციის თითქმის მთელი პერსონალი სამსახურიდან გაათავისუფლა. ეს ძალიან ღირებული გამოცდილებაა და მისი გადანერგვა (ტრანსპლანტაცია) შეიძლება ისეთ ქვეყანაშიც კი მოახდინო, როგორიც უკრაინაა. მან მსოფლიოს ბევრი ენა იცის, რაც მნიშვნელოვან პლუსად უნდა ჩაითვალოს ისეთ მრავალეროვნულ ზღვისპირა რეგიონში, როგორიც ოდესის ოლქია. იგი უცხოელია, სხვა ქვეყნიდან ჩამოსული, ესე იგი, არ არის ჩაბმული ოლიგარქებს შორის ბრძოლაში, რომელსაც ოდესისა და უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დიდი ზიანი მოაქვს.**

უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ოდესის ოლქის ახალ გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს „ჩამოსულსა“ და „უცხოელს“ ვერ უწოდებ. იგი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტია, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნის ექსმეთაური, თუმცა 2013 წლიდან, როგორც კი პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით (რომელსაც იგი უარყოფს), ამიტომ სამშობლოში ვერ ბრუნდება. ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოახდინა და შეეცადა, ნატოსა და ევროკავშირში ქვეყნის გაწევრების საკითხი გადაეწყვიტა, მაგრამ მისმა სტრატეგიამ ვლადიმერ პუტინს შესაძლებლობა მისცა, 2008 წელს ომი დაეწყო თავის პატარა მეზობელთან. ისევე, როგორც უკრაინას 2004 წელს, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ, კრემლი საქართველოსაც ხელს უშლიდა პროდასავლურ ინტეგრაციაში და ცდილობდა, ეს ქვეყანა რუსეთის ორბიტაზე დაეტოვებინა.

ასეთი დანიშვნები უცხო ხილი არ არის უკრაინის მთავრობისთვის, რომელსაც ბევრი უცხოელი სპეციალისტი ჰყავს მიწვეული დემოკრატიულ სისტემაზე გადასასვლელად, რეფორმების გასატარებლად და კორუფციისგან გაწმენდის მიზნით. აბა, რას იზამ, როცა ადგილობრივი ნიჭიერი კადრები არ გყოფნის?! ასეთ შემთხვევაში მსგავსი ნაბიჯის გადადგმას აზრი ნამდვილად აქვს. უკრაინა ამ თვალსაზრისით ერთადერთი სახელმწიფო არ არის: 2013 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ კანადელი მარკ კარნი მიიწვია ინგლისის ბანკის ხელმძღვანელად. მიუხედავად ამისა, **პეტრო პოროშენკოს მიერ მიხეილ სააკაშვილის დანიშვნა ოდესის ოლქის გუბერნატორად ექსცენტრიკულ გადაწყვეტილებად შეიძლება შეფასდეს.**

ოდესა სასურველ ობიექტად ითვლება რუსი სეპარატისტებისთვის, რომლებსაც უკრაინის ხელისუფლება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ებრძვის. ამ კვირაში ძალადობა ისევ განახლდა ხანმოკლე პაუზის შემდეგ (დონბასში). ძალადობა ოდესამაც გამოსცადა საკუთარ თავზე — **შარშან ოდესაში 40-ზე მეტი ადამიანი დაიწვა პროფკავშირების შენობაში ხანძრის შედეგად. მოგვიანებით სიტუაცია გარკვეულწილად ჩაწყნარდა, მაგრამ დაპირისპირება „ნელ ცეცხლზე“ მაინც გრძელდება.**

**იმ დროს, როცა რუსეთთან მშვიდობის დამყარება კიევის მთავარ პრობლემას წარმოადგენს, მიხეილ სააკაშვილის ოდესის ოლქის ხელმძღვანელად დანიშვნა პროვოკაციული ქმედებაა!**

**„THE ECONOMIST“**
**(დიდი ბრიტანეთი)**


The Economist World politics Business & finance Economics Science & technology

Ukraine and Russia

Misha's moment

The choice of a new governor of Odessa is designed to provoke Russia

Jun 6th 2015 | From the print edition

Saakashvili riding into town

# «ოდესის ოლქის გუბერნატორად მიხეილ სააკაშვილის დანიშვნა საფუძველს იძლევა, ეჭვი შევიტანოთ პოროშენკოს საღად აზროვნებაში»

**„მიხეილ სააკაშვილის კარიერაში ყველაზე უცნაური ამბავი მოხდა“, — წერს ბრიტანული გამოცემა „ფაინენშელ თაიმსის“ მიმომხილველი ტონი ბარბერი, — „უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ იგი ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა“.**

„მე, განსხვავებით რუსეთის ხელისუფლებისაგან, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი სძულს და განსხვავებით იმ ზოგიერთი დასავლელი მეგობრისგანაც, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილი დიდ გმირად მიაჩნიათ დავით აღმაშენებლის შემდეგ, საქართველოს ექსპრეზიდენტის მიმართ მტკიცე აზრი არ მაქვს, ანუ არც მომხრე ვარ და არც მოწინააღმდეგე“, — აღნიშნავს **ტონი ბარბერი.** მისი აზრით, **საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას მიხეილ სააკაშვილმა „შთამბეჭდავი და ცოტა სიგიჟემდე მისული რეფორმატორული სიმკვირცხლე გამოიჩინა, საკუთარ თავში ერთმანეთს შეუთავსა ჯიუტი თავდაჯერებულობა, არაპროგნოზირებულობა და არასწორი აზროვნების უნარი, რომელიც ხშირად უგუნურებასთან უფრო ახლოა, ვიდრე გონიერებასთან.**

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან ორი თვის შემდეგ ჩაწერილი ინტერვიუს დროს ქართველი ლიდერი ღრმა დეპრესიაში იყო — შესაძლებელია, მან უცებ გააცნობიერა, თუ როგორ მოხვდა კონფლიქტის დაწყების წინ რუსეთის მიერ დაგებულ ხაფანგში“.

„მიხეილ სააკაშვილი პირველი უცხოელი არ არის, რომელიც პეტრო პოროშენკომ დაასაქმა უკრაინაში — ქვეყანაში, რომელიც ომს სამ ფრონტზე აწარმოებს: ეკონომიკურ კრახთან, ინსტიტუციურ კორუფციასა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტულ დონბასთან. უფრო მეტიც — იგი პირველი ქართველიც არ არის, რომელიც 2014 წლის რევოლუციის შემდეგ პეტრო პოროშენკოს გუნდს შეუერთდა. ამასთანავე, იგი პირველი უცხოელია, რომელსაც უკრაინის ერთ-ერთი ოლქი ჩააბარეს სამართავად. აი, სწორედ აქ იწყება პრობლემები“, — განაგრძობს ჟურნალისტი. იგი ეთანხმება უკრაინის გაზეთ Kyiv Post-ის ერთ-ერთ მკითხველს, რომელიც ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის „შეუფერებელია რუსულენოვანი მოსახლეობის მქონე რეგიონის გუბერნატორობა“ და რომ ამ თანამდებობაზე უკეთესი იქნებოდა „კვალიფიციური უკრაინელი“ დანიშნულიყო. კიდევ ერთი მომენტი, რომელიც გასათვალისწინებელია: ოდესის ოლქს „სტრატეგიული მნიშვნელობა“ აქვს, რადგან ის მდებარეობს მოლდოვის პრორუსულ-სეპარატისტულ დნესტრისპირეთის რეგიონსა და რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმს შორის.

**„ოდესა ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი იყო. ძნელია იმის დაჯერება, რომ ვერ იპოვეს გუბერნატორობის ადგილობრივი კანდიდატი. პეტრო პოროშენკო, როგორც ჩანს, მოხიბლულია მიხეილ სააკაშვილით, აფასებს მის გამოცდილებას და უნარს, მაგრამ კალმის ერთი მოსმით მისი გუბერნატორად გადაქცევა?! ამით პოროშენკო რისკზე მიდის, რომ ოდესელებსაც აწყენინებს და საფუძველს იძლევა, ეჭვი შევიტანოთ მის საღად აზროვნებაში“.**

**„FINANCIAL TIMES“**
**(დიდი ბრიტანეთი)**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მენშევიკური მთავრობის არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და სიმჩატემ, ევროპისკენ გაუთვიცნობიერებლად სწრაფვამ და ბოლშევიკური რუსეთისადმი შეურიგებელმა მოქმედებამ შექმნა იმის წინაპირობა, რომ საქართველომ თავისი ძირძველი მიწები დაკარგა, რითაც ხელისუფლებამ დაკარგა თავის ხალხში ნდობა და სიყვარული. საქართველოს ტერიტორიული კატასტროფის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მენშევიკური მთავრობაა.**

## ნაწილი IV

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18-20 (300-302)

# სტალინი და მენშევიკური მთავრობა

**ყურმოკრული ამბავი: კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს დაპყრობის გეგმას ბოლშევიკური რუსეთი რევოლუციის შემდგომ პერიოდში რეგულარულად ამუშავებდა და საქმის კურსში სხვებთან ერთად სტალინიც იყო. 1920 წლის შემოდგომაზე სტალინი კონფიდენციალურად შეხვდა ნოე ჟორდანიას, გააცნო მას საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალურ სურათი და შესთავაზა, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება, თვითონ (სტალინი) დანიშნოს შეიარაღებული ძალების მინისტრად (როგორც ჩანს, სტალინი საქართველოში ილია ჭავჭავაძის სულმა გამოიძახა ამ საბედისწერო მოვლენის გამო).**

როდესაც საქართველოს გაუჭირდა, სტალინმა გვერდზე გადადო ყოველგვარი წყენა მენშევიკების მიმართ და საჭიროდ ჩათვალა, სამშობლოს სამსხვერპლოზე თავი დაედო. მშიშარა პროვინციელმა, რომელიც თავის სკამს იყო ჩაბღაუჭებული, შიშჩამდგარი თვალებით დაეჭვებულმა შეხედა სტალინს და წარმოიდგინა, რომ მას სტალინი შეიარაღებულ ძალებთან ერთად დიდხანს არ დატოვებდა სავარძელში და პასუხად უთხრა: „მარტო მე ამ საკითხს ვერ გადავწყვეტ, პარლამენტს უნდა შევეკითხო და საერთო აზრი შევიმუშაოთ“.

გაცეცხლებულმა სტალინმა ერთი კი შეხედა მთავრობის თავმჯდომარეს და კბილებიდან გამოცრა: „ბეზდელნიკ!“, შემდეგ კარი გაიჯახუნა და გაუჩინარდა.

არ ვიცი, სარწმუნოა თუ არა ეს პასაჟი, მაგრამ იმდენჯერ მაქვს მოსმენილი და ისეთი პიროვნებებისგან, რომელთა სიზმარიც კი დაიჯერება.

და თუ ეს ასე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა 1921 წლის 25 თებერვალს კი არ დაუკარგავს, არამედ მაშინ, როდესაც სტალინმა ნოე ჟორდანიას კარი „მოუჯახუნა“.

რა მოხდებოდა, სტალინი რომ დანიშნულიყო საქართველოს ჯარების მთავარსარდლად?

ტროცკის მიერ გადაბირებული ლენინი თანახმა იყო, ჩამოეცილებინათ სტალინი. უამრავ გეგმას იხილავდნენ, როგორმე ხელში მოეგდოთ და გაენეიტრალებინათ მოუხელთებელი სტალინი, მაგრამ ყველა ცდა და ხერხი უშედეგოდ დასრულდა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მიაგნეს სტალინის მოშორების ყველაზე ვერაგული ხერხს. **გადაწყდა, იოსებ ჯუღაშვილი სამხრეთის ფრონტზე გაეშვან ყოველგვარი რწმუნების გარეშე და განწირულ ცარიცინს ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან სასიკვდილოდ განწირული სტალინი შესწირონ.**

სტალინი, განგებისაგან ხელდასხმული, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიემგზავრება ფრონტზე. იცის, რომ განწირულია, მაგრამ შიშის გრძნობა დაკარგული აქვს. ის სამხრეთში მიდის, როგორც გრიგალი, რათა წალეკოს ყოველგვარი უწმინდურობა, ღალატი და ფარისევლობა; ის თავის გონებაში ადგენს, როგორც გარეშე, ისე შიგა მტრების განადგურების გეგმას. ცარიცინში ჩასვლის მესამე დღეს სტალინი ელვადეპეშას უგზავნის ლენინს:

**„ექვსში ჩამოვედი ცარიცინს. ცარიცინში, ასტრახანში, სარატოვში გამეფებულია აღვირახსნილობა და სპეკულაცია. ცარიცინში შემოვაღებინე საბარათო სისტემა და მტკიცე ფასები. მიუხედავად ადგილობრივი კოლეგიების პროტესტებისა, იძულებული ვარ, დავაყენო სპეციალური კომისრები, რომლებიც უკვე ამყარებენ წესრიგს. გადაეცით შმიდტს, აღარ გამოგზავნოს თაღლითები, კობზევმა განკარგულება გასცეს, რომ კოლეგიებმა ვორონეჟში თავისივე ინტერესებისათვის დაბრკოლებები არ შეუქმნან ჩემს რწმუნებებს“.**

სტალინი თავდაყირა აყენებს არა მხოლოდ ტროცკის სამხედრო უწყებას, არამედ პრინციპულად უტევს ლენინის ნეპს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა საბჭოთა რუსეთი 1920-იან წლებში).

1918 წლის 7 ივლისს ლენინისადმი გაგზავნილ წერილში სტალინი წერს, რომ უთანხმოება აქვს სარდლებთან, რომლებსაც პირადად ხელმძღვანელობს ტროცკი (სტალინი „მახეშია გაბმული“, რადგან ის ტროცკის ხელქვეითია).

**„მივეშურები ფრონტზე... ცარიცინის სამხრეთით ხაზი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. ვლანძღავ ყველას, ვინც ღირსია. შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, არავის დავზოგავ, არც ჩვენს თავსა და არც სხვებს“.**

სტალინი ცეცხლს ეთამაშება. ყოველგვარი რწმუნების გარეშე ფრონტის სარდლებს ხელმძღვანელობს და იწვევს „დუელში“, მათ თავს ახვევს თავის ნებას ტროცკის ნების საწინააღმდეგოდ. სრულიად შესაძლებელია, ფრონტის სარდლებმა იგი მოღალატედ წარმოადგინონ და საველე პირობებში დახვრიტონ კიდეც, რასაც, ალბათ, ხელისუფლებაც დაეთანხმება, მაგრამ სტალინი სტალინია! ის კიდევ ერთხელ შეახსენებს ლენინს:

**„ვინაიდან განაპირა მხარეების კავშირი ცენტრთან სუსტია, საჭიროა, ადგილზე გვყავდეს დიდი რწმუნებით აღჭურვილი პირი სასწრაფო ზომების დროულად მისაღებად. და თუ ამ მიზნით დანიშნავთ ვინმეს (ვინც უნდა იყოს), მაცნობეთ პირდაპირი ხაზით და მანდატიც ასევე პირდაპირი ხაზით გადმოეცით“.**

ლენინისაგან ერთი რწმუნება უკვე გაცემული იყო ჯარების დაქვემდებარების თაობაზე და ეს რწმუნება **ტროცკის** ეკუთვნოდა. მაშინ რას ითხოვს სტალინი? — უფრო მეტს, იმაზე მეტს, ვიდრე ეს ლენინს და ტროცკის წარმოუდგენიათ. სტალინს სააშკარაოზე გამოაქვს ლენინისა და ტროცკის ერთობლივი მცდელობა, უღალატონ რევოლუციას და რუსეთი უკაცრიელ ტრამალებად აქციონ. სტალინი მაღლა დგება თავის თავზე და, საერთოდ, ადამიანზე. მან გამოავლინა ზებუნებრივი ძალა, რომლის შეფასებაც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუძლებელია.

**„თუ ტროცკიმ წინდაუხედავად და განურჩევლად დაურიგა მანდატები ტრიფონოვს (დონის ოლქი), ავტონომოვს (ყუბანის ოლქი), კოპეს (სტავროპოლი), საფრანგეთის მისიის წევრებს (რომლებმაც დაპატიმრება დაიმსახურეს) და სხვებს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი თვის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაფერი დაირღვევა და ამ მხარეს საბოლოოდ დავკარგავთ“.**

თუ სტალინი აქამდე მკაცრი, მაგრამ ადამიანური ენით ესაუბრებოდა ლენინს, უკვე ევსება მოთმინების ფიალა და პირდაპირ ბრძოლას იწყებს, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს, ვერც ლენინი და ვერც „სხვა რამ“.

**„საქმის სასარგებლოდ ჩემთვის აუცილებელია რწმუნებანი. უკვე მოგწერეთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ძალიან კარგი. რაკი ასეა, მე თვითონ ფორმალობის დაუცველად ჩამოვაგდებ არმიათა იმ სარდლებს და კომისრებს, რომლებიც საქმეს დაღუპავენ, ასე მიკარნახებს საქმის ინტერესი და, რასაკვირველია, ტროცკის ნაკუწი ქაღალდის უქონლობა ვერ შემაჩერებს“.**



**სტალინი იდგა ბრძოლის ველზე, რომლისკენაც მიმართული იყო ათასობით თოფი და ხმალი, მაგრამ მისმა სიმართლემ, უშიშრობამ, გამჭრიახობამ, გამბედაობამ და უფლის ხელდასხმამ, იმის ნაცვლად, რომ კუბოთი ჩაეყვანათ ხელისუფლებისთვის, უკვდავების შარავანდედით შემოსილი, სამოქალაქო ომში გამარჯვებული, წითელი ვარსკვლავით მკერდდამშვენებული დააბრუნა დედაქალაქში**

მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ადამიანის აზროვნება და ქმედება. მის გაბედულებას აქვს უხორცობისა და ზეადამიანურ ქმედებათა ნიშანთვისებები. **სტალინი იდგა ბრძოლის ველზე, რომლისკენაც მიმართული იყო ათასობით თოფი და ხმალი, მაგრამ მისმა სიმართლემ, უშიშრობამ, გამჭრიახობამ, გამბედაობამ და უფლის ხელდასხმამ, იმის ნაცვლად, რომ კუბოთი ჩაეყვანათ ხელისუფლებისათვის, უკვდავების შარავანდედით შემოსილი, სამოქალაქო ომში გამარჯვებული, წითელი ვარსკვლავით მკერდდამშვენებული დააბრუნა დედაქალაქში.**

ადვილად წარმოსადგენია, რა შიში აიტანდა ნოე ჟორდანიას, როდესაც სტალინს წარმოიდგენდა ქართული ჯარის სარდლად და თქვენ, მკითხველო, ალბათ, აცნობიერებთ, რომ სტალინის ხელში ქართული ჯარი გადაიქცეოდა ლომების პრაიდად, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

მე უარვყოფ აზრს, რომ სტალინი ვინმესთვის ტრაგედია იყო, **ტრაგედიას საქართველოსთვის მენშევიკური მთავრობა და მისი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია წარმოადგენდნენ.**

მენშევიკების კისერზეა, როგორც რუსეთის იმპერიაში გაჩაღებული სამოქალაქო ომი, ისე საქართველოში 1918-1921 წლების დიდი თუ პატარა ომები, რომლებმაც საქართველო ეკონომიკურად და ტერიტორიულად გააჩანაგა, დაასუსტა მორალურად.

**მენშევიკური მთავრობის არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ და სიმჩატემ, ევროპისკენ გაუთვითცნობიერებლად სწრაფვამ და ბოლშევიკური რუსეთისადმი შეურიგებელმა მოქმედებამ შექმნა იმის წინაპირობა, რომ საქართველომ თავისი ძირძველი მიწები დაკარგა, ამის გამო კი ხელისუფლებამ — ხალხში ნდობა და სიყვარული. საქართველოს ტერიტორიული კატასტროფის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მენშევიკური მთავრობაა.**

მენშევიკური მთავრობის სინდისზეა აგრარული ტერორი, რომელიც მან ქვეყანაში განახორციელა:

**„რომელმაც ერთნი გაალატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მიწა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან სავალდებულო სამხედრო სამსახური არ დაუკისრებია. ამის გამო უაღრესად გაჭირდა პატარა არმიის შექმნაც კი იმ ქვეყანაში, სადაც ბევრი ჰყავდათ მწყობრის ოფიცრები, და იმ ხალხში, რომელმაც საუკუნეების მანძილზე მხედრული სიქველით მოიხვეჭა სახელი“,** — წერდა ზურაბ ავალიშვილი („საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, გვ. 9).

ეს ის პროფესორი ზურაბ ავალიშვილია, რომელიც თავისი ცოდნით, ინტელექტითა და დიპლომატიით ერთადერთი ნათელი პიროვნებაა მენშევიკურ მთავრობაში. ზურაბ ავალიშვილმა ყველა შავი სამუშაო შეასრულა, რათა ქვეყანა ნამდვილ დამოუკიდებლობას ზიარებოდა, მაგრამ ნათქვამია: **„ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.** ბატონი ზურაბის უამრავი რჩევა, მემორანდუმი თუ ტრაქტატი დარჩა **„ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

ოსმალეთი, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და ბოლოს ამერიკა — აი ქვეყნები, რომლებს შორისაც საქართველო იყიდებოდა იაფად, ნისიად (განვადებით), გაცვლით და, თუ არ გაიყიდებოდა, ვუდგებოდით კარისკაცად, მცველად, მოჯამაგირედ, მეჯინიბედ, მხევლად — გვიხმარეთ, როგორც გინდათ; გამოგვიყენეთ, როგორც გინდათ; წაიღეთ ჩვენი მადანი, წყალი, მიწა, აბრეშუმი; წაიღეთ ყველაფერი, თუ რამ გვაბადია! საქართველო მაინც არ გაიყიდა. არ უვარგოდათ „მენეჯმენტი“, ვერ გაუკეთეს „რეკლამა“, არ ჰყავდათ „პიარშიკები“. მენშევიკურმა მთავრობამ ბაზარში დააგდო „უვარგისი“ საქართველო, რომელიც მთვრალმა რუსმა ჯარისკაცმა იპოვა და თავის სახლში წაიღო.

პროფესორი ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ წერს:

**„როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს (ე.ი. გარეშე ძალებმა — გრ. ონიანი), რუსეთის არცთუ დიდი ძალისათვის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას „შეიარაღებული ხალხი“ კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების, ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მათთან ერთად ერთგული მიურიდების მცირე რაზმი. მთელი ეს ასაბია სულ იოლად გადაისროლეს შავ ზღვაში“.**

ამაზეა ნათქვამი, **„ომში წასულს ომის ამბებს შინ დამხვდური უყვებოდაო“.**

უახლესი ისტორიის მკვლევარებო, როდესაც მენშევიკების „საგმირო საქმეებზე“ გვიყვებით და წაკითხული გაქვთ ბატონი ზურაბ

# რატომ ვქმნით ლეგენდებსა და ზღაპრებს არგაკეთებულსა და არმომხდარზე?! ვის სჭირდება დღეს იმის მტკიცება, რომ ჩვენ იმ სამარცხვინო მენშევიკური მთავრობის მემკვიდრეები ვართ, რომელმაც ტერიტორიულად გაანახევრა საქართველო, მოკლა ილია ჭავჭავაძე?!

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ავალიშვილის ეს მეტად საინტერესო ნაშრომი, გგონიათ, სხვა საქართველოში ხართ და სხვა „მენშევიკებზე" გიყვებით?! **სირცხვილია, როდესაც ისტორიკოსი დოლარის საფასურად ისტორიას აყალბებს და შავს თეთრად წარმოაჩენს!**

მენშევიკური მთავრობის „გმირულ" ბრძოლებზე არსებობს მთავრობის იმჟამინდელი თავმჯდომარის, „ფრონტების" ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიას წიგნი „ჩემი წარსული"; არსებობს ომის უშუალო მონაწილის — **რევაზ გაბაშვილის** მოგონებათა წიგნი: „რაც მახსოვს"; მთავარსარდლის, გენერალ **გიორგი კვინიტაძის** „ჩემი პასუხი" და სხვა მრავალი თვითმხილველის უტყუარი დოკუმენტური მასალა 1918-1921 წლების ომიანობაზე.

მაშ, **რატომ ვქმნით ლეგენდებსა და ზღაპრებს არგაკეთებულსა და არმომხდარზე?! ვის სჭირდება დღეს იმის მტკიცება, რომ ჩვენ იმ სამარცხვინო მენშევიკური მთავრობის მემკვიდრეები ვართ, რომელმაც ტერიტორიულად გაანახევრა საქართველო, მოკლა ილია ჭავჭავაძე?!**


მენშევიკური მთავრობა

**სასაკლაოზე გაიყვანეს ახალგაზრდები, გააპარტახეს აგრარული სექტორი, გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები, ხაზინაში არ დატოვეს არც ერთი კაპიკი ხალხისთვის. ერთმა მუჭა ხროვამ გაიტაცა ქართული საგანძური, სახელმწიფო ქონება და საზღვარგარეთ გაიქცა. დღეს პარლამენტის შენობაში სწორედ ამ ადამიანების პორტრეტებია წარმოდგენილი, როგორც დემოკრატიის მამებისა და ჩვენი დიდი წინაპრების. იქვე, მათ გვერდით, დღევანდელ პარლამენტარებს — მენშევიკების ღირსეულ მემკვიდრეებს — ილია ჭავჭავაძის სურათიც გამოუფენიათ. ბარემ აზრაც გაუკეთეთ — «მკვლელები და მოკლული»**

გამარჯვების ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე სასაკლაოზე გაიყვანეს ახალგაზრდები და ჩახოცეს, გააპარტახეს აგრარული სექტორი, გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები, ხაზინაში არ დატოვეს არც ერთი კაპიკი ხალხისათვის. ერთმა მუჭა ხროვამ გაიტაცა ქართული საგანძური, სახელმწიფო ქონება და საზღვარგარეთ გაიქცა. დღეს პარლამენტის შენობაში სწორედ ამ ადამიანების პორტრეტებია წარმოდგენილი, როგორც დემოკრატიის მამებისა და ჩვენი დიდი წინაპრების. იქვე, მათ გვერდით, დღევანდელ პარლამენტარებს, მენშევიკების ღირსეულ მემკვიდრეებს, ილია ჭავჭავაძის სურათიც გამოუფენიათ.

ბარემ აზრაც გაუკეთეთ — **„მკვლელები და მოკლული".**

დღეს მენშევიკების შთამომავლებიც კი არ ტრაბახობენ თავიანთი წინაპრებით, მენშევიკების ქება მხოლოდ გადამთიელს სჭირდება კომუნისტების საქმეების გადასაფარავად და მათ გასაგზავნად მოუსავლეთში. არ ვიცი, როდემდე შემორჩება ისტორიას ეს ორი სახელი — მენშევიკი და ბოლშევიკი, მაგრამ კაპიტალისტების სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ მათი საქმე დამთავრებულია, კვლავ ძალაშია მეცნიერული შეგონება:

**„კაცობრიობის საბოლოო მიზანი სოციალიზმია".**

მინდა, გაგაცნოთ ჩვენს ქვეყანაში ესოდენ „პოპულარული" მენშევიკური მთავრობისა და მისი პარლამენტის დეკრეტები, რომლებიც „დაგარწმუნებთ" მენშევიკების ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობაში:

**დეკრეტი**

**„ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთი საბრძოლველი ზომებისა:**

**I.** დროებით, ანარქიასთან საბრძოლველად, მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება:

**ა.** აკრძალოს არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პარტიისა, რომელიც წარმოადგენს უცხოეთის პარტიის ნაწილს, ემორჩილება გარეშე სახელმწიფოში მყოფ მთავარი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობას და იმავე დროს მოქმედებს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან ერევა მის შინაურ საქმეებში და თან ასეთი პარტიის ბეჭდვითი ორგანო დახუროს.

**ბ.** გააძევოს საქართველოს საზღვრებიდან სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომნი, რომელთაც არც სამსახური აქვთ საქართველოში, არც სხვა საქმე.


ლეო ქიაჩელი

**გ.** გააძევოს იმავე საზღვრებიდან უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომი ყოფილი და აწინდელი სამხედრო პირნი, იმათ გარდა, ვინც უცხო დიპლომატიურ მისიებთან არის გამოგზავნილი.

**დ.** აუკრძალოს საქართველოს მოქალაქეთ ცხოვრება იმ ადგილებში, სადაც მათ საქმე არ აქვთ, ან გადაასახლოს ისინი მის მიერ დანიშნულ ალაგას, ვადით ექვს თვემდე.

**II.** დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ".

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი (საქართ. ცენტ. არქივი. ფ. 1833 საქ. 582 გვ. 2).

აღნიშნული დეკრეტი, რომელიც შეთანხმებული იყო მთავრობასთან, დასამტკიცებლად შევიდა პარლამენტის სხდომაზე, სადაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ გამოჩნდენ დეპუტატები, რომლებმაც კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს:

**ლეო შენგელაია (ქიაჩელი): „მმართველ წრეებს არ სურთ, გაიგონ, რომ ჩვენში ანარქიას აღვივებს არა მხოლოდ უცხო ძალა და მისი ფულები, არამედ ანარქიას აღვივებს, აგრეთვე, და შეიძლება უმთავრესად — ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ჩვენი მთავრობა, ანარქიას ასაზრდოებს ის უსისტემობა და უმწეობა, რომელიც მმართველმა პარტიამ ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში გამოიჩინა"** (საქართ. ცენტ. არქივი. ფ. 1833 საქმე 582. გვ. 14).

დეპუტატმა მკაცრად გააკრიტიკა როგორც ხელისუფლება, ისე საკანონმდებლო ორგანო და სრულიად მიუღებლად მიიჩნია წარმოდგენილი დოკუმენტი. ხელისუფლებამ კი, თავის მხრივ, წარმოადგინა „მყარი" არგუმენტი დეკრეტის დასდაცავად:

**„თუ ეს ხალხი გავაძევეთ, ჩვენ ყოველდღე დაგვრჩება ზედმეტი 500 ფუთი პური და განთავისუფლდება 25-30 ათასი ოთახისა, რაც დღევანდელს კრიტიკულ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ განვიცდით ბინისა და სურსათის დიდ კრიზისს, დიდ შეღავათად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, მხედველობაში მივიღებთ, რომ დამფუძნებელი კრების წევრების დიდი ნაწილი დღემდე სასტუმროში სცხოვრობს და ბინა ვერ უშოვია"** (საქართ. ცენტ. არქივი ფ. 1833 საქმე 582. გვ. 15).

ბატონი ლეო შენგელაია (ქიაჩელი) არ ცხრება და უტევს დეკრეტის მხარდამჭერებს.

**„დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი და მაშასადამე, მიიღო, დააკანონა ის ინსტრუქციაც, რომელიც მინისტრმა გამოსცა, და რომელიც დამფუძნებელ კრებას არ განუხილავს, ეს არის პირდაპირ კურიოზი და აბსურდი, მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს, დააპატიმროს და გადაასახლოს ჩვენი მოქალაქენი. დეკრეტის აზრით, ეს ეხება უსაქმო ხალხს, მაგრამ თქვენ იცით, ჩვენი მთავრობა არის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, ის სამსახურში მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს ღებულობს, ასე რომ, „უსაქმოთა" რიცხვში ბევრია ისეთი, რომელიც სულითა და გულით მომხრეა ჩვენი დამოუკიდებლობისა. Eისინი არიან არა უსაქმო, არამედ უმუშევარნი. თქვენ მატერიალისტები ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, რომ უმუშევრობასთან ბრძოლა რეპრესიებით შეუძლებელია. თუ მინისტრმა გადაასახლა და დააპატიმრა უმუშევარნი, ეს იქნება ორმაგი სასჯელი, ისინი უკვე დასაჯეთ იმით, რომ სამსახურში არ ღებულობთ, ეხლა გინდათ უფრო მეტი: დააპატიმროთ და გადაასახლოთ, ეს შეუწყნარებელია"...**

აქვე წარმოგიდგენთ მეორე დეკრეტს დაფინანსების შესახებ:

**დეკრეტი**

**შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად ათი მილიონი მანეთის კრედიტის გახსნისა:**

**1.** გადაიდოს ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად 10 მილიონი მანეთი სახელმწიფო ხაზინიდან.

**2.** ზემორე (პირველ) მუხლში აღნიშნული თანხა გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებაში.

**3.** დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის თავმჯდომარე

(საქართ. ცენტ. არქივი ფ. 1833. საქმე 582. გვ. 4).

**მკითხველი, ალბათ, მიხვდება, როგორ დემოკრატიას აშენებდნენ მენშევიკური მთავრობის მესვეურები და ისიც ფაქტია, რა შედეგითაც დასრულდა მათი „დემოკრატობანას" თამაში — როგორ გააკოტრეს არა მხოლოდ დემოკრატია, არამედ სახელმწიფოც და თავიანთი თავიც.**

**გაგრძელება იქნება**

**ლეო შენგელაია (ქიაჩელი): «მმართველ წრეებს არ სურთ, გაიგონ, რომ ჩვენში ანარქიას აღვივებს არა მხოლოდ უცხო ძალა და მისი ფულები, არამედ ანარქიას აღვივებს, აგრეთვე, და შეიძლება უმთავრესად — ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ჩვენი მთავრობა, ანარქიას ასაზრდოებს ის უსისტემობა და უმწეობა, რომელიც მმართველმა პარტიამ ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში გამოიჩინა»**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება, რომელიც კრძალავს იძულებით შრომას, შეიცავს გამონაკლისს: „მონობა და მუშაობის ძალადობით იძულება, გარდა სათანადო წესით გასამართლებული დანაშაულისთვის სასჯელისა, აშშ-ში არ უნდა არსებობდეს“. ამრიგად, ამერიკულ ციხეებში მონობა ძალიანაც კანონიერია.**

# ამერიკული გულაგ-ინკორპორეიტედი



**დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 5% და სასჯელს იხდის პატიმრების 25%. „ყველაზე თავისუფალი ქვეყანა“ ლიდერობს, როგორც გისოსებს მიღმა მსხდომთა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობით, ასევე, ერთ სულზე პატიმრების რაოდენობით. ამერიკულ ციხეებში სასჯელს იხდის 2,3 მილიონი ადამიანი — ნახევარი მილიონით მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ ჩინეთში, თუმცა აშშ-ის მოსახლეობა ჩინეთის მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედს შეადგენს. აშშ-ში ყვავის „ბიზნესი“, რომელიც პატიმრების შრომას უწევს ექსპლოატაციას. ამ ქვეყანაში ყოველი მეათე პატიმარი კომერციულ ციხეში იხდის სასჯელს. 2010 წელს კერძო ციხის ორმა კორპორაციამ 3 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო. ეს ამერიკის ცხოვრებაში ახალი მოვლენაა და ნამდვილად იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.**



## „ციხის მონობის“ ცნება და ფორმები

დღეს ამერიკაში კომერციულ ციხეებში სასჯელს იხდის 220 ათასი ადამიანი. ამერიკულ ლიტერატურაში ამ ფენომენს „ციხის მონობა“ უწოდეს. იგულისხმება პატიმრების შრომის გამოყენება. ამასთანავე, უნდა დაზუსტდეს კერძო კაპიტალის მიერ მოგების მიღების მიზნით პატიმრების შრომის გამოყენება.

**აშშ-ში პატიმრების შრომის პრივატიზაცია ხორციელდება ორი ძირითადი ფორმით: სახელმწიფო ციხეების მიერ პატიმრების იჯარით გადაცემა კერძო კომპანიებისთვის მუშა ხელის სახით და საპატიმრო დაწესებულებების პრივატიზაცია და მათი ქცევა საკუთრების სხვადასხვა ფორმის, მათ შორის სააქციო საზოგადოების ტიპის კერძო კომპანიებად.**

**აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორება, რომელიც კრძალავს იძულებით შრომას, შეიცავს გამონაკლისს: „მონობა და მუშაობის ძალადობით იძულება, გარდა სათანადო წესით გასამართლებული დანაშაულისთვის სასჯელისა, აშშ-ში არ უნდა არსებობდეს“. ამრიგად, ამერიკულ ციხეებში მონობა ძალიანაც კანონიერია.**

საპატიმრო მონობის ზემოხსენებული ფორმებიდან პირველი — პატიმრების „იჯარა“ — ამერიკაში XIX საუკუნეში, 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შემდეგ და პირდაპირი მონობის გაუქმებისთანავე გაჩნდა იაფი მუშახელის მწვავე დეფიციტის აღმოსაფხვრელად. გათავისუფლებულ მონებს ბრალს სდებდნენ ყოფილი პატრონების მიმართ დავალიანებაში ან წვრილმან ქურდობებში და ციხეებში ერეკებოდნენ. შემდეგ კი იჯარით გასცემდნენ ბამბის პლანტაციებში, სარკინიგზო გზების მშენებლობებზე ან მაღაროებში სამუშაოდ. XXI საუკუნის დასაწყისშიც კი, სულ მცირე, 37 შტატში ლეგალიზებულ იქნა კერძო კომპანიების მიერ „იჯარით აღებული“ პატიმრების შრომის გამოყენება კერძო კომპანიების მიერ.

„ციხის მონობის“ პრობლემის შემსწავლელი ვიკი პელაესი სტატიაში „ციხეების ბიზნესი აშშ-ში: დიდი ბიზნესი თუ მონობის ახალი ფორმა“ წერს: „იმ კორპორაციების სიაში, რომლებიც პატიმრებს იყვანენ „იჯარით“, ამერიკული კორპორაციული საზოგადოების ნაღებია: IBM, Boeing, Motorola, Microsoft, AT&T, Wireless, Texas Instrument, Dell, Compaq, Honeywell, Hewlett-Packard, Nortel, Lucent Technologies, 3Com, Intel, Northern Telecom, TWA, Nordstrom's, Revlon, Macy's, Pierre Cardin, Target Stores და მრავალი სხვა. ყველა ხსენებული კომპანია აღფრთოვანებული შეხვდა ეკონომიკურ პერსპექტივებს, რომელთაც საპატიმრო შრომა უქადდა. 1980-დან 1994 წლამდე ამ შრომის გამოყენების შედეგად მოგება 392 მილიონი დოლარიდან მილიარდ 31 მილიონამდე გაიზარდა“.

**«პატიმრების უპრეცედენტო რაოდენობა არის ამერიკული სახელმწიფოებრივი წყობის ისეთივე ფუნდამენტური ფაქტი, როგორიც მონობა იყო მე-19 საუკუნეში»**

ამგვარი „თანამშრომლობის“ სარგებელი კერძო კორპორაციებისთვის თვალნათელია: ისინი იჯარით აყვანილ მონებს შტატების მიერ დაწესებულ მინიმალურ ხელფასებს უხდიან, ზოგან კი — ამ დადგენილ მინიმუმზე ნაკლებსაც. მაგალითად, კოლორადოს შტატში პატიმრები საათში 2 დოლარს იღებენ, ეს კი მინიმალურ ხელფასზე მნიშვნელოვნად ცოტაა.

**განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ზოგიერთი სამხრეთული შტატის პატიმრები. იქ ისინი, როგორც მონობის გაუქმებამდე, კვლავაც ბამბის პლანტაციებში შრომობენ. განსაკუთრებით გაითქვა სახელი მკაცრი რეჟიმის ციხემ ლუიზიანის შტატში სახელწოდებით „ანგოლა“.** ამ ციხის პატიმრები ამუშავებენ 18 ათას აკრ მიწას, რომელზეც მოჰყავთ ბამბა, ხორბალი, სოიო, სიმინდი. მათ საათში 4-დან 20 ცენტამდე უხდიან. უფრო მეტიც, ამ გამომუშავებული გროშებიდანაც მხოლოდ ნახევარს უტოვებენ, მეორე ნახევარს კი მისსავე ანგარიშზე ინახავენ, რათა გათავისუფლებისას გადაუხადონ. საქმე ისაა, რომ ამ ციხიდან გასვლას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ — პატიმართა 3%, უმეტესობას ხანგრძლივი ვადით აქვს თავისუფლება აღკვეთილი, ამასთან, დაუნდობელი ექსპლუატაციისა და არსებობის საშინელი პირობების გამო ადრე იხოცებიან.

ლუიზიანის შტატში სხვა მსგავსი ციხე-ფერმებიც არსებობს. ამ შტატში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე სულ გამწესებულია პატიმართა 16%, მეზობელ ტეხასისა და არკანზასის შტატებში ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 17 და 40 პროცენტს შეადგენს.

„ციხის მონობის“ მეორე ფორმა — კერძო ციხეები — აშშ-ში 1980-იან წლებში პრეზიდენტ რეიგანის მმართველობისას გაჩნდა, შემდეგ კი ციხეების პრივატიზაციის პროცესი უფროსი ბუშისა და კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდშიც გაგრძელდა. ტენესის შტატში ციხის პირველი პრივატიზაცია 1983 წლის თებერვალში განხორციელდა კომპანია Massey Burch Investment-ის მიერ.

## ციხის სამრეწველო კომპლექსი

ასე თუ ისე ციხეების სისტემაში დასაქმებულია ყოველი ორმოცდამეათე ამერიკელი, რადგან ამ ორ მილიონზე მეტ პატიმარს სჭირდება ჩაცმა, ჭამა, მკურნალობა, დაცვა და ჭერი თავზე. ამ ინდუსტრიის წლიური ბრუნვა 70 მილიარდ დოლარს აჭარბებს, ეკონომისტებმა კი მისთვის სპეციალური ტერმინიც კი გამოიგონეს — ციხის სამრეწველო კომპლექსი.

**„პატიმრების უპრეცედენტო რაოდენობა არის ამერიკული სახელმწიფოებრივი წყობის ისეთივე ფუნდამენტური ფაქტი, როგორიც მონობა იყო მე-19 საუკუნეში, — ამბობს ჟურნალ The New Yorker-ის ცნობილი ესეისტი და წიგნის „მჯდომარე ამერიკა“ ავტორი ადამ გოპნიკი. —** ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ **იმ შავკანიანი მამაკაცების რაოდენობა, რომლებიც დღეს რეალურ ან პირობით სასჯელს იხდიან, აღემატება 1850 წელს მონების რაოდენობას, რაც კიდევ უფრო უარესია.** დღეს გამოსასწორებელი სისტემის მეთვალყურეობის ქვეშაა შვიდი მილიონი ადამიანი — უფრო მეტი, ვიდრე სტალინის დროინდელ გულაგებში იყო“.

ვიკი პელაესის მონაცემებით, 2008 წლისთვის აშშ-ის 27 შტატში იყო უკვე 100 კერძო ციხე 62 ათასი პატიმრით. ამ ციხეებს მართავდა 18 კერძო კორპორაცია. მათ შორის ყველაზე მსხვილი კომპანიებია „ამერიკის კორექციული კორპორაცია“ და ყოფილი უოკენხატი, რომლის ახალი სახელწოდებაა G4S. ისინი აკონტროლებდნენ კერძო ციხეების პატიმრების 75%-ს. CCA-ს აქციებით 1986 წლიდან ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე დაიწყეს ვაჭრობა. 2009 წლისათვის მის კაპიტალიზაციას 2,26 მილიარდ დოლარად აფასებდნენ.

კერძო საციხო კომპანიები გრძელვადიან შეთანხმებას დებენ სახელმწიფოსთან ციხეების მართვაზე. ამასთან, ისინი სახელმწიფოსაგან იღებენ გარკვეულ სახსრებს ყოველი პატიმრისთვის. პატიმრის შრომის ანაზღაურებას თავად კომპანია განსაზღვრავს და ის ბევრად ნაკლებია, ვიდრე იჯარით აყვანილი პატიმრების შემთხვევაში — ყველაზე კვალიფიციური შრომისათვის მაქსიმუმ 50 ცენტი საათში. სტიმულისთვის პატიმრებს ჰპირდებიან, რომ კარგი შრომის შემთხვევაში პატიმრობის ვადას შეუმცირებენ, მაგრამ ასევე მოქმედებს საჯარიმო სისტემაც, რომელსაც შეუძლია, პრაქტიკულად, სამუდამოდ აქციოს პატიმრობა.

**აშშ-ის ციხის ინდუსტრია საზრდოობს კერძო კაპიტალის მიერ პატიმართა შრომის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გამოყენებით. ირიბ გამოყენებაში იგულისხმება ის, რომ წარმოების ორგანიზებას ახორციელებს ადმინისტრაციული ციხე, ციხეების მიერ წარმოებული საქონელი კი შეთანხმების საფუძველზე მიეწოდებათ კერძო კომპანიებს. როგორც წესი, ამგვარი პროდუქციის ფასი საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებია. აღნიშნული პროცესის მასშტაბების გათვლა საკმაოდ რთულია და ბიზნესის ეს სახეობა ჩრდილოვანს განეკუთვნება.**

როგორც ამერიკული მედია წერს, კერძო ციხეების საფუძველზე ფორმირდება „ციხის სამრეწველო კომპლექსი“. ის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აშშ-ში პროდუქციის მრავალი სახის წარმოებაში. დღეისათვის ამერიკაში ციხის ინდუსტრია უშვებს სამხედრო ჩაფხუტების, ფორმების, ქამრების, ჯავშანჟილეტების, ▶




## ჰაკერებმა აშშ-ის სამთავრობო უწყებების თანამშრომელთა მონაცემები მიითვისეს

**შეერთებული შტატების სამთავრობო უწყებებში მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების პერსონალური მონაცემების გადინება დაფიქსირდა.** ეროვნული უშიშროების უწყების ინფორმაციით, ჰაკერებმა 4 მილიონი ადამიანის მონაცემი მიითვისეს. სისტემაში შეღწევა შეერთებული შტატების საზღვრის გარედან მოხდა. საინფორმაციო საშუალებები, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, იუწყებიან, რომ მონაცემთა ქურდობა, შესაძლოა, ჩინეთიდან მომხდარიყო.





**ჯერ კიდევ 1972 წელს აშშ-ში 300 ათასზე ნაკლები პატიმარი იყო, 1990-იან წლებში უკვე 1 მილიონი გახდა. დღეს ამერიკაში პატიმრების რაოდენობამ 2,3 მილიონს გადააჭარბა და ამ მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილზე დააყენა.**

## მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საიდენტიფიკაციო ბარათების, პერანგების, შარვლების, ზურგჩანთებისა და დროშების 100%-ს ამერიკის არმიისათვის. ციხე აწარმოებს ბაზარზე არსებული მთელი სამონტაჟე ინსტრუმენტების 98%-ს, ტყვიაგაუმტარი ჟილეტების 46%-ს, საყოფაცხოვრებო ტექნიკის 36%-ს, ყურსასმენების, მიკროფონებისა და მეგაფონების 30%-ს, საოფისე ავეჯის 21%-ს, საავიაციო და სამედიცინო აღჭურვილობებს და მრავალ სხვას.

ვიკი პელაესი წერს: **„ციხის ინდუსტრია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია და მისი ინვესტორები უოლ-სტრიტზე არიან... ამ მრავალმილიონიან ინდუსტრიას აქვს საკუთარი სავაჭრო გამოფენები, ყრილობები, ვებსაიტები, ინტერნეტკატალოგები. ის აწარმოებს პირდაპირ სარეკლამო კამპანიებს, ფლობს პროექტირებისა და სამშენებლო ფირმებს, საინვესტიციო ფონდებს უოლსტრიტზე, შენობების ექსპლოატაციის, სურსათის მომარაგების ფირმებს, ასევე შეიარაღებულ დაცვას და ქეჩააკრულ კამერებს.“**

### გამდიდრების წყურვილი, როგორც ამერიკული გულაგის ზრდის ფაქტორი

ამერიკულმა ბიზნესმა იგრძნო, რომ „ციხის მონების“ გამოყენება ხელსაყრელია. შესაბამისად, აშშ-ის უმსხვილესმა კორპორაციებმა დაიწყეს იმის გაცნობიერება, თუ როგორ ფორმირდება პატიმრების კონტინგენტი ამერიკულ ციხეებში, და ყველაფრის კეთება იმისათვის, რომ ციხეში რაც შეიძლება მეტი პატიმარი იყოს. სავარაუდოდ, სწორედ კორპორატიული ბიზნესის ინტერესები უწყობდა ხელს იმას, რომ აშშ-ში პატიმართა რაოდენობამ სწრაფად დაიწყო ზრდა. იგივე ვიკი პელაესი წერს: **„პატიმართა კერძო დაქირავება ადამიანების ციხეებში ჩასმის მისწრაფების პროვოცირებას ახდენს. ციხეები დამოკიდებულნი არიან შემოსავალზე. აქციების კორპორაციული მფლობელები, რომლებიც ფულს შოულობენ პატიმართა შრომით, ლობირებას უწევენ გრძელვადიან განაჩენებს, რათა უზრუნველყოფილნი იყვნენ სამუშაო ძალით. სისტემა თავად კვებავს საკუთარ თავს“.**

ხელისუფლებისთვისაც მომგებიანია პატიმართა შრომის გამოყენება. სახელმწიფო ციხეებში პატიმართა შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე კერძო ციხეებში — 2-2,5 დოლარი საათში, გარდა ზეგანაკვეთურებისა. მაგრამ ამ ციხეებში პატიმრებს გამომუშავებული თანხის ნახევარს ართმევენ იმისათვის, რომ ანაზღაურდეს კამერების „იჯარა“ და მათივე კვება. ასე რომ, საუბრები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ციხეები ამერიკაში თითქოს ამძიმებს ქვეყნის ბიუჯეტს, ერთადერთი მიზნითაა საჭირო: გამართლდეს მათი კერძო მფლობელობაში გადაცემა.

**ჯერ კიდევ 1972 წელს აშშ-ში 300 ათასზე ნაკლები პატიმარი იყო, 1990-იან წლებში უკვე 1 მილიონი გახდა. დღეს ამერიკაში პატიმრების რაოდენობამ 2,3 მილიონს გადააჭარბა და ამ მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილზე დააყენა.**

თუ პატიმრების რაოდენობას დავუმატებთ იმ ამერიკელებსაც, რომლებზეც პირობითი სასჯელი ვრცელდება, გამოვა, რომ სადამსჯელო სისტემა 7,3 მილიონ ადამიანს მოიცავს, ეს კი აშშ-ის ყოველ მეოცე მოზრდილ მოქალაქეს ნიშნავს.

„პირობითი“ პატიმრობის კონტინგენტზე ძალზე დეტალურად საუბრობს ნევადის შტატის ციხეების სამმართველოს ყოფილი ოფიცერი ვიქტორ ორიოლი. 5 მილიონი ამერიკელი, რომელთაც მიუსაჯეს გარკვეული ვადა, მაგრამ ციხის გარეთ არიან — ეს ის ადამიანები არიან, რომელთათვისაც ადგილი აღარ დარჩა არსებულ გამოსასწორებელ დაწესებულებებში. ორიოლის მონაცემებით, ამერიკული ციხეები გადავსებულია და მათი ბინადრების რაოდენობა ნორმის 200%-ს აღწევს. მაგალითად, 2007 წლის ოქტომბრის მონაცემებით, კალიფორნიის ციხეებში სასჯელს იხდიდა 170,6 ათასი პატიმარი, არადა, ამ ციხეების ტევადობა 83 ათასია.

იმისათვის, რომ სასჯელმისჯილ ამერიკელებს „ჩაჯდომის“ საშუალება მისცენ, იძულებულები არიან, ვადამდე გაათავისუფლონ ისინი, ვინც უკვე მოხვდა კამერებში. ამგვარი „ლიბერალიზმი“ კი ყოველთვის არ ამართლებს, რადგან ვადამდე გათავისუფლებულები (ორიოლის მონაცემებით, მათი 95%) კვლავ სჩადიან დანაშაულებს. ამის მიზეზი, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა — დამსაქმებლებს არ სურთ ყოფილი პატიმრების დაქირავება.

ციხის მიღმა მყოფთა შორის დიდ ნაწილს შეადგენენ საშინაო პატიმრები, რომლებიც შინ სხედან და ციხეში ადგილის გათავისუფლებას ელიან. ორიოლი წერს: „რასაც ქვემოთ ვწერ, არც გამოგონილია და არც ფანტასტიკა, არამედ ამერიკის თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. საშინაო პატიმრობაში ადამიანებს აკავებთ ელექტრონული სამაჯური, რომელსაც კოჭზე ამაგრებენ. სამაჯურის გადამცემი უშუალოდაა დაკავშირებული პოლიციის მუნიციპალური სამმართველოს პულტთან. თუ პატიმარი საკუთარ სახლს 150 ფუტზე (30 მეტრი) მეტით



**ავტორი წიგნისა «ამერიკის ჩაკეტილი სამყარო» წერს: «შიშის მომგვრელია იმაზე ფიქრი, რომ უკვე დღეს აშშ ციხეების მრეწველობას განიხილავს, როგორც პოტენციალს მომავალი იდეალური სახელმწიფოსთვის, სადაც ადამიანები გროშების სანაცვლოდ ქმნიან კეთილდღეობას მსოფლიოს ერთი მუჭა მდიდრებისათვის»**



გაშორდა, ელექტრონული მოწყობილობა პულტს განგაშის სიგნალს გადასცემს. ეს გაქცევის მცდელობის ტოლფასი დანაშაულია და მისთვის პატიმარს შეიძლება სასჯელი დაუმატონ. ზუსტად იგივე ხდება, თუ ვინმე სამაჯურის მოხსნას შეეცდება. ციხეში ადგილის ლოდინის დრო არ შედის სასჯელის საერთო ვადაში. ლოდინის დრო განსაზღვრული არ არის, მაგრამ, ფაქტობრივად, ციხეში გათავისუფლებულ ერთ ადგილზე, როგორც წესი, შინა პატიმრობაში გამოკეტილი ორი დამნაშავე მაინც მოდის“.

### აშშ-ის „ციხის კორპორაციის“ სამომავლო გეგმები

კორპორაციის ლობისტები ცდილობენ იმის მიღწევას, რომ კანონის ნებისმიერი დარღვევა პატიმრობით ისჯებოდეს. ამერიკული კანონმდებლობის ანალიზი მნიშვნელოვან „პროგრესს“ აჩვენებს ამერიკელი მოქალაქეების საკუთარი სახლებიდან ციხის კამერებში გადასახლების საქმეში. ამასთან, ისინი ცდილობენ პირობითი და ვადამდე პირობითი გათავისუფლების გაუქმებას.

ლობისტებმა უკვე მიაღწიეს იმას, რომ ადამიანებს არაძალადობრივი დანაშაულებისათვის და აკრძალული ნივთიერებების მიკროსკოპული რაოდენობით შენახვისთვის ხანგრძლივ სასჯელებს ადებენ. ფედერალური კანონი ხუთწლიან ვადას ითვალისწინებს ვადამდე პირობით გათავისუფლების უფლების გარეშე 5 გრამი კრეკის ან 3,5 უნცია ჰეროინის შენახვისთვის და 10-წლიან პატიმრობას 2 უნციაზე ნაკლები დამუშავებული კოკაინისა და კრეკის შენახვისთვის. 500 გრამი სუფთა კოკაინის შენახვისთვის იგივე კანონი სულ რაღაც ხუთწლიან ვადას ითვალისწინებს. მათი უმრავლესობა, ვინც სუფთა კოკაინს იყენებს, მდიდრები ან საშუალო ფენის თეთრკანიანები არიან. შავკანიანები და ესპანურენოვანები ძირითადად გოგირდმჟავით, ბენზინით, ნიშადურით, აცეტონით, ეთერითა და მარილმჟავით დამუშავებულ კოკაინს იყენებენ. ტეხასში ადამიანს 2 წელზე მეტს მიუსჯიან 4 უნცია მარიხუანის შენახვისთვის. **ნიუ იორკში 1973 წლის კანონი ითვალისწინებს 15 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე სასჯელს 4 უნცია ნებისმიერი აკრძალული ნივთიერებისთვის. პატიმრების 57% ამერიკაში ციხეში ზის ნარკოტიკების გამოყენების გამო.** მათ დანაშაულებში არა მხოლოდ არ არის ძალადობა, არამედ ხშირად თვითონ არიან ძალაობის მსხვერპლნი. ამერიკული ხელისუფლება ბიზნესთან ერთად დაინტერესებულია ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელებით, რადგან ეს „ციხის მონების“ რაოდენობის ზრდის ძალზე ეფექტური მეთოდია.

კორპორაციის ლობისტებმა ასევე 13 შტატში მიაღწიეს „სამი დანაშაულის“ შესახებ კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც ნებისმიერი სახის სამი დანაშაულის ჩამდენი სამუდამო პატიმრობას მიიღებს. ამერიკული პრესა წერდა, რომ მხოლოდ ამ კანონის მიღების შემდეგ კიდევ 20 ახალი ფედერალური ციხე გახდება საჭირო.

**კორპორაციის ლობისტური მოღვაწეობის მეორე მიმართულებაა პატიმრობის ვადების მაქსიმალურად გახანგრძლივება. ამისათვის კანონებში ათასგვარი შესწორებები შეაქვთ და პატიმრობის ვადის გაზრდა შესაძლებელია უკვე ნებისმიერი, ყველაზე უმნიშვნელო ქმედებისთვის. კერძო ციხეები ხანდახან თავად აწესებენ „ჯარიმებს“ პატიმრობის ვადის გაზრდის სახით.**

კორპორაციები ცდილობენ, თითქმის უფასო მუშახელის რესურსები გაზარდონ კერძო ციხეებში სასამართლო გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის გზითაც. ფართოდ გახმაურდა 2008 წელს პენსილვანიის შტატში მომხდარი შემთხვევა. ცნობილი გახდა, რომ ორი მოსამართლე იმ ქრთამის სანაცვლოდ, რომელსაც მცირეწლოვანი დამნაშავეების ორი კერძო ციხის ხელმძღვანელობისგან იღებდა, განსასჯელებს მაქსიმალურ სასჯელს უსჯიდნენ, რათა ეს ციხეები უფასო მუშახელით აევსოთ. ქრთამის საერთო მოცულობამ 2,6 მილიონი დოლარი შეადგინა.

ორიოლის მონაცემების თანახმად, სახელმწიფო ქვეყნის ციხეების სისტემაში — სულ ფედერალური და საშტატო დონის 5 000 ციხე — ყოველწლიურად 60 მილიარდ დოლარს ხარჯავს და ამავე სისტემიდან 300%-იან მოგებას იღებს.

**ავტორი წიგნისა „ამერიკის ჩაკეტილი სამყარო“ წერს: „შიშის მომგვრელია იმაზე ფიქრი, რომ უკვე დღეს აშშ ციხეების მრეწველობას განიხილავს, როგორც პოტენციალს მომავალი იდეალური სახელმწიფოსთვის, სადაც ადამიანები გროშების სანაცვლოდ ქმნიან კეთილდღეობას მსოფლიოს ერთი მუჭა მდიდრებისათვის“.**

მაგრამ პოტენციალს მომავალი იდეალური სახელმწიფოსთვის ჯერჯერობით სრულად არ იყენებენ. ბოლო მონაცემების თანახმად, კერძო კომერციულ ციხეებში 220 ათასი პატიმარია. ეს ამერიკაში პატიმართა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10%-ია, ყველა სასჯელმისჯილის 3%. ბიზნესისათვის ესეც ცოტაა. ამიტომ კერძო კაპიტალის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია არა პატიმართა რაოდენობის გაზრდისკენ, არამედ იმისკენ, რომ ყველა პატიმარი რაც შეიძლება სწრაფად აღმოჩნდეს ციხის კორპორაციის კონტროლქვეშ.

მოკლედ



## ჰეიდი ტალიავინმა თანამდებობა დატოვა

**ეუთოს თავმჯდომარის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინაში — ჰეიდი ტალიავინმა თანამდებობა საკუთარი განცხადებით დატოვა, რაც შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფედერალურმა დეპარტამენტმა უკვე დაადასტურა.** ეუთოს მისიაში თავმჯდომარის წარმომადგენლის სამსახურის დატოვების ზუსტ დროს და მიზეზს ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. ჰაიდი ტალიავინი უკრაინაში აღნიშნულ თანამდებობაზე ერთი წლის წინათ დაინიშნა, მანამდე დიპლომატი სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზების შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობდა; იყო ეუთოს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიის რეგიონში და მუშაობდა შვეიცარიის საელჩოში, მოსკოვში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სავარაუდოდ, დიქტატორის ვაკანსიის გამოცხადება მიიპყრობდა განსაკუთრებით საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისების ყურადღებას“, — ამბობს ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი სტივენ პინკერი.**

# მომავალი დიქტატორების გარეშე

**დადგება კი ოდესმე დრო, როდესაც დედამიწაზე არ იარსებებენ დიქტატორები და დიქტატურები? დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეებისთვის დიქტატორული რეჟიმები ხშირად ასოცირდება რეპრესიებთან, ადამიანთა უფლებების დარღვევასთან, სიღატაკესა და სოციალურ რყევებთან. მართლაც, დიქტატორთა მმართველობები მსოფლიოს მრავალ ხალხს აურაცხელი რაოდენობის ადამიანთა სიცოცხლედ დაუჯდა.**



ამგვარი სტატისტიკა თითქოს უდავოდ ადასტურებს, რომ დიქტატურის, როგორც პოლიტიკური მმართველობის, ერთხელ და სამუდამოდ ლიკვიდაცია სასიკეთო და ღირსეული მიზანია, მაგრამ მიიღწევა კი?

ტერმინები „დიქტატორი“ და „დიქტატურა“, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს სუბიექტური და გამანადგურებელი ხასიათისაც კი. ესექსის უნივერსიტეტის სახელმწიფო მმართველობის კათედრის უფროსი მასწავლებლის — ნატაშა ეზროუს თქმით, იმ მკვლევარების უმრავლესობა, რომლებიც დაკავებულნი არიან დიქტატურების შესწავლით, იწყებს უბრალო განსაზღვრებით: „როდესაც არ ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ცვლილება, ეს დიქტატურაა“, — ამბობს იგი.

**ეს აღნიშნავს, რომ დიქტატურა შეიძლება აიგოს იმ ერთი პიროვნების ირგვლივ, რომელიც ამყარებს პიროვნების, ერთადერთი მმართველი პარტიის ან ოლიგარქიის კულტს და მართავს სამხედროებს.**

როგორც წესი, მეცნიერთა თვალსაზრისით, დიქტატურები კიდევ რამდენიმე სახასიათო ნიშნით ხასიათდებიან. მონარქებისგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანთა ძალზე ვიწრო წრიდან წარმოსდგებიან (როგორც წესი, სამეფო ოჯახებიდან), **დიქტატორები შეიძლება გამოვიდნენ მოსახლეობის ფართო მასებიდან, მაგრამ კოალიცია, რომელსაც ისინი გამარჯვებამდე მიჰყავს, არც ისე დიდია.** იმავე ხარისხით შედარებით ვიწროა იმ ადამიანთა წრე, რომელთა წყალობითაც ინარჩუნებენ დიქტატორები ძალაუფლებას.

შედარებისთვის: გაერთიანებულ სამეფოში იმ ამომრჩეველთა კოალიციის რიცხოვნობა, რომელსაც პოლიტიკოსები ხელისუფლებაში მოჰყავს (ეგრეთ წოდებული სელექტორატი), როგორც წესი, გამარჯვებული პარტიის ელექტორატის 25%-ს შეადგენს, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — 30%-ს. ზოგიერთ ქვეყანაში ხმის უფლება იმის გადასაწყვეტად, თუ ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, სულ რამდენიმე ან რამდენიმე ასეულ ადამიანს აქვს.

დიქტატორულ რეჟიმებს შეუძლიათ, ამა თუ იმ დონით აამუშაონ სახელმწიფოებრივი ტერორის სისტემა, მაგრამ შეუძლიათ, არც მიმართონ ამ მეთოდს. აი, რაზე თანხმდებიან მკვლევარები: ამგვარი რეჟიმების შემთხვევაში მუდამ აქვს ადგილი შეთქმულებას მთავარი მიზნით — სახელმწიფო სახსრების მიტაცება რჩეული კლანის წევრების მიერ. „როდესაც ხელისუფლებაში თქვენი ყოფნა სულ რამდენიმე ადამიანზეა დამოკიდებული, მმართველობის ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტები არის კორუფცია, ქრთამი, შანტაჟი, გამოძალვა და ასე შემდეგ, — ამბობს ნიუ იორკის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი ბრიუს ბუენო დე მესკიტა, — თქვენ შეძლებთ ადამიანთა მომცრო ჯგუფების ლოიალობის მოპოვებას, თუ ნამდვილად კარგად გადაუხდით მათ“.

ამის გათვალისწინებით, ნებისმიერი დიქტატორი, რომელსაც მწვერვალზე დარჩენა სურს, უნდა მუშაობდეს არა იმდენად მასების ფართო წრეების სასიკეთოდ, რამდენადაც ერთი მუჭა ხალხის კეთილდღეობისთვის, რომელზეც არის დამოკიდებული მმართველობის სადავეების მის ხელთ დარჩენა. „დიქტატორების ცუდი საქციელი თანდაყოლილი პათოლოგია შედეგი არ არის, — ამბობს ბუენო დე მესკიტა. — პოლიტიკური სტრუქტურა თავს ახვევს მას მმართველობის ამგვარ მოდელს“.

მას შემდეგაც, რაც დიქტატორი გულუხვად დააჯილდოვებს თავის მეგობრებს, მის განკარგულებაში ხშირად რჩება ბევრი გაუთვალისწინებელი ფული. აი, აქ კი მართლაც გამოიცდება დიქტატორის ხასიათი. მას შეუძლია, ფული თავისთვის და თავისი მომხრეებისთვის გადამალოს, მაგრამ შეუძლია თანამოქალაქეების ცხოვრების გასაუმჯობესებლადაც დახარჯოს.

მაგრამ თუნდაც დიქტატორი მეორე კატეგორიას ანიჭებდეს უპირატესობას, კატეგორიას, რომელშიც ძალზე იშვიათი დიქტატორი ხვდება, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. საზოგადოების კეთილდღეობასთან დაკავშირებული კეთილგანწყობა ავტომატურად არ ტრანსფორმირდება გონივრულ იდეებად და ზოგიერთმა დიქტატორმა ამის ყველაზე კატასტროფული სახით დემონსტრირებაც მოახდინა. ამ ავტორიტარულმა მმართველებმა საკუთარი მცდელობით, გაეუმჯობესებინათ მოსახლეობის კეთილდღეობა, ხალხი სრულ სიღატაკეში ჩაძირეს.

„ამრიგად, დიქტატორები, შესაძლოა, იყვნენ მომუშავენი, მაგრამ ეს მაინც ძალზე სარისკო საქმეა იმისათვის, რომ ამის იმედად იყო“, — ამბობს ბრუნო დე მესკიტა.

მეცნიერები გამოყოფენ კიდევ ერთ საერთო პრობლემას, რომელიც დიქტატურებთან ასოცირდება: დიქტატორები არ წარმოადგენენ ბოროტების განსახიერებას, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ცუდი პიროვნული თვისებები ახასიათებს.

**„სავარაუდოდ, დიქტატორის ვაკანსიის გამოცხადება მიიპყრობდა განსაკუთრებით საკუთარ თავზე შეყვარებული ნარცისების ყურადღებას“, — ამბობს ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი სტივენ პინკერი.**

ამრიგად, დიქტატურის პირობებში ცხოვრბას მრავალი ნაკლი აქვს. მაგრამ, ამასთანავე, უფრო მეტი ქვეყანა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სამეცნიერო განსაზღვრებების მიხედვით, თამამად შეიძლება იწოდოს დიქტატურად.

არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია და დაკავებულია დემოკრატიის სფეროსა და მისი დაცვის კვლევებით, ირწმუნება, რომ **მსოფლიოს მასშტაბით ადამიანთა დაახლოებით ორი მესამედი დიქტატურის პირობებში ცხოვრობს, მილიარდი ადამიანი კი იტანჯება მმართველობის რეპრესიული სტილით. ამჟამად მსოფლიოში არსებობს 106 სრული ან ნაწილობრივი დიქტატურა, რაც, ზოგადად, არსებული ქვეყნების 54%-ს შეადგენს.**

მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს დიქტატურის გაჩენას, ასწლეულების განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. დიქტატორები გაჩნდნენ ძველი რომის კლასიკურ ეპოქაში უბედურებების პერიოდში. „ერთი ადამიანი, ისეთი, როგორიც, ვთქვათ, **უილიუს ცეზარი** იყო, ფლობდა უზარმაზარ ძალაუფლებასა და უფლებამოსილებას, რათა დახმარებოდა საზოგადოებას კრიზისიდან გამოსვლაში, რომლის შემდეგაც, როგორც ივარაუდებოდა, მას უარი უნდა ეთქვა ხელისუფლებაზე, — ამბობს ექსეტერის უნივერსიტეტის ისტორიკოსი რიჩარდ ოვერი, — მაგრამ ხშირად ასეთ ადამიანებს არც კი უჩნდებოდათ ხელისუფლებაზე უარის თქმის სურვილი“.

**მრავალი თანამედროვე და შედარებით ბოლოდროინდელი დიქტატორის, მათ შორის, ადოლფ ჰიტლერისა და ბენიტო მუსოლინის, რეჟიმებიც ასევე გაჩნდა რყევების პერიოდში და, სავარაუდოდ, მომავალი დიქტატორების შემთხვევაშიც ყველაფერი განმეორდება.** მაგრამ ისტორიის მანძილზე ძალადობის დონემ იკლო, შემცირდა დიქტატორების რაოდენობაც, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, როდესაც მრავალი დიქტატურული რეჟიმი დაემხო ლათინურ ამერიკასა და აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა ყოფილი დიქტატურული ქვეყნებიდან მრავალი კვლავ მიხოხავს მმართველობის ამ ფორმისკენ.

„დღეს ადამიანებისათვის სულ უფრო რთულდება დიქტატურის გამართლება, ნაწილობრივ იმის გამო, რომ თითქმის მთელი მსოფლიო მასმედიის თვალთახედვის არეშია, — ამბობს ოვერი, — დღეს რაიმეს დამალვა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ადრე იყო“.

ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი დიქტატურის არსებობის დღეები, შესაძლოა, დათვლილია, მით უფრო, თუ მათ რეპრესიულ მმართველობას ამძიმებს შიგა ეკონომიკური პრობლემები. თუ ისტორიას დავეყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სიტუაციები, დიდი ალბათობით, გადაიზრდება სამხედრო გადატრიალებებში.

ზოგიერთი დიქტატურა არ ავლენს მოსალოდნელი კრახის არანაირ ნიშნებს. „ამჟამად არსებობს უკი- ▶

**მრავალი თანამედროვე და შედარებით ბოლოდროინდელი დიქტატორის, მათ შორის, ადოლფ ჰიტლერისა და ბენიტო მუსოლინის, რეჟიმებიც ასევე გაჩნდა რყევების პერიოდში და, სავარაუდოდ, მომავალი დიქტატორების შემთხვევაშიც ყველაფერი განმეორდება**



## ციპრასი: საბერძნეთს ახრჩობენ

**საერთაშორისო კრედიტორების მიერ საბერძნეთისთვის წაყენებული ულტიმატუმი დახრჩობის ტოლფასია.** ამის შესახებ ქვეყნის პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა განაცხადა. მოლაპარაკებას ბერძნული მხარე ბრიუსელში ევროკომისიის თავმჯდომარესა და ევროზონის საფინანსო კომიტეტის ხელმძღვანელთან აწარმოებდა. კრედიტორებმა საბერძნეთს ვალების იმ ნაწილის გადახდა დაავალდებულეს, რომელსაც ვადა გასდის. ათენს ასევე რამდენიმე საგადასახადო შეღავათისა და სოციალური დახმარების გაუქმებას სთხოვენ.





**ევროპის პოლიტიკური ლიდერები რეგულარულად და სამარცხვინოდ ადანაშაულებენ მიგრანტებს საკუთარ ნაციონალურ უბედურებებში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დევნილების პრობლემა ევროპაში: მაშინ და ახლა

დურესად გრძელვადიანი დიქტატურები, — ამბობს დენვერის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების კათედრის დოცენტი ერიკა ჩენოვეტი, — იმ დიქტატურებმა, რომლებმაც ამ დრომდე მოაღწიეს, თვითგადარჩენის ხელოვნება დახვეწეს".

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ზოგიერთ დიქტატურას თვითგადარჩენის უნარი აქვს, ზოგიერთი კი ახლა ჩნდება, არის ის, რომ დემოკრატია, მიუხედავად საკუთარი განზრახვებისა, წაახალისებს მათ.

„ადამიანები გულუბრყვილოდ თვლიან, რომ დემოკრატიული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან დემოკრატიის გავრცელებით, — ამბობს ბუენო დე მესკიტა, — მაგრამ ეს არასწორია და ამას თავისი მიზეზები აქვს". დემოკრატიული ლიდერების წინაშე მდგარი ფუძემდებლური ამოცანა, ამბობს იგი, მდგომარეობს ისეთი პოლიტიკის გატარებაში, რომელიც მათსავე ქვეყნებში არგებს მათ ამომრჩეველს და არა სხვა ქვეყნების მოსახლეობას. ვინაიდან ავტორიტარული ლიდერისათვის საჭიროა მეგობრების დამშვიდება, **დემოკრატი ლიდერები ხშირად თანხმდებიან, ფული უხადონ დიქტატორებს, რათა აკეთონ, რაც საჭიროა. ეს მომგებიანია როგორც დიქტატორისთვის, რომელსაც ფული სჭირდება, ასევე დემოკრატისათვის, რომელსაც სჭირდება საკუთარი ამომრჩევლების დამაკმაყოფილებელი პოლიტიკა.**

მართალია, არ არსებობს საშუალება, წინასწარ განისაზღვროს, თუ სად გაჩნდება მომავლის დიქტატურები და რომელი რამდენ ხანს გასტანს, მაგრამ, ზოგადად, დიქტატურები მუდამ იარსებებს. „ვფიქრობ, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს დიქტატურის გაჩენის თუნდაც მცირე ალბათობა", — ამბობს ჩენოვეტი.

მიუხედავად დასავლეთში გავრცელებული აზრისა, დიქტატურა აუცილებლად ცუდი არაა ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხისთვის. ყველა დიქტატურა როდი ამთავრებს ცუდად და ყველას როდი სურს დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება. **„უვარგისი დემოკრატია, შესაძლოა, ჰუმანურ დიქტატურაზე უარესი აღმოჩნდეს", — ამბობს პინკერი.**

არ არსებობს არანაირი მინიშნება იმაზე, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის სურვილი ადამიანური ბუნების თანდაყოლილი თვისებაა. ვიდრე ცხოვრების დონე მაღალია, ხოლო ადამიანებს უფლებას აძლევენ, იცხოვრონ, როგორც სურთ, მოქალაქეები შეიძლება სავსებით ბედნიერი იყვნენ დიქტატურულ რეჟიმშიც. როგორც ეზროუმ ბრძანა, „ზოგიერთი კულტურა უსაფრთხოებასა და სტაბილურობას თავისუფლებაზე მეტად აფასებს".

**BBC**

**ჟენევის ტბის სამხრეთ სანაპიროზე, ულამაზეს ევიან-ლე-ბენში მდებარე სასტუმრო Royale-ში 1938 წლის ივლისში 32 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და გამართეს ის სამარცხვინო დისკუსია, რომელიც თანამედროვეთა მეხსიერებიდან, პრაქტიკულად, ამოშლილია. ევიანის კონფერენციამ, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ჰიტლერის მწვავე ანტისემიტიზმის ფონზე წარმოშობილი დევნილების მასობრივი კრიზისის საპასუხოდ მოიწვია, სრული კრახი განიცადა, მაგრამ მისი კატასტროფული შედეგები ევროპაში მიგრაციის ამჟამინდელ კრიზისს ეხმაურება.**



## ამჟამად ევროპაში კვლავ იმატებს ანტისემიტური, ისლამოფობიური, რასისტული და ანტიმიგრაციული განწყობები

ევიანის კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა ასიათასობით გერმანელი და ავსტრიელი ებრაელის ბედი, ებრაელებისა, რომლებიც სასოწარკვეთილნი ეძებდნენ თავშესაფარს. რუზველტი თვლიდა, რომ პრობლემას მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილება თუ მოაგვარებდა. ჰიტლერიც იმედოვნებდა, რომ დევნილებს სხვა ქვეყნები მიიღებდნენ.

კენიგსბერგში გამოსვლისას იგი ამბობდა: „შემიძლია, მხოლოდ ვიმედოვნებდე, რომ დანარჩენი მსოფლიო, რომელმაც ესოდენ ღრმა თანაგრძნობა გამოავლინა ამ დამნაშავეთა მიმართ, საკმარისად გულუხვი იქნება საიმისოდ, რომ ეს სიბრალული რეალურ დახმარებად აქციოს. ჩემი ინტერესი ისე დიდია, რომ მზად ვარ, სხვადასხვა ქვეყანას განკარგულებაში გადავცე ჩვენი მდიდრული გემები ამ დამნაშავეთა ტრანსპორტირებისთვის". მან დაიწყო კიდევაც ებრაელთა გაგზავნა, გემებში ძალით ჩასმა და დანიშნულების სხვადასხვა ადილებისკენ გაგზავნა ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტიკის ზღვით.

მაგრამ დევნილები მთელ ევროპაში დაკეტილ კარს აწყდებოდნენ. 1938 წლის 6 ივნისს, მაშინ, როდესაც ზემოხსენებული კონფერენციისათვის მზადება მიმდინარეობდა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 51 დევნილი ადამიანისგან, რომლებიც დუნაის საერთაშორისო წყლებში იმყოფებოდნენ პატარა ნავზე, ავსტრიიდან წერილი მიიღო. მწერალი ნანახს ასე აღწერდა: „სულის შემძვრელია ერთი ნაპირიდან მეორემდე მოწანწალე 51 ადამიანის ბედი. ჩვენ შევიცანით ენით აუწერელი სიღატაკე, რომელიც აბსოლუტურად დაუმსახურებლად დაატყდა თავს 100 ათას ავსტრიელს".

და მაინც, ერთი თვის შემდეგ ევიანში, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული დელეგაციები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმ წამების გამო, რომელიც გერმანელმა და ავსტრიელმა ებრაელებმა გადაიტანეს, ისინი მზად არ აღმოჩნდნენ კონკრეტული ზომების მისაღებად. შეხვედრის შედეგი ნათელი იყო: **ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ავსტრალია არ აპირებდნენ, საკუთარ ტერიტორიაზე მიეღოთ დევნილი ებრაელები.**

შეხვედრის სტენოგრამაში წერია ორი სიტყვა: „სიმჭიდროვე" და „გადავსება". სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპულ საერთო საცხოვრებელში თავისუფალი ოთახები აღარ დარჩა.

ცხადია, აბსურდი იყო რაიმე მსგავსის მტკიცება 1938 წელს ევროპის მოსახლეობის ამჟამინდელი რაოდენობის გათვალისწინებით. და კიდევ უფრო მეტი უგუნურება იქნებოდა რაიმე მსგავსის თქმა დღეს.

სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ ევიანის კონფერენციის მონაწილეებს არ შეეძლოთ, წინასწარ გაეთვალათ ჰოლოკოსტი ან ის ფაქტი, რომ ევროპას კიდევ ერთ დამანგრეველ ომში ჩაითრევდნენ. მიუხედავად ამისა, უსინდისობის ხარისხი, უბრალოდ, გამაოგნებელი იყო. მრავალი ქვეყანა, რომელმაც უარი განაცხადა დევნილების მიღებაზე, თავის დროზე თავადაც შეეჯახა ნაცისტების მხეცობებს და ყველას ევედრებოდა თანაგრძნობას, რომელზეც თვითონ უარი უთხრეს ებრაელებს 1938 წლის ივლისში.

ნაცისტები, როგორც ჩანს, საზრდოობდნენ იმით, რომ მათმა გადამდებმა ანტისემიტიზმმა გამოძახილი ჰპოვა ევროპის დანარჩენ ნაწილში. გარდა ამისა, ისინი მიხვდნენ, რომ, თუ ვერ შეძლეს პრობლემის გადაჭრა გასახლების საშუალებით, საბოლოოდ, განადგურების გზით მაინც გადაჭრიდნენ მას.

**ამჟამად ევროპაში კვლავ იმატებს ანტისემიტური, ისლამოფობიური, რასისტული და ანტიმიგრაციული განწყობები.** საჭიროა შეჩერება და მიმდინარე მდგომარეობისთვის თვალის გადავლება. მსხვილმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა ახლახან მისაღებად ჩათვალა ის, რომ ერთ-ერთმა მისმა მიმომხილველმა იმიგრანტებს „ტარაკნები" უწოდა. „ათასი ბორცვის თავისუფალი რადიო და ტელევიზია" რუანდაში იმავე სიტყვას იყენებდა 1994 წლის გენოციდის წინ, ასევე მოიხსენიებდა ებრაელებს იულიუს შტრეიხერის ნაცისტური გაზეთი Der Sturmer-ი. **ევროპის პოლიტიკური ლიდერები რეგულარულად და სამარცხვინოდ ადანაშაულებენ მიგრანტებს საკუთარ ნაციონალურ უბედურებებში.**

მიგრანტებზე ან უმცირესობებზე თავდასხმები უხეშად — გამოსვლებით ან უფრო დელიკატურად — პოლიტიკის საშუალებით ყველგან დაუშვებელია და ეს განხილვას არ ექვემდებარება. როდესაც სიტყვების ფორმულირება ხდება ზიანის მიყენების ნათელი განზრახვით და ძალადობის მიზნით ნაციონალიზმის, რასობრივი ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე სიტყვის თავისუფლება კანონით აკრძალული სიძულვილის წაქეზებად იქცევა ხოლმე. ქვეყნები, რომლებმაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება მოახდინეს და რომელთა შორისაცაა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა, ვალდებულნი არიან, დაიცვან მისი მოთხოვნები.

ევროპის დღევანდელი მიდგომა მიგრაციის საკითხებისადმი უკეთესის სურვილს აჩენს. კონტინენტისთვის აუცილებელია, უკეთესად გაიხსენოს საკუთარი წარსული და უფრო ხელგაშლილი იყოს იმ სასოწარკვეთილი ადამიანების მიმართ, რომლებიც ხმელთაშუა ზღვას კვეთენ. გაეროს მუდმივი მომხსენებელი მიგრანტთა უფლებების თემაზე ფრანსუა კრეპო ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში აცხადებდა, რომ **ევროპას, ავსტრალიასა და კანადას თავისუფლად შეუძლიათ, თავიანთ ტერიტორიაზე მიიღონ მილიონი სირიელი დევნილი მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, ამასთანავე, მათ შეუძლიათ, აღიშნულ რაოდენობას ერითრიელებიც დაამატონ და მიგრაციული პოლიტიკა შვიდ წლამდე განაგრძოს. მაშ, რატომ ამბობს ევროპა, რომ წელიწადში სულ რაღაც 20-40 ათას ადამიანს მიიღებს?**

**კარგი იქნებოდა, რომ ევროპელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ასე თავგამოდებით გამოდიან მიგრაციის წინააღმდეგ, ირგვლივ მიმოიხედონ, როდესაც, მაგალითად, საავადმყოფოს მიაკითხავენ სამკურნალოდ: ავადმყოფების მომვლელთა უმრავლესობა სწორედ იმიგრაციული ფესვებიდან მოდის. და, როდესაც ევიან-ლე-ბენის სახელგანთქმული წყლით მოიკლავენ წყურვილს, გაიხსენონ იმ სამარცხვინო კონფერენციის შესახებაც, რომელსაც ამდენი სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო.**

**PROJECT SYNDICATE**




## ევროპარლამენტის პრეზიდენტი: საბერძნეთის მთავრობა ნერვებს მიშლის

**ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა აღიარა, რომ საბერძნეთის მთავრობა მის ნერვულ სისტემაზე მოქმედებს.** ამის შესახებ შულცმა ერთ-ერთი გერმანული არხის პირდაპირ ეთერში მას შემდეგ განაცხადა, რაც საბერძნეთის მთავრობასთან 27-ჯერ სცადა, ათენის საგარეო ვალის პრობლემა გადაეწყვიტა. „საბრძნეთის მთავრობა ზოგჯერ ნერვებს მიშლის", — განაცხადა შულცმა. მისივე თქმით, მას კარგად ესმის, რომ ფინანსური პრობლემები საბერძნეთის ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო, თუმცა ათენის კაპიტალის როლი ევროპაში მნიშვნელოვნად „ციმციმებს". ევროპარლამენტმა საბერძნეთს გადასახადების გადახდის ვადა ივნისის ბოლომდე გაუგრძელა.



მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მსოფლიოში. ეს გლობალური ეპიდემია ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს, მათ შორის, 1,5 მილიონი ქალია, ხოლო 600 000-ზე მეტი მეორადი კვამლით იღუპება; თამბაქოს მიზეზით ყოველ 6 წამში ერთი ადამიანი კვდება. 1,2 მილიარდი ადამიანი 15 წლის ზევით დამოკიდებულია თამბაქოზე, მათი დაახლოებით 80 პროცენტი დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში ცხოვრობს.**

# ერთობლივი პროექტი — ჯანმრთელობა

**თამბაქოს მავნეობაზე საუბრობენ ექიმები, იბეჭდება საგაზეთო წერილები, კეთდება ტელე და რადიოგადაცემები, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც წესი, ფუჭი შრომაა: ადამიანები კვლავ ერთგულებენ სიგარეტს და... თავს იღუპავენ.**

**დღეს ჩვენს მკითხველებს მივაწვდით სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მოამზადა და დაამუშავა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენის უფროსმა ლელა სტურუამ. ვინძლო ამ საშინელმა სტატისტიკამ დააფიქროს თამბაქოს მწეველები!**

# თამბაქო — მთავარი რისკფაქტორი

## გლობალური ტვირთი

თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მსოფლიოში. ეს გლობალური ეპიდემია ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს, მათ შორის, 1,5 მილიონი ქალია, ხოლო 600 000-ზე მეტი მეორადი კვამლით იღუპება; თამბაქოს მიზეზით ყოველ 6 წამში ერთი ადამიანი კვდება. 1,2 მილიარდი ადამიანი 15 წლის ზევით დამოკიდებულია თამბაქოზე, მათი დაახლოებით 80 პროცენტი დაბალ და საშუალოშემოსავლიან ქვეყნებში ცხოვრობს.

XX საუკუნეში თამბაქომ 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, XXI საუკუნეში ერთი მილიარდი ადამიანი ემსხვერპლება თამბაქოს.

თამბაქოს ეპიდემიის გლობალიზაციის პასუხად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენცია, რომლის რატიფიცირებით საქართველომ, მსოფლიოს 178 ქვეყანასთან ერთად, ივალდებულა ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის სრულფასოვანი ღონისძიებების განხორციელება.

## სიტუაცია საქართველოში

თამბაქოს მოხმარების კუთხით საქართველოს, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია ევროპის ქვეყნებს შორის, თუმცა მწეველ ქალთა რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ევროპის ქვეყნებს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის არაგადამდები დაავადებების რისკფაქტორების კვლევის შედეგების მიხედვით, ამჟამად თამბაქოს რომელიმე პროდუქტს (მოსაწევს და უკვამლოს) მოიხმარს რესპონდენტთა 30,3 პროცენტი (მამაკაცების 55,5 პროცენტი და ქალების 4,8 პროცენტი). თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის 2008 წლის მონაცემების მიხედვით, მწეველობის გავრცელება ქალებში 18-21 პროცენტს შეადგენს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოწევა ყველაზე მეტად 25-44 წლის ადამიანებშია გავრცელებული (36,1 პროცენტი), ყველაზე ნაკლებად კი 55-64 წლის პირებს შორის. ბოლო 12 თვის განმავლობაში თამბაქოსთვის თავის დანებების წარუმატებელი მცდელობა ჰქონდა 39,1 პროცენტს (კაცი — 40,3 პროცენტი, ქალი — 25,8 პროცენტი).

2014 წელს 13-15 წლის ბავშვებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით მოსწავლეთა 7,0 პროცენტი (9,9 პროცენტი ბიჭი და 3,8 პროცენტი გოგო) სიგარეტის მწეველია. 16 წლის თბილისელ მოსწავლეთა შორის ამჟამად მწეველობა 16 პროცენტს უდრის (22,4 პროცენტი ბიჭი და 9,5 პროცენტი გოგო).

2014 წლის შედეგების მიხედვით მოსწავლეთა 41,8 პროცენტი თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედებას შინ, ხოლო 54,6 პროცენტი საზოგადოებრივ სივრცეში განიცდის. მწეველი მოსწავლეების 77,1 პროცენტი სიგარეტს მაღაზიაში, გარე მოვაჭრისგან ან კიოსკში იძენს; 6-დან 10 მოსწავლეს შემჩნეული აქვს თამბაქოს საწინააღმდეგო გზავნილები მედიაში; 5-დან 10 მოსწავლეს შემჩნეული აქვს თამბაქოს რეკლამა ან პოპულარიზაცია გაყიდვის ადგილებში; 69,5 პროცენტი ფიქრობს, რომ სხვების მიერ მოწეული კვამლის შესუნთქვა მათი ჯანმრთელობისთვის მავნებელია; 79,4 პროცენტი მხარს უჭერს მოწევის აკრძალვას საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ სივრცეებში.

რეპროდუქციული კვლევების შედეგების მიხედვით, თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედებას განიცდიან ქალებიც: 52 პროცენტი — შინ, 44 პროცენტი კი — სამუშაო ადგილზე.

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თამბაქოთი გამოწვეული დაავადებებით საქართველოში ყოველწლიურად 9 000-დან 11 000-მდე ადამიანი იღუპება, მათ შორის, 3 000-მდე პასიური მოწევის მსხვერპლია. ყოველწლიურად იყიდება 10 მლრდ ღერი (0,5 მლრდ კოლოფი), რაც დაახლოებით 0,58 მლრდ ლარს შეადგენს.**

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ კანადის საერთაშორისო განვითარების კვლევების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელებული საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დანერგვის დონის კვლევის შედეგების თანახმად, სავაჭრო ობიექტების 92 პროცენტი ვაჭრობს თამბაქოს ნაწარმით, სკოლებიდან 50 მეტრზე ახლოს განლაგებული ობიექტების 85 პროცენტი ყიდის თამბაქოს. თამბაქოს ნაწარმით მოვაჭრე ობიექტების 2 პროცენტში თამბაქოს ნაწარმი განლაგებულია იმ სექციებში, რომლებშიც ბავშვებისთვის განკუთვნილი პროდუქცია იყიდება. თამბაქოს ნაწარმით მოვაჭრეთა 96 პროცენტმა არ იცის თამბაქოს ვაჭრობის კანონმდებლობა.



**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თამბაქოთი გამოწვეული დაავადებებით საქართველოში ყოველწლიურად 9 000-დან 11 000-მდე ადამიანი იღუპება, მათ შორის, 3 000-მდე პასიური მოწევის მსხვერპლია. ყოველწლიურად იყიდება 10 მლრდ ღერი (0,5 მლრდ კოლოფი), რაც დაახლოებით 0,58 მლრდ ლარს შეადგენს**



თამბაქოს ნაწარმით მოვაჭრე ობიექტების მონიტორინგისა და შემოწმების სისტემა არ არსებობს.

ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, 2014 წელს განხორციელებული კვლევების პირველადი შედეგების მიხედვით ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 28,1 პროცენტი მწეველია; თამბაქოს მეორადი კვამლის ზემოქმედებას ყოველდღიურად განიცდის 38,8 პროცენტი; 81,1 პროცენტი ფიქრობს, რომ თამბაქოს მეორადი კვამლი მავნებელია; დაახლოებით 90-100 პროცენტი იმყოფება თამბაქოს რომელიმე სახის რეკლამისა და პოპულარიზაციის ზემოქმედების ქვეშ.

## თამბაქოს კონტროლის არსებული სტატუსი

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის დეკემბერში მოახდინა თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაშია 2006 წლის 16 მაისიდან. ამით ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულება, შეესრულებინა კონვენციის მოთხოვნები ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის სრულფასოვანი ღონისძიებების განსახორციელებლად. საქართველომ ნათლად მიანიშნა, რომ თამბაქოს კონტროლი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა დღემდე ამ ვალდებულებებიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია დანერგილი.

საქართველოში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების შესაბამისობაში მოსაყვანად საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობასთან და თამბაქოსთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი მოძრაობის დასაწყებად, **2013 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება, თამბაქოს კონტროლის ღონისძიებათა გაძლიერების თაობაზე, რომელიც გულისხმობს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო კომისიის შექმნას სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.**

კომისიამ შეიმუშავა თამბაქოს კონტროლის ეროვნული სტრატეგია და მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 25 ნოემბრის სხდომაზე დაამტკიცა.

მომზადებულია კანონპროექტები შემდეგ კანონებზე: საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ, საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი. აღნიშნული კანონპროექტები განიხილეს სახელმწიფო კომისიის წევრმა სამინისტროებმა და გაგზავნეს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

დღეს თამბაქოს კონტროლის არსებული კანონმდებლობის ანალიზი მიგვითითებს, რომ, ერთი მხრივ, იგი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, მაგრამ, ამასთანავე, საჭიროებს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის მოთხოვნების მიხედვით მთელ რიგ დამატებებსა და ცვლილებებს (მათ შორის, რეკლამისა და პოპულარიზაციის, საზოგადოებრივ ადგილებში თამბაქოს კვამლისგან დაცვის, თამბაქოს პროდუქციის წარმოებასა და მიმოქცევაზე ზედამხედველობის სისტემის გაძლიერების, კოლოფზე გამაფრთხილებელი წარწერებისა და ნახატების გაუმჯობესების, ადმინისტრირებისა და გადასახადების სისტემის გადახედვის და ა.შ. მიმართულებებით); მეორე მხრივ კი — პოლიტიკური ნების გაძლიერებას უკვე არსებული დებულებების ასამოქმედებლად.

თამბაქოს კონტროლის განხორციელების დასაჩქარებლად საჭიროა კანონის აღსრულებისთვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, მრავალსექტორული თანამშრომლობის, საერთაშორისო ცოდნის გაზიარებისა და მხარდაჭერის, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება, პოლიტიკის შემქმნელებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება და ა.შ.

2015 წელს თამბაქოს საწინააღმდეგო მსოფლიო დღე მიეძღვნა თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრას.

თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობა მოიცავს გლობალურ პრობლემას და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი და ეკონომიკური მართვის, ასევე, კორუფციის აღმოფხვრის საკითხებს.

**ლელა სტურუა,**
**პროფესორი**

**ნავთი არ გვაქვს... მაგრამ სასმელ წყალს მიაქვს ქვეყანა, ვისმე წამოსცდენია წყლით მაინც შეღავათს გაგიწევთ და გადასახადს ნუ გადაიხდითო?.. ახლა მაინც ჩაიხედონ საკუთარ გულში, რა გაუკეთებიათ ქართული ეკონომიკის ასაღორძინებლად, გარდა ბიზნესმენების ძარცვისა! უფიქრიათ, რომ მსოფლიოში გაეტანათ სასმელი წყალი, რომლის დეფიციტსაც განიცდის კაცობრიობა?**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სოფელი, რომელიც ღონიერი იყო...

**სოფელი ყოველთვის იყო ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ბურჯი. „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“, — უთქვამს ხალხს. წარსულში ჩვენი ქვეყნის მეფეები დიდ მფარველობას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ სოფელსა და გლეხკაცობას...
მეფე არჩილმა შთამომავლობას ანდერძად დაუტოვა: „თუ ამოწყდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“.
ეს სიტყვები ჩვენს პოლიტიკოსებს გულის ფიცარზე უნდა დაეწერათ, მათი საქმიანობის მთავარ სამოქმედო ღერძად უნდა ექციათ.**

ვარდების რევოლუციის მესვეურები პარლამენტში რომ შეცვივდნენ და ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ქვეყნის განვითარების ორ ვერსიაზე ყოფილა საუბარი — ტურიზმის ან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. როგორც ამბობენ, მათ „იდეოლოგს“, ბოკერიას, კატეგორიულად მოუთხოვია ტურიზმის განვითარება და ქვეყნის გადარჩენა ამით მოუნდომებია.

გეკითხებით: მათმა პოლიტიკამ სოფელი მთლიანად გააპარტახა, ადამიანები სხვა ქვეყნებში გადახვეწა, რათა მონური შრომით როგორმე ეშოვათ ლუკმაპურის საფასური, არის თუ არა ეს **სისტემური დანაშაული**? სოფლად რომ კაცს აღარ ეცხოვრებოდა, არ იცოდნენ?!

დღეს საქართველოს სოფლები ისეა გაუბედურებული, რომ დიდი ძალისხმევაა საჭირო მათ ასაღორძინებლად და ფეხზე დასაყენებლად, „ნაციონალების“ ქმედებამ ხალხს რწმენა, ხვალინდელი დღის იმედი დაუკარგა, ადამიანები იქამდე მიიყვანა, რომ სოფლისკენ გახედვაც აღარ უნდათ...

საქართველოს სამი დაუძინებელი მტერი ჰყავდა:

**პირველი — ანტიეროვნული მთავრობა, „ნაციონალების“ სახით,** რომლის წევრებიც მთლიანად მოსწყდნენ ქართულ ტრადიციებსა და ყოფას, გაემიჯნენ ხალხს და მისი ტკივილი არად მიიჩნიეს; რომელიმე გაჭირვებულს წელიწადში ერთხელ მოინახულებდნენ, მერე მთელი წელი ატრიალებდნენ ტელევიზიაში. საკუთარ კეთილდღეობასა და გართობაზე ფიქრობდნენ — მთლიანად დაივიწყეს სოფელი, მხოლოდ არჩევნების დროს გაახსენდებოდათ, რომ იქაც ხალხი ცხოვრობდა; არ ცდილობდნენ სოფლად სამუშაო ადგილების შექმნას; პირიქით — თუ რომელიმე სოფელში კულტურული კერა იყო გადარჩენილი, ცდილობდნენ მის მოსპობას, ამცირებდნენ შტატებს და ა.შ.

**მეორე — ტელევიზია.** გადაცემებში იშვიათად ჩნდება სოფელი. მე არ მინახავს, რომელიმე ტელევიზიას (გარდა საპატრიარქოს ტელევიზიისა, მაგრამ სამწუხაროდ, ის მხოლოდ თბილისისთვის მაუწყებლობს) მოეწვია სწავლული, რომელიც სოფლის ხალხს რჩევა-დარიგებას მისცემდა, დაინტერესდებოდა მათი ცხოვრებით, სიტყვით მაინც დაეხმარებოდა იმ სიძნელეების დაძლევაში, რომლებიც მათ აწუხებთ.

**მესამე — საქართველოს ბანკები იპოთეკური სესხებით აბეჩავებდა ხალხს, რომელიც თვიდან თვემდე იმაზე ფიქრობდა, ბანკის პროცენტი როგორ გადაეხადა. ამას ერთვოდა გაზრდილი კომუნალური გადასახადები და სხვა მრავალი.**

მართალია, 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი ყველა ოჯახს მისცეს. ამას მოჰყვა ის, რომ სოფლიდან გასული ადამიანები დაბრუნდნენ და დაეპატრონენ მამა-პაპის კერას, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ მათ მხარში არავინ დაუდგა, დატოვეს ნაკვეთები და ისევ ქალაქს დაუბრუნდნენ. **მთავრობამ ამით ვალი მოიხადა, ეგონა, გლეხი შეძლებდა მიწის მოვლა-პატრონობას, მაგრამ დაავიწყდა, რომ ეს ის გლეხი აღარ იყო, რომელიც კერძოობის დროს ცხოვრობდა. სამოცდაათი წელი სხვა ჩასჩიჩინებდა, — გამოდი კოლექტივში, ახლა სხვლის დროა, ახლა — თოხნის და ა.შ. გლეხს ინდივიდუალურად გაუჭირდა ნაკვეთის დამუშავება, ეს კი არავინ გაითვალისწინა. თანაც გლეხს მხოლოდ მიწა მისცეს; თუ რამე შემნახველ სალაროში ჰქონდა, უკან ველარ მიიღო; ტექნიკაზე ხელი არ მიუწვდებოდა, ტრანსპორტი არ ჰქონდა, 10-15 კილომეტრით დაშორებულ მიწის ნაკვეთში ფეხით მიდიოდა...** ეგ არის და ეგ...

ხალხის გაჭირვებით ისარგებლეს „ნაციონალებმა“, — ბევრ რამეს დაგვპირდნენ, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ყველაფერი დაავიწყდათო.

თუ ვინმე დაასახელებდა მეზობელი ქვეყნის მთავრობას, რომელიც თავის ხალხს ეხმარებოდა, მაგალითად, აზერბაიჯანს, იმ წამსვე მიახლიდნენ, იმათ ნავთი აქვთო.

დალოცვილო, **ნავთი არ გვაქვს... მაგრამ სასმელ წყალს მიაქვს ქვეყანა, ვისმე წამოსცდენია წყლით მაინც შეღავათს გაგიწევთ და გადასახადს ნუ გადაიხდითო?.. ახლა მაინც ჩაიხედონ საკუთარ გულში, რა გაუკეთებიათ ქართული ეკონომიკის ასაღორძინებლად, გარდა ბიზნესმენების ძარცვისა! უფიქრიათ, რომ მსოფლიოში გაეტანათ სასმელი წყალი, რომლის დეფიციტსაც განიცდის კაცობრიობა?**



**ქართველი ერის სიამაყის, უკვდავი შოთა რუსთაველის მიუზეუმი, ჩვენდა სამარცხვინოდ, თბილისში არ არსებობს... კარგი იქნება, თუ ამ დიდებულ საქმეს პრეზიდენტის სასახლე დაეთმობა, რომელშიც წარმოვაჩენთ მთელ XII საუკუნეს, რომელიც საქართველოს ისტორიაში ოქროს საუკუნედ იწოდება**

რა ნამუსით გამოდიან და ხალხს ეჩვენებიან?!

„ნაციონალებმა“ ქართველი ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდეს, აქციეს მეწველ ფურად, დაიწყეს ქართული მიწების მიყიდვა უცხოელებისთვის.

ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ბინძური გეგმის ბოლომდე შესრულება არ დასცალდათ...

როცა შევხედეთ, „ნაციონალებს“ საით მიჰყავდათ ქვეყანა, დავაარსეთ „ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობის გადარჩენის ფონდი“.

ფონდის მიზანია არა მხოლოდ ლეგენდარული მხატვრის შემოქმედებაზე ზრუნვა, არამედ ტრადიციების შენარჩუნება, სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა, განადგურებული კულტურული კერების გამოცოცხლება, რომლებიც „ნაციონალებმა“ მოსპობის პირას მიიყვანეს. კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში შეამცირეს, ზოგან კი მთლიანად გააუქმეს საშტატო ერთეულები.

მაგალითისთვის დავასახელებ ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმს. არც ისე დიდი ხნის წინათ მუზეუმს 60 შტატიანი თანამშრომელი ემსახურებოდა. „ნაციონალებმა“ 16 კაცამდე დაიყვანეს, რომლებმაც ყურადღება უნდა მიექციონ:

1. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის კომპლექსს, რომელსაც 5 ჰა ფართობი უკავია და რომელშიც განთავსებულია საექსპოზიციო საგამოფენო დარბაზები, მხატვრის მიერ 1898 წელს აშენებული მემორიალური სახლი, ბიძაშვილების 2 საცხოვრებელი ოთახი, ღვინის მარანი, სათონე, ადმინისტრაციული კორპუსი და სხვა ეთნოგრაფიული ნაგებობები;

2. ზემო მაჩხაანის შინმოუსვლელთა დიდების მუზეუმს, რომელსაც 8 ჰექტარი ტყე-პარკი უკავია;

3. თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე არსებული მხატვრის მემორიალური სახლ-მუზეუმს.

**ოთხ დაწესებულებას ერთი დამლაგებელი ემსახურება. ვფიქრობ, ცინიზმი ამაზე შორს აღარ წავა. ამას ამართლებდნენ იმით, რომ ბიუჯეტს ფული არ აქვსო, თუმცა თვითონ არაფერს იკლებდნენ და ფუფუნებაში ცხოვრობდნენ.** ეს ერთი მაგალითი დავასახელე და რამდენია ასეთი! თვალში ნაცარს გვაყრიდნენ, და **დღესაც ყოფნით თავხედობა, გვიმტკიცონ, რომ მათი ქმედება სისტემური დანაშაული არ იყო...**

**ამ ეტაპზე სოფლის აღორძინება ასე გვესახება: ახალგაზრდობის მოზიდვის მიზნით სიცოცხლისუნარიანი უნდა გახდეს სოფლად გადარჩენილი კულტურის კერები. უნდა გაცოცხლდეს მივიწყებული ტრადიციები, ხელი უნდა შევუწყოთ ისეთი დარგების აღდგენას, როგორიც იყო მეაბრეშუმეობა; რომელიმე სოფელში უნდა დაარსდეს მეაბრეშუმეობის პირველადი გადამმუშავებელი საამქრო, რომელიც ჭიის პარკს მიიღებს მოსახლეობისგან, გადაამუშავებს და ყაჭის რეალიზაციას მოახდენს ოდითგანვე ასე იყო, საქართველოდან გადიოდა, მხოლოდ ძაფი (ყაჭი). უნდა აღდგეს მეთუნეობა, ქსოვა; მოსახლეობამ სახელმწიფოსგან უნდა მიიღოს შეღავათიანი კრედიტი ბინების გასარემონტებლად, ტურისტების მისაღებად, ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ ოჯახური სასტუმროების მოსაწყობად.**

ქართველმა ახალგაზრდობამ დაივიწყა მესაქონლეობა და ის ძირითადი დარგები, რომლებითაც ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერდებოდა. აუცილებელია, რეგიონებში შეიქმნას კოლეჯის მსგავსი სასწავლებლები, რათა ახალგაზრდები დაეუფლონ სოფლის მეურნეობის დარგების გაძღოლის სპეციფიკას. ამ ყველაფერში კი ჯეროვან წვლილს შეიტანს ზემოთ დასახელებული ფონდი.

**დასასრულ, მინდა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მივმართო:**

ბატონო ბიძინა, ნიკო ფიროსმანაშვილის თაყვანისმცემლების, მისი მუზეუმის თანამშრომლების სახელით უღრმეს მადლობას გიხდით, რომ შეიძინეთ მხატვრის ნამუშევარი „არსენალის მთა ღამით“ და საქართველოში დააბრუნეთ.

სოფლის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, აღნიშნული ტილო მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმისთვის გადმოგეცათ. ეს სოფლის მკვიდრთ ხალისს შეჰმატებდა, ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ მათაც პატივს სცემენ.

მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება. დიდი მადლობა იმისთვის, რაც გააკეთეთ!

ბატონო ბიძინა, მრავალი სასიკეთო საქმე არის თქვენს სახელთან დაკავშირებული, არ შევუდგები მათ ჩამოთვლას, მაგრამ მინდა, რომ კიდევ ერთი დიდებული საქმით დაამშვენოთ თქვენი ბიოგრაფია. **ქართველი ერის სიამაყის, უკვდავი შოთა რუსთაველის მიუზეუმი, ჩვენდა სამარცხვინოდ, თბილისში არ არსებობს... კარგი იქნება, თუ ამ დიდებულ საქმეს პრეზიდენტის სასახლე დაეთმობა, რომელშიც წარმოვაჩენთ მთელ XII საუკუნეს, რომელიც საქართველოს ისტორიაში ოქროს საუკუნედ იწოდება.**

**ანზორ მაძღარაშვილი,**
**მირზაანისა და თბილისის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმების დამაარსებელი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, დიმიტრი ყიფიანის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი**

მოკლედ

## უკრაინული პრესა: კვიტაშვილი ჩემოდნის ჩასალაგებლად მზადაა

**საქართველოს ყოფილი და უკრაინის მოქმედი ჯანდაცვის მინისტრის — ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, უკრაინაში მისი სამუშაო პერსპექტივები პარლამენტის მიერ ჯანდაცვის რეფორმის შესახებ კანონპროექტის მიღებასთან პირდაპირ არის დაკავშირებული.**

კვიტაშვილის განცხადებით, ის უკრაინაში რეალური რეფორმებისთვის ჩავიდა და არა რუტინული საქმიანობისთვის, ამიტომ, თუ რეფორმების გატარების საშუალება არ მიეცემა, თანამდებობას დატოვებს.

„კანონპროექტის მიღების პერსპექტივა პირდაპირ უკავშირდება ჩემს ჩემოდნებს (გადადგომას). თუ ისინი არ მიიღებენ ჩვენს შეთავაზებულ კანონპროექტს, მაშინ ჩანთები მზად მაქვს იმიტომ, რომ მე აქ საქმე აღარაფერი მექნება. აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ სპირტის კვოტა დავამტკიცო ან მკურნალების ლიცენზია გავცე,“ — განაცხადა კვიტაშვილმა.

უკრაინულ მედიაში კვიტაშვილის გადადგომის შესახებ ეჭვი 27 მაისს გაჩნდა, როცა უკრაინის პრემიერმინისტრმა არსენი იაცენიუკმა რადას მითითება მისცა, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის, მისი მოადგილისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელთა მიერ მოვალეობის სათანადოდ შესრულებაზე გამოძიება ჩაეტარებინა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფოსტა

**დაუშვებელია ტროტუარებზე მანქანების დაყენება. ხალხი იძულებულია, იმოძრაოს მანქანების სავალ ტერიტორიაზე. დედები იძულებულნი არიან, ბავშვები საბავშვო ეტლებით მანქანის სავალ ნაწილზე ატარონ, რაც, ადრე თუ გვიან, სავალალო შედეგს მოიტანს.**



## ჩინეთში გემის ჩაძირვის შედეგად 400-მდე ადამიანი გარდაიცვალა

**ჩინეთში გემის ჩაძირვის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 396-მდე გაიზარდა.** იანცზის მდინარეში გემის მგზავრებს ამ დრომდე ეძებენ. 46 ადამიანი დაკარგულად ითვლება. სამაშველო ოპერაციის შტაბის ინფორმაციით, უბედურ შემთხვევას მხოლოდ 14 ადამიანი გადაურჩა, მათ შორის, გემის კაპიტანიც, რომელიც უკვე დაკავებულია და გამოძიებას ჩვენებას აძლევს. მისი მტკიცებით, გემის ჩაძირვის მიზეზი ძლიერი შტორმი გახდა. მაშველებმა უკვე გემის ამობრუნებაც შეძლეს, რამაც ოპერაციის ჩატარება გააიოლა. ცხედრების უმეტესობა კაიუტებში აღმოაჩინეს.



## ბრიტანეთის პოლიციამ სატვირთო მანქანებში 68 მიგრანტი აღმოაჩინა

**დიდ ბრიტანეთში, ერთ-ერთ პორტში სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა სატვირთო მანქანებში 68 მიგრანტი აღმოაჩინეს, მათგან 15 ბავშვი.** გავრცელებული ინფორმაციით, 4 სატვირთო მანქანა ჰოლანდიიდან მოდიოდა. პოლიციის განცხადებით, მიგრანტებს შორის ავღანეთის, ჩინეთის, ვიეტნამისა და რუსეთის მოქალაქეები არიან. მანქანების მძღოლები პოლონელები აღმოჩნდნენ.



# თუ ერთად არ დადგა ორი მართლმადიდებელი ქვეყანა, საქართველო გაქრება!



**ძალიან მომწონს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, საქართველოში საუკეთესო გაზეთია, რომელიც მტკივნეულ პრობლემებზე წერს და ნაკლოვანებებს დაუნდობლად ამხელს. მომწონს მასალები, ავტორები და რესპონდენტები, მაგ., თამარ კიკნაძე, ჰამლეტ ჭიპაშვილი, ალექსანდრე ჭაჭია, ბაკურ სვანიძე და ა.შ. მომწონს მათი ნააზრევი, რაც იწერება თქვენს გაზეთში, მაგრამ მათ თვალსაზრისს ბოლომდე მაინც ვერ დავეთანხმები. ისინი თვლიან, რომ რუსეთთან აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა და დიპლომატია. ვისაც რუსეთთან დიპლომატიის აღდგენა არ სურს, საქართველოს მტერია, მაგრამ მხოლოდ დიპლომატია არ არის საკმარისი, საჭიროა, სასწრაფოდ შევიდეთ ევრაზიულ კავშირში, ქვეყანა რომ არ დაიღუპოს!**



ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა „რუსთავი 2“-ის რეიტინგის შედეგებმა, რომელთა მიხედვით, გამოკითხულთა 80% ევროპას უჭერდა მხარს, 20% — რუსეთს. ვიცით, რომ აყალბებენ რეიტინგებს და, თუ სწორი და პატიოსანია „რუსთავი 2“-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, მაშინ ხალხს ჰქონია ფსიქოლოგიური პრობლემა.

**რომ გაიძახიან „ნატო-ნატოო“, ჯერ ვინ გიღებს კარს და, დღესვე რომც გაგვიღონ, რაც გამორიცხულია, რისთვის გვჭირდება, რას მოგვიტანს?**

იქნებ მიპასუხონ პოლიტოლოგებმა და პოლიტიკოსებმა — **რატომ არის ევროპა და ნატო საქართველოს ინტერესი ან როდის ყოფილა ჩვენი ისტორიული არჩევანი ნატო და ევროპა?** ეს არასწორი გზაა! მაგალითად, ირანს სამხედრო კავშირი რომ ჩამოეყალიბებინა, მტერთან შევიდოდით ალიანსში? სად არის ლოგიკა?

ერთი ნათელმხილველი ბრძანებდა პირდაპირ ეთერში, რუსეთი დაიშლება, საქართველო კი გაბრწყინდებაო და ტაშს უკრავდა. სახარებაში წერია, რომ ცრუწინასწარმეტყველებს ყოველთვის ადიდებდნენ და სჯეროდათ მათი. ჯერ ერთი, რუსეთს რა დაშლის და რომც დაიშალოს, ნატო გაგვაბრწყინებს? **თუ მართლმადიდებლები ერთად ვიქნებით, აი მაშინ გაბრწყინდება საქართველო და ყველა მართლმადიდებელი ქვეყანა. თუ ასე არ მოხდა, თუ ერთად არ დადგა ორი მართლმადიდებელი ქვეყანა და რუსეთი დაიშალა, საქართველო გაქრება.** გავიხსენოთ: საბჭოეთი დაიშალა და ამ გეოპოლიტიკურ კატასტროფაში ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა. თუ საქართველო ევრაზიულ კავშირში შევა, მერწმუნეთ, გვეშველება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს გაბრწყინებას არ უნდა ველოდოთ!

**შემიძლია, დავარწმუნო მოწინააღმდეგენი, რომ ევრაზიული კავშირი ნათელია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი — ბნელი. სავაჭრო, სამხედრო, ტერიტორიული, კულტურული, რელიგიური და ყველა კუთხით აგრესორ ნატოს ევრაზიული კავშირი ჯობია.**

**«ვისაც რუსეთთან დიპლომატიის აღდგენა არ სურს, საქართველოს მტერია, მაგრამ მხოლოდ დიპლომატია არ არის საკმარისი, საჭიროა, სასწრაფოდ შევიდეთ ევრაზიულ კავშირში, ქვეყანა რომ არ დაიღუპოს!»**

პატივისცემით,
**გიორგი ფრანგიშვილი**

# რამდენიმე წინადადება ავტოსაცობების საკითხის მოსაგვარებლად



**საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**
**პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს**
**თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას**

## ინჟინერთა საინიციატივო ჯგუფის მიმართვა

**საქართველოს ხელისუფლების პატივცემულო წარმომადგენლებო!**

ბატონ დავით ნარმანიას საზღვარგარეთ პირველი ვიზიტისას კორესპონდენტებმა დაუსვეს კითხვა — რატომ მიემგზავრებით უცხოეთში? პასუხი იყო, რომ უცხოელებთან უნდა განეხილა თბილისში შექმნილი ავტოსაცობების საკითხი და მოეწვია უცხოელი სპეციალისტები.

ბატონებო, ქართველ ხალხს ადრეც ჰყავდა და ახლაც ჰყავს ინჟინერთა ისეთი ძალა, რომელსაც უცხოელთა დახმარების გარეშეც კარგად შეუძლია, გაართვას თავი პრობლემებს.

**გთავაზობთ რამდენიმე წინადადებას ავტოსაცობების საკითხის მოსაგვარებლად:**

**1.** მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში არსებობს საცობების განმუხტვის უდიდესი წყარო — **მეტროპოლიტენი.** ამ საკითხზე ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იქნა ზომები მიღებული და თბილისში დაიწყო მეტროპოლიტენის მეორე ხაზის მშენებლობა, რომლისთვისაც საკმაო ხარჯი იქნა გაწეული და შესრულდა სამუშაოს დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, შემდგომში ეს საქმე მიატოვეს და ამჟამად მეტროპოლიტენის სადგურების შახტები წყლით არის ამოვსებული. თქვენი მონა-მორჩილი არის პიროვნება, რომელიც მონაწილეობდა საქართველოს „მრეწვმშენბანკიდან“ ამ პროექტის დაფინანსებაში.

**2.** ბოლო 20 წელიწადია, თბილისის **განაშენიანება** ინჟინრული გათვლების გარეშე მიმდინარეობს. ლაგუნა ვერეს დასახლების, სპორტის სასახლის უკანა და ყოფილი საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდა მრავალსართულიანი სახლები ისე, რომ არ გაუთვალისწინებიათ არც ერთი სკოლა და საბავშვო ბაღი, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის იქ მცხოვრებთ.

**3.** საჭიროა ხალხში ჩატარდეს ფართო **ახსნა-განმარტებითი** მუშაობა. დღეს ტელევიზიები, პარლამენტი, ცალკეული სამინისტროები და ინდივიდები ყოველ გამოსვლაში გაიძახიან, რომ ჩვენ ვართ ევროპელები და მაინცდამაინც ევროპელები. აბა, გადავხედოთ მდგომარეობას, რა ქმნის საცობებს ქალაქში. თითო კაცი ჯდება „ჯიპში“ და მიდის სამსახურში, სადაც მანქანას ვერსად აყენებს და ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ გულამოგლეჯილი დაგვიანებით მიდის სამსახურში. მეც გახლდით რამდენჯერმე ევროპაში და მართლაც შეიძლება იქიდან ბევრი კარგის გადმოტანა. ბერლინში ყველაზე „მომხიბვლელი“ ტრანსპორტი ტრამვაია, უმეტესად 3-ვაგონიანი, რომლის კარსაც მძღოლი კი არ აღებს, არამედ ვინც ჩადის და ამოდის, ის აჭერს ღილაკს ხელს კარზე.

მიუხედავად იმისა, რომ იქ ოჯახის თითქმის ყველა წევრს ავტომანქანა ჰყავს, უპირატესობას მაინც **საზოგადოებრივ ტრანსპორტს** ანიჭებენ, რაც თავისთავად არეგულირებს სატრანსპორტო მოძრაობას.

**4. დაუშვებელია ტროტუარებზე მანქანების დაყენება.** ხალხი იძულებულია, იმოძრაოს მანქანების სავალ ტერიტორიაზე. დედები იძულებულნი არიან, ბავშვები საბავშვო ეტლებით მანქანის სავალ ნაწილზე ატარონ, რაც, ადრე თუ გვიან, სავალალო შედეგს მოიტანს.

ამ წესების ცხოვრებაში გატარება დადებით შედეგს მოიტანს და პრობლემებიც გადაწყდება.

საინიციატივო ჯგუფის სახელით,
**რაულ მიროტაძე**









მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავსტრალია — ქვეყანა-კონტინენტი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ავსტრალია (ოფიციალურად — ავსტრალიის კავშირი) — ეს არის სახელმწიფო დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში. მისი ტერიტორია მოიცავს მატერიკ ავსტრალიას, კუნძულ ტასმანიასა და კიდევ რამდენიმე კუნძულს წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში. მატერიკი გარშემორტყმულია წყნარი და ინდოეთის ოკეანეებით. ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2000 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი მარჯნის რიფი — დიდი ბარიერული რიფი. ავსტრალიის კავშირის ჩრდილოეთით მდებარეობს სახელმწიფოები: აღმოსავლეთი ტიმორი; ინდონეზია და პაპუა — ახალი გვინეა; ჩრდილო-აღმოსავლეთით — ვანუატუ, ახალი კალედონია და სოლომონის კუნძულები; სამხრეთ-აღმოსავლეთით — ახალი ზელანდია.

„ავსტრალია“ — მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან australis („სამხრეთის“).

ავსტრალიელი აბორიგენების წინაპრები ავსტრალიაში 40-60 ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ, იმ პერიოდში, როდესაც ახალი გვინეა და ტასმანია კონტინენტის ნაწილი იყო.

ავსტრალია 1606 წელს აღმოაჩინა ჰოლანდიელმა ზღვაოსანმა **ვილემ იანსზონმა**. ბრიტანელი **ჯეიმს კუკი** კი თავისი გემით („ინდევორი“) ავსტრალიის სანაპიროს 1769 წელს მიადგა.

1788-1901 წლებში ავსტრალია ბრიტანეთის კოლონია იყო. 1901 წლიდან დღემდე კი არის ფედერაცია — ავსტრალიის კავშირი, რომლის მეთაურია დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მონარქი.

**კლიმატი.** ავსტრალიის კლიმატზე გავლენას ახდენს ოკეანეების დინებები, მათ შორის, ელ-ნინიო. ქვეყნის ჩრდილოეთში კლიმატი ტროპიკულია, სამხრეთ-დასავლეთში (მათ შორის ტასმანიაზე) — სუბტროპიკული. ზაფხულში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი) ტემპერატურა საშუალოდ **პლუს 25-28 გრადუსია,** ზამთარში — **პლუს 12-15 გრადუსი**. ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღინიშნება ხოლმე ავსტრალიის ალპებში — მინუს 22 გრადუსი.

**ფლორა.** ავსტრალიის მცენარეული სამყარო 22 ათას სახეობას ითვლის, მათგან 90% ენდემურია. ჩრდილო-აღმოსავლეთში ხარობს ტროპიკული და ფოთლოვანი მცენარეები: პალმა; მუხა, კოპიტი, არყის ხე, აღმოსავლეთ სანაპიროზე — ფიჭვი და ევკალიპტი, სამხრეთში — აკაციის 500-მდე სახეობა.

**ფაუნა.** ავსტრალიაში ბინადრობს კენგურუ, კოალა, ექიდნა, იხვნისკარტა, კენგურუს ვირთხა, ჩანთოსანი თაგვი, ველური ძაღლი დინგო. კუნძულ ტანსმანიაზე — იშვიათი მტაცებელი, ჩანთოსანი ეშმაკი; სანაპირო წყლებში — 70 სახეობის ზვიგენი, ავსტრალიური მედუზა და ცისფერი რვაფეხა. ფრინველთა შორის აღსანიშნავია სირაქლემა ემუ, კაზუარი, თუთიყუში, შავი გედი, თხელნისკარტიანი ქარიშხალა და სხვ.

ავსტრალიის უმაღლესი წერტილია კუნძულ ჰერდზე მდებარე ვულკანი **მოუსონი (2750)**, კონტინენტის უმაღლესი წერტილი კი არის მთა **კოსციუშკო (2228 მ).**

**უდიდესი მდინარეები: მარი (2375 კმ); მარამბიჯი (1485 კმ); დარლინგი (1472 კმ).**

ყველაზე დიდი ტბა — **არგაილი (ხელოვნური წყალსაცავი).**

**მოსახლეობა**. 2013 წლის შეფასების მიხედვით, ავსტრალიის მოსახლეობა **23,1 მლნ კაცს (55-ე მსოფლიოში) შეადგენს**.

ეთნიკური შემადგენლობა ასეთია: ინგლისელები (29,6%); ირლანდიელები (9,08%); შოტლანდიელები (7,1%); იტალიელები (4,29%); გერმანელები (4,09%); ჩინელები (3,37%); ბერძნები (1,8%), სომხები (0,82%); ავსტრალიელი აბორიგენები (0,58%) და სხვ.

ავსტრალიის ტერიტორია 7 692 024 კვ.კმ-ია (მე-6).

**დედაქალაქი: კანბერა (360 ათასი).**

**უდიდესი ქალაქები: სიდნეი (4,8 მლნ); მელბურნი (4,2 მლნ); პერტი (1,8 მლნ); ადელაიდა (1,2 მლნ); ბრისბენი (1 მლნ).**

**ოფიციალური ენა: ავსტრალიური ინგლისური.**


ოპერის თეატრი სიდნეიში


მელბურნი

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ავსტრალია საპარლამენტო (საკონსტიტუციო) მონარქიაა, რომელსაც მართავს დედოფალი **ელისაბედ II.** მას ავსტრალიაში წარმოადგენს გენერალ-გუბერნატორი **პიტერ კოსგროუვი**, პრემიერმინისტრია **ტონი ებოტი;** საკანონმდებლო ორგანო — ორპალატიანი ფედერალური პარლამენტი, რომელიც სენატისა (ზედა პალატა) და წარმომადგენელთა პალატისგან (ქვედა) შედგება.

ავსტრალია დაყოფილია 7 შტატად, ორ მატერიკულ და სხვადასხვა პატარა ტერიტორიად.

**რელიგია.** ავსტრალიაში უპირველესი რელიგია ქრისტიანობაა. რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი მიმდევარი კათოლიციზმს ჰყავს — 25,8%; შემდეგ ანგლიკანიზმს — 18,7%. სხვა ქრისტიანული კონფესიების წევრია მოსახლეობის 19,4%, ბუდიზმს აღიარებს 2,1%, ისლამს — 1,7%, ინდუიზმს — 0,7% და ა.შ.

## ეკონომიკა

ავსტრალიის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობაა. ქვეყანა დიდი რაოდენობით აწარმოებს ხილს, თხილს, კაკალს, ბოსტნეულს, მარცვლეულს, ზეთისხილს, შაქრის ლერწამს. საექსპორტოდ გააქვს ფორთოხალი, ვაშლი, ბანანი, წაბლი, კარტოფილი, მანგო, ანანასი.

ქვეყნის ეკონომიკაში დიდია მსუბუქი მრეწველობისა და ნავთობმრეწველობის წილიც. ავსტრალია მდიდარია წიაღისეულით, აქ მოიპოვებენ ბოქსიტებს, ცირკონიუმს, ურანს, ქვანახშირს, ოქროს, მანგანუმს, ალმასს, რკინას, ტყვიას, თუთიას და ა.შ.

ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს **1 436,8 მლრდ დოლარს** (მე-12); მოსახლეობის ერთ სულზე — **46 458 დოლარს**.

**ვალუტა: ავსტრალიური დოლარი (1 ავსტრალიური დოლარი უდრის 0,8 აშშ დოლარს).**

**ინტერნეტდომენი: au**

**სატელეფონო კოდი: +61**

**საათობრივი სარტყელი: UTC +8, UTC +11**

## კულტურა

ავსტრალიის კულტურა გაჯერებულია ამ კონტინენტზე მცხოვრები მრავალი ხალხის კულტურითა და ტრადიციებით. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიაში ნაპოვნია აბორიგენების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ძველი მუსიკალური ინსტრუმენტი (სასულე) — ჯიჯერიდუ. ავსტრალიელები არიან სახელგანთქმული მომღერლები, ესენი არიან: **კაილი მინოუგი, ნატალი იმბრულია, კიტ ურბანი** და ჯგუფ **„ბი ჯის“**-ის წევრები; მსახიობები: **მელ გიბსონი, რასელ კროუ, ნიკოლ კიდმანი, ჰიუ ჯეკმენი, კეიტ ბლანშეტი** და სხვ.

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატია **პატრიკ უაიტი**. მსოფლიოში პოპულარული მწერლები არიან **კოლინ მაკალოუ, ტომას კენილი, კატრინა რიჩარდსი, უეინ პალმერი** და სხვ.

**ღირსშესანიშნაობები:** სიდნეიში — ავსტრალიის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ოპერის თეატრი, ხიდი ჰარბორბრიჯი; მელბურნში — ნაციონალური გალერეა, სამეფო ბოტანიკური ბაღი და ნაციონალური ჰერბარიუმი; ადელაიდაში — სამხატვრო გალერეა, კათოლიკური ტაძარი; კვისლენდში — ვიქტორიის მუზეუმი.


ავსტრალიის ნაციონალური პარკი


ჰარბორის ხიდი



## სალათა „ავსტრალიური“

**ინგრედიენტები:**

* ლორი — 300 გრ
* ვაშლი — 2 ც
* კიტრი — 2 ც
* პომიდორი — 2 ც
* ახალგამოწურული წვენი (30 მლ — ლიმონის, 40 მლ — ფორთოხლის) — 60 მლ
* მაიონეზი — 200 გრ
* მარილი — 1 ჩ/კ

**მომზადება:**

**1. დაჭერით ვაშლი ჩხირებად და მოასხურეთ ლიმონის წვენი (ჟანგისფერი რომ არ მიიღოს).**

**2. წვრილ ჩხირებად დაჭერით კიტრი, ლორი და პომიდორი.**

**3. ყველა ინგრედიენტი სასალათეში გადაიტანეთ და დაასხით ფორთოხლის წვენი.**

**4. მიღებულ მასას დაუმატეთ მაიონეზი და კარგად აურიეთ.**

**სუფრაზე მიტანამდე სალათა შეგიძლიათ, მორთოთ წვრილად დაჭრილი ქინძითა და ოხრახუშით, აგრეთვე, ლიმონის ნაჭრებით.**

## სამზარეულო

ავსტრალიურ სამზარეულოზე გავლენა იქონია ბრიტანული სამზარეულოს ტრადიციებმა, თუმცა მოგვიანებით ის კიდევ უფრო გამდიდრდა აზიური და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ტრადიციებით.

ავსტრალიაში პოპულარულია ხორცის ღვეზელი, საქონლისა და ღორის, ცხვრის, ნიანგის ხორცის კერძები. კენგურუს ხორცი დიაბეტიანებისთვის მისწრებაა, რადგან მისი ცხიმიანობა მხოლოდ 1%-ია.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ზოგი რამ ჩაის შესახებ

**ჩაი საკვირველი სასმელია. ის სხეულს ძალას, მხნეობას და ენერგიას მატებს, სულს კი — სიმშვიდესა და აღმაფრენას. ლონდონის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის სკოლის ბრიტანელი პროფესორი, ფიტოქიმიის სპეციალისტი სიმონ გიბსონი აღნიშნავს, რომ დღეში სამი ფინჯანი ახალდაყენებული ჩაი ადამიანს უამრავი დაავადებისგან დაიცავს და ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს. ხარისხიანი ჩაის ბუჩქები ინდოეთსა და ჩინეთში ციცაბო მთებზე ტერასებადაა გაშენებული. ჩაის მხოლოდ ქალი კრეფს, ტრადიციულად, ხელით და აუცილებლად განთიადზე. დღემდე ჩაის ჭურჭლად ჩინური თიხისაგან დამზადებულ ფაიფურის ჩაიდანს მიიჩნევენ. ჩინეთში ამბობენ: „ახალი ჩაი სიცოცხლის ბალზამია, ღამენათევი კი — გველის შხამი“.**



ჩაის წარმოშობაზე მრავალი ლეგენდა არსებობს და ყველა ამტკიცებს, რომ ამ კულტურის სამშობლო ჩინეთია. ერთ-ერთი, ყველაზე გავრცელებული თქმულების თანხმად, ძველ ჩინეთში ცხოვრობდა ბრძენი ბერი დარამა. იგი დღეებს მარხვასა და ლოცვაში ატარებდა. ერთხელ, მედიტაციისას, ბერს თვით ბუდა გამოეცხადა. ასეთი სასწაულის ხილვით გაოცებულმა დარამამ გადაწყვიტა, იმ დღიდან თვალმოუხუჭავად ელოცა. ასეც მოიქცა, მაგრამ ერთ დღეს ვეღარ გაძლო, ქუთუთოები დაუმძიმდა და ჩაეძინა. „ყველაფერში ჩემი წამწამებია დამნაშავე“, – თქვა ბრძენმა, ყველა წამწამი ამოიძრო და მიწაზე დაყარა. იმ ადგილას ჩაის ბუჩქი ამოიზარდა. მას შემდეგ ბუდისტ ბერებს ურჩევდნენ, მედიტაციისას ჩაი ესვათ, რათა არ ჩასძინებოდათ.

**ჩინელები მიხვდნენ პირველად, რომ ყველაზე კარგი ჩაი ამ მცენარის ნორჩი, ქორფა ფოთლებისგან მზადდებოდა, ამიტომ ეწოდა სასმელს „ჩა“, რაც ჩრდილო ჩინურ დიალექტზე „ნორჩ ფოთოლს“ ნიშნავდა. სიტყვა „ჩაი“ სახმელეთო, კონტინენტური გზით გავრცელდა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც – ჩვენ ხომ ჩინეთთან უძველესი სახმელეთო-სავაჭრო აბრეშუმის გზა გვაკავშირებდა.**

ევროპაში გავრცელებული ჩაის აღმნიშვნელი სიტყვა „თი“ კი ჩინეთის სამხრეთ დიალექტზე ნიშნავდა ჩაის და რადგან ევროპელები ძირითადად ჩინეთის სამხრეთში ხვდებოდნენ ზღვით, ამიტომ ჩაის სახელი „თი“-ც სამხრეთული დიალექტიდან აიღეს.

**მწვანე ჩაის** სამშობლო ჩინეთია და იგი პირველად ძვ. წ. III ათასწლეულის ჩინურ ქრონიკებშია მოხსენიებული. ჩაის ბუჩქების წარმოშობის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. როგორც წესი, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ იგი ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში იზრდებოდა, იუნანის, გუინჯოუსა და სეჩუანის პროვინციებში; სხვები ტიბეტის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონს და, საზოგადოდ, ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს ასახელებენ, თუმცა ზოგი ინდოეთსაც მიიჩნევს ჩაის სამშობლოდ.

თავიდან ჩაის მხოლოდ მმართველები და სასულიერო პირები მოიხმარდნენ, ჩაის აქტიურად სმა კი ჩინეთში V საუკუნეში დაიწყეს. X საუკუნისთვის ჩაის უკვე ნაციონალური სტატუსი ჰქონდა, დაიწყო მისი საზღვარგარეთ გატანაც და ჩაით ვაჭრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჩინეთიდან შევიდა იაპონიაში ჩაის ცერემონიალიც, ტრადიცია, რომელიც დღეს, როგორც წესი, ამომავალი მზის ქვეყანასთან ასოცირდება.

**დიდი ხნის მანძილზე ჩაი მხოლოდ აზიის მოსახლეობის სასმელად ითვლებოდა. ევროპაში იგი მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებში დამკვიდრდა, პირველ რიგში, ჰოლანდიელებისა და პორტუგალიელების მიერ. ნიდერლანდებში საკმაოდ მალე ჩვეულებრივ ამბად იქცა სადილის შემდგომ ჩაის სმა, რაც მალე ატლანტიკის მიღმაც გავრცელდა.**

1664 წელს, ლონდონის დიდ ხანძრამდე 2 წლით ადრე, ინგლისელმა ვაჭრებმა მეფეს 2 ფუნტი ჩაი ჩაუტანეს საჩუქრად. მეფის კარმა ღირსეულად შეაფასა ძღვენი, ჩაი ჯერ ფუფუნების საგნად, შემდეგ კი ფართო წრეების საყვარელ სასმელად იქცა. რიგითი მოქალაქეებისთვის ჩაი XVIII საუკუნისთვის გახდა ხელმისაწვდომი ჩაიზე გადასახადის შემცირების შემდეგ და სულ მალე პირველი ჩაის სახლები და კაფეებიც გაჩნდა ლონდონში.

**საქართველოში, როგორც ამბობენ, ჩაი პირველად 1770 წელს გამოჩნდა, როცა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ერეკლე II-ს სამოვარი და ჩაის სერვიზი აჩუქა. ამის შემდეგ რამდენიმე ათწლეული გავიდა, ვიდრე ვორონცოვი რუსეთის იმპერიაში გასაშენებლად ჩაის ბუჩქს ჩინეთიდან გამოიწერდა. ეს 1833 წელს მოხდა.**

პირველად ბუჩქი ყირიმში დაურგავთ, მაგრამ ვერ იხარა და მალე (1840 წელს) სოხუმის ბოტანიკურ ბაღში გადმორგეს. სოხუმში ჩაიმ იხარა და ეს სახელოვანი პირველი ნერგი, როგორც ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებშიც იყო ბოტანიკურ ბაღში. სოხუმიდან ნერგი ზუგდიდშიც წაუღიათ, დადიანების მამულში; ასევე ოზურგეთის საცდელ სანერგეში, რომელსაც იაკობ მარი მზრუნველობდა, ვორონცოვის ბრძანებით. მარის რჩევით, ჩაის ბუჩქი ოზურგეთიდან გორაბერეჟოულში გადაუტანიათ, ერისთავის მამულში. ერისთავმა საქართველოში პირველმა შექმნა ჩაის პროდუქტი, პრიმიტიული წესით დაამუშავა იგი და ტფილისში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეც გაიტანა 1864 წელს.

ამ დროს უკვე დასმული იყო საკითხი რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი შავი ზღვის სანაპიროზე, ჩაის გაშენების თაობაზე. 1872 წელს გამოიწერეს სპეციალისტი და მასთან ერთად — ჩაის ნერგებიც. 1872 წელს ნერგები ხელმეორედ გამოიწერეს, ამჯერად ხანკოუდან, მაგრამ ყინვების გამო ჩაი გზაში დაზიანდა და საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელებაზე ზრუნვა დროებით შეჩერდა.

**1885 წელს ინჟინერ-პოლკოვნიკმა სოლოვცევმა ჩაის თესლი და ნერგები ჩინეთიდან გამოიწერა და ეს მცენარე ჩაქვის სადგურის ახლოს 1,5 ჰექტარზე გააშენა.**

1900 წელს საქართველოში უკვე 23 საცდელი ნაკვეთი იყო, 1925 წელს კი საქართველოში ჩაის პლანტაციები უკვე 1292 ჰექტარს მოიცავდა.

ჩაის უნიკალური ქიმიური შემადგენლობა აქვს, ახალმოწყვეტილ ფოთოლში 75% წყალია, მისი გამოშრობის შემდეგ წყლის რაოდენობა მხოლოდ 3-4 % რჩება. ფოთოლი შეიცავს წყალში ხსნად და არახსნად ნივთიერებებს.

არახსნადია მცენარის უხეში ქსოვილები, ცელულოზა, პროტეინი, ცხიმები, ქლოროფილი, პიგმენტები, პექტინები და სახამებელი. ხსნადი ნივთიერებების სიაში პოლიფენოლი, შაქარი, ამინომჟავები, მინერალები და კოფეინი შედის.

ჩაის დამუშავება ხელოვნებაა, ამ პროცესში ყალიბდება მისი გემო და მახასიათებლები. გადამუშავებისას უნდა გადაწყდეს, რა სახის ფერმენტაცია (დაჟანგვის) პროცესი უნდა გაიაროს ჩაის ახალმოკრეფილმა ფოთოლმა.

დამუშავების ხერხის მიხედვით ჩაი სამ კატეგორიად იყოფა:

არაფერმენტული ჩაის მისაღებად ხდება ფოთლის ნაწილობრივი გაცხელება, ანუ მისი ფერმენტაციისას ჩაი ინარჩუნებს ყველა იმ დადებით და სასარგებლო თვისებას, რომლებიც ახალმოწყვეტილ ფოთოლს აქვს.

ნახევრადფერმენტულ ჩაის ჩინეთის საზღვრებს გარეთ ვერ ნახავთ. მას შუალედური ადგილი უკავია მწვანე და შავ ჩაის შორის.

ფერმენტული ჩაის ფოთლების ფერმენტაცია ძლიერი გაცხელებით ხდება, ამის გამო მასში შემავალი ცხიმები წყალში იხსნება და ნაყენს მუქ შეფერილობას აძლევს. ფოთოლი კარგავს C ვიტამინის დიდ ნაწილს, ფოსფორს და კალიუმს, სამაგიეროდ იძენს დიდი რაოდენობის გამამხნევებელ ნივთიერებას — ტეინს, რომელიც ტვინის ჟანგბადით მომარაგებას უზრუნველყოფს.

დამუშავების წესისა და ფოთლის ჯიშის მიხედვით, ვიღებთ ჩაის შემდეგ ძირითად სახეობებს:

**თეთრი ჩაი** – ახალგაზრდა ფოთოლი არანაირ ფერმენტაციას არ გადის, მას დაკრეფისთანავე, 24 საათის განმავლობაში ამზადებენ. თეთრ ჩაის მცირე რაოდენობით აწარმოებენ და, როგორც წესი, ყველა სხვა ჩაისთან შედარებით უფრო ძვირი ღირს. თეთრი ჩაი ნაკლებადაა ცნობილი ჩინეთის ფარგლებს გარეთ. ყველაზე ცნობილი სახეობებია: ბაი მუ დანი, ბაი ხაო ინ ჯენი, შოუ მეი.

**მწვანე ჩაი** — ფოთლები თითქმის არ გადის ფერმენტაციის პროცესს. მას დასაწყისშივე აჩერებენ სითბოს მეშვეობით, ორთქლით ან მოხალვით. ფოთლები თავისუფლად შეიძლება გამოშრეს, თუმცა მანამდე დახვევის სხვადასხვანაირი პროცედურები შეიძლება გაიაროს. მწვანე ჩაის დამზადებას, როგორც წესი, დაკრეფიდან 1-2 დღეში ასწრებენ და ჩინური ჩაის ყველაზე დიდი წილი სწორედ მწვანე ჩაიზე მოდის. დაკრეფის შემდეგ ფოთლებს მცირე ხნით აჩერებენ ჰაერზე, შემდეგ კი მსუბუქად აცხელებენ. ჩაის ფოთოლში არსებული ბიოლოგიურად აქტიური, სამკურნალო ნივთიერებები ნაყენში გადადის. მსხვილ ფოთლიანი მწვანე ჩაის 100 გრამის ფასი 7 დოლარიდან იწყება და 700 დოლარს აღწევს.

ყველაზე ცნობილი სახეობებია: ლუნ ძინი, ტაი პინ ხოუ კუი, ინ ჯენი, სიუე ხუა.



**წითელი ჩაი** — ამზადებენ მთლიანად მწიფე, ზრდასრული ფოთლებისგან. დაჟანგვის პროცესი დიდხანს გრძელდება და გამოშრობის შემდეგ საბოლოოდ დაუზიანებელ, მუქ ყავისფერ მთლიან ფოთლებს ვიღებთ. წითელი ჩაი სპეციფიკურად მძაფრი და მდიდარი არომატით გამოირჩევა.

წითელი ჩაი იგივეა, რაც ევროპური ტერმინოლოგიით, შავი. ამ ტიპის ჩაის ჩინელები წითელს ნაყენის ფერის გამო უწოდებენ, ევროპელები კი ჩაის ხმელი ფოთლის გამო შავს უწოდებენ. წითელი ჩაი ფერმენტაციის პროცესს ერთი კვირიდან ერთ თვემდე გადის და ჩაის ფოთოლი თითქმის მთლიანად გაივლის დაჟანგვის პროცესს. რადგან წითელი ჩაი ადვილად უძლებს ტრანსპორტირებას, ევროპელების მასობრივი ზიარება ჩაის კულტურასთან სწორედ წითელ ჩაისთანაა დაკავშირებული. იგი XVII-XVIII საუკუნეებში ნიდერლანდებსა და ინგლისში შეჰქონდათ. ჩაის ყველა ინგლისური სახეობა წითელია, რადგანაც ასამური ჩაი, რომელსაც ინდოეთში აწარმოებდნენ, ჩინურის ალტერნატივად იყო ჩაფიქრებული. ყველაზე ცნობილი სახეობებია: დიან ხუნ მაო ფენი, ნუი ერ ხუნი, ჯენ შან სიაო ჯუნი, ტაი მუ ძინ ხოუ.

**პუერი ანუ შავი ჩაი** — ფერმენტირებული მწვანე ჩაის სახეობაა, რომელსაც, ნაწილობრივი გამოშრობის შემდეგ მიწაში ინახავენ არანაკლებ 10 წლით. სწორედ მიწაში ყოფნისას გადის ფერმენტაციის სრულ პროცესს. ნაყენი მუქი ყავისფერი გამოდის ოდნავ წითელი ტონით. განსაკუთრებით სასარგებლოა კუჭნაწლავის მოქმედების, სისხლის წნევის დარეგულირებისა და ქოლესტერინის დონის კონტროლისთვის.

ეს ყველაზე ღრმა და სრული ფერმენტაციის ჩაია. მისი მომწიფება და დავარგება შეიძლება წლობით გაგრძელდეს, როგორც ელიტური ღვინოებისა. დღესდღეობით ხალხი ძალიან ბევრ ფულს აბანდებს ჩაიში, რომელსაც წლების შემდეგ უფრო დიდი ფულის მოტანა შეუძლია. პუერს უზარმაზარი მატონიზებელი ეფექტი აქვს, გაცილებით მეტი, ვიდრე ყავას, ხასიათდება განუმეორებელი გემოთი და ღრმა, კომპლექსურ დადებით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. ყველაზე ცნობილი სახეობებია: ძინ ხაო პუერი, ე შეენ პუერი, გუნ ტინ პუერი.

**ყვითელი ჩაი** – ასე უწოდებენ მას ნაყენის ფერის გამო და ფორმალურად იგი თეთრ ჩაისთანაც ახლოს დგას და ძალიან სუსტად ფერმენტირებულ ულუნებთან (ულუნი – ნახევრადფერმენტირებული ჩაი. ითვლება, რომ ულუნის ფოთლების მხოლოდ წვერებია ფერმენტირებული, შიდა მხარე კი არაფერმენტირებული რჩება, რაც განაპირობებს მის განსაკუთრებულ არომატს).

მის ტექნოლოგიაში, როგორც ამბობენ, რამდენიმე ისეთი განსაკუთრებული დეტალია, რომლებიც მას ყველა დანარჩენი ჩაისგან გამოარჩევს. მთავარია ნედლეული, რადგან ყვითელი ჩაისთვის არა ფოთლებს, არამედ ჯერ კიდევ გაუშლელ კვირტებს აგროვებენ. ყვითელი ჩაი „მოშუშვის“ პროცესს გადის. ამისთვის ჩაის ფოთოლს ცოტათი შეაშრობენ და შემდეგ რამდენიმე საათით ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





ან რამდენიმე დღით სპეციალურ კალათებში ჩააწყობენ ხოლმე, სადაც იგი „იშუშება" და „ლბება", თან პერიოდულად ან ორთქლით ანოტივებენ, ან აშრობენ. ამის გამო ფერმენტაციის პროცესი განსაკუთრებულად მიმდინარეობს და სწორედ ამიტომაც ხასიათდება იგი განსხვავებული ტონებით.

მართალია, ეს ტექნოლოგია ცვლის ჩაის ფერს, მაგრამ მასზე ნამდვილად არ ითქმის ფერმენტირებული ჩაი (როგორც ულუნზე ან წითელ ჩაიზე), ესაა მხოლოდ მცირედ, ნაწილობრივ ფერმენტირებული ჩაი.

**ყვითელი ჩაის ჯიშები ძალზე ცოტაა. ჩინური ჩაის აურაცხელ, უსასრულო ჩამონათვალში ყვითელი ჩაისთვის მხოლოდ 10 ჯიშია. ყვითელი ჩაი, ამასთანავე, ყველაზე „ჩინურიცაა", მას ძირითადად საიმპერატორო კარზე მოიხმარდნენ და XX საუკუნის დასაწყისამდე მკაცრად იყო აკრძალული ქვეყნიდან მისი გატანა (დამნაშავე სიკვდილითაც კი ისჯებოდა).** ყველაზე ცნობილი სახეობებია: მენ დინ ხუან ია, ძიუნ შან ინ ჯენი.

**ულუნი** – ამ ჩაის ფირუზისფერ ჩაის უწოდებენ. ფერმენტაციას შუა გზაზე აჩერებენ, დაკრეფიდან რამდენიმე დღის შემდეგ, სანამ ფოთოლი გამუქდება. ეს ჩაი ძალზე ძვირფას ჩაიდ ითვლება, საუკეთესოა ჯანმრთელობისთვის და გამორჩეული გემოს გამოც ძვირად ფასობს. ყველაზე ცნობილი სახეობებია: თიე გუანინი, უ ი ჯოუ გუი, ძინ სიუანი.

გარდა ამისა, ჩაის კლასიფიცირება ხდება გარეგნობის მიხედვითაც: ფოთლოვანი, დაფშვნილი, გრანულირებული, დაპრესილი, დაღერღილი, დაფქვილი, ხსნადი და ა. შ.

ჩაისათვის საჭიროა ზომიერად მოდუღებული წყალი. ზედმეტად გადადუღებული წყალი სასმელს აუხეშებს და არომატს უკარგავს.

ასევე არ უნდა გამოვიყენოთ ორჯერ ან მეტჯერ გადმოდუღებული წყალი ჩაის მოსამზადებლად. არც ანადუღარი წყალი შეავსოთ ახალი წყლით.

ჩაი პატარა ყლუპებით უნდა მოსვათ, არ შეუბეროთ სული.

**ყველა ერს საკუთარი ადათ-წესები, ტრადიციები და რიტუალები აქვს. ჩაის დაყენება შემოქმედებითი პროცესია და ამიტომაც ნაყენის გემო დამოკიდებულია ადამიანზე, რომელიც მას ამზადებს.**

**იაპონური** მეთოდით ჩაის მომზადებისას წვრილ ფხვნილად დაფქულ ჩაის (2,5 სუფრის კოვზი ჩაი ნახევარ ლიტრ წყალზე) ათავსებენ გამთბარ ჭურჭელში, ასხამენ დაახლოებით 60 გრადუსამდე გაცხელებულ წყალს და აყენებენ რამდენიმე წუთით. შემდეგ თქვეფენ ქაფის წარმოშობამდე და მიირთმევენ პატარა ფინჯნებით, მცირე ულუფებით.

ჩაის **მონღოლურად** მოსამზადებლად საჭიროა მწვანე ჩაი, მარილი, ფქვილი (შესაძლოა, შეიცვალოს ბრინჯით ან პურის კაკლით), კარაქი (გადამდნარი ქონი), ძროხის (აქლემის) რძე, ხშირად შავი წიწაკის თესლი (თითო თესლი ერთ ჭიქაზე). ჩაის ფქვავენ ფხვნილის მდგომარეობამდე, იღებენ 2-3 სუფრის კოვზის ოდენობით, ათავსებენ თუჯის ჭურჭელში და ასხამენ 1 ლიტრ ცივ წყალს. ჭურჭელს დგამენ ცეცხლზე, ადუღების შემდეგ უმატებენ ნახევარ ლიტრ რძეს, 1 სუფრის კოვზს კარაქს, დაახლოებით 100 გრამ ცხიმთან მოშუშულ ფქვილს, 1/4 ჭიქა მანანს. მიჰყავთ ადუღებამდე და უმატებენ მარილს გემოვნებით.

**თურქმენული** ჩაისთვის საჭიროა შავი ბაიხის ჩაი, აქლემის რძე, ნაღები.

2-3 ლიტრიან ჩაიდანს დგამენ გახურებულ ქვიშაზე. მისი გაცხელების შემდეგ შიგ ყრიან ჩაის (25 გრამი 1 ლიტრ რძეზე), დალბობის მიზნით ამატებენ დაახლოებით 200 გრამ მდუღარე წყალს და ასხამენ ადუღებულ აქლემის რძეს. აჩერებენ 10-15 წუთს, უმატებენ ნაღებს, ანჯღრევენ და ასხამენ ერთ ჭურჭლიდან მეორეში კარგად შერევის მიზნით.

**ტიბეტურად** მომზადებისას 50-70 გრამ მშრალ ჩაის, იაკის კარაქს, რამდენიმე გრამ მარილს ასხამენ 1 ლიტრ წყალს, ურევენ და მიჰყავთ ადუღებამდე, შემდეგ კი თქვეფენ სპეციალურ მოგრძო ჭურჭელში ერთგვაროვანი სქელი მასის მიღებამდე, ის ძალზე კალორიულია და სასარგებლო ძალების სწრაფად აღდგენისთვის.

**უზბეკური** ტრადიციით, წინასწარ გაცხელებულ ფაიფურის ჩაიდანში ათავსებენ მწვანე ჩაის, ამატებენ 1/4-ზე ადუღებულ წყალს, შემდეგ ჩაიდანი იდგმება გახურებულ ღუმელში (და არა ცეცხლზე) 2 წუთის განმავლობაში. შემდეგ ავსებენ ნახევრამდე მდუღარე წყლით და აფარებენ ნაჭერს, 2-3 წუთი აჩერებენ, კიდევ ვავსებთ ჩაიდანს D3/4 მდე, კიდევ 3 წუთის შემდეგ კი — ბოლომდე ავსებენ მდუღარე წყლით.

**პარიზულად** ჩაის მოსამზადებლად საჭიროა შავი ჩაის ნაყენი (135 მლ), ფორთოხლის ახლად გაწურული წვენი (135 მლ), ნახევარი ლიმნის წვენი, ლიმნის ცედრა. ურევენ ჩამოთვლილ კომპონენტებს ჩაისთვის შერჩეულ ჭურჭელში, მიჰყავთ ადუღებამდე და ასხამენ ფინჯნებში, შემდეგ უმატებენ კონიაკს და შაქარს გემოვნებით.

**შვედურად** ჩაის მომზადებისას ერთ ჩაის კოვზ შავ ჩაის ასხამენ მდუღარე რძეს, აჩერებენ 5-6 წუთით ნაყენის დამზადებამდე, აციებენ და ცივად მიირთმევენ.

**ჩაის დამზადების ზოგადი ტრადიციული მეთოდის თანახმად, ჩაის დასაყენებელ მშრალ ჩაიდანს ახურებენ ცხელი ორთქლის ნაკადზე 120 გრადუსამდე, შიგ ათავსებენ შავ ჩაის (1,5 ჩაის კოვზი ერთ ფინჯანზე), ასხამენ მდუღარე წყალს და აჩერებენ არაუმეტეს 3 წუთისა.**

სხვადასხვა ტიპის ჩაისთვის ნორმები განსხვავებულია:

* შავი ჩაისთვის – ერთი სავსე ჩაის კოვზი ერთ ჭიქაზე;
* მწვანე ჩაისთვის – ერთი არასავსე ჩაის კოვზი ერთ ჭიქაზე.

რამდენიმე ულუფის ერთდროულად დამზადების შემთხვევაში, ჩვეულებრივ ნორმას უნდა დაუმატოთ ერთი ჩაის კოვზი ჩაიდანზე. თუ იყენებთ ფოთლისებრ ჩაის, საჭიროა სავსე ჩაის კოვზი, ხოლო ნატეხი ჩაის შემთხვევაში — არასავსე.



მშრალ ჩაის ფოთლებს დაასხით ადუღებული წყალი, ჭურჭლის ზედა კიდიდან დაახლოებით ერთი სანტიმეტრით ქვევით.

სხვადასხვა ტიპის ჩაის დასამზადებლად გამოიყენება განსხვავებული ტემპერატურის წყალი. მწვანე ჩაისთვის გამოიყენება ადუღებული წყალი, რომელიც დუღილის 1 სტადიაზეა, ანუ ესესაა იწყებს დუღილს.

განსაკუთრებული მწვანე და თეთრი ჩაი უმჯობესია დამზადდეს უფრო ნაკლები ტემპერატურის წყლისგან (50-70XC). ულუნის ტიპი უნდა დამზადდეს 80-90XC წყლით, ხოლო შავი ჩაი — 95XC.

დაახურეთ თავი ჩაიდანს და გადააფარეთ ტილოს ხელსახოცი ისე, რომ იგი ფარავდეს ჩაიდნის ცხვირის ნახვრეტს და თავსახურთან არსებულ ნაპრალებს. ამგვარად, არომატიზებული ზეთები შენარჩუნდება.

ჩაი უნდა დამზადდეს საჭირო კონცენტრაციით და ჭიქებში ჩასხმისას არ უნდა გაზავდეს წყლით. მხოლოდ ასე ხდება სასმელის სრული გემოსა და არომატის შენარჩუნება. ჩაი უნდა დალიოთ დამზადებისთანავე (15 წუთის განმავლობაში), ვიდრე გაცივდება.

**მწვანე ჩაი ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორიცაა ღვიძლის ქრონიკული ანთება, დიზენტერია, სისხლის მომატებული წნევა, მწვავე ნეფრიტი.** ჩაი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს (15-30 პროცენტი), ეთეროვან ზეთებს (0,02 პროცენტი), ცილოვან ნივთიერებებს (16-25 პროცენტი), თავისუფალ ამინომჟავებს, ორგანულ მჟავებს, ფერმენტებს, პექტინურ ნივთიერებას, ნახშირწყლებს და ვიტამინებს. განსაკუთრებით მდიდარია იგი C და P ვიტამინებით.

ჩაის კალორიულობა 25-ჯერ მეტია ხორბლის პურთან შედარებით. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, ჩაი შეიცავს სპეციფიკურ ნივთიერებას — თეოტანინს, რომელსაც უნარი აქვს, შეზღუდოს და მოსპოს არა მარტო ლპობის გამომწვევი ბაქტერიები, არამედ სპეციფიკური მიკრობებიც, როგორიც არის დიზენტერიის, ტიფის, პარატიფის ჩხირები, ყვითელი და ოქროსფერი სტრეპტოკოკი. სამეცნიერო კვლევებით დადგენილია, რომ მწვანე ჩაი ყველაზე უკეთ ავლენს ბაქტერიოციდულ თვისებებს.

**მწვანე ჩაი აფერხებს კიბოს განვითარებასაც. შეუძლია, შეამციროს ქოლესტერინის დონე სისხლში. მწვანე ჩაი მდიდარია ვიტამინებით. აღნიშნულის წყალობით იგი არეგულირებს წნევას, ამცირებს ათეროსკლეროზის განვითარების რისკს, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას.**

აღსანიშნავია იაპონელი მეცნიერების აღმოჩენები ჩაისთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ ჩაი ძალზე ეფექტური საშუალებაა სტრონციუმ 90-ით ორგანიზმის მოწამვლისას. ეს მავნე იზოტოპი დიდი რაოდენობით არის რადიაქტიურ ნალექებში, შედის ადამიანის ორგანიზმში არა მარტო რადიაქტიური ჰაერიდან, არამედ რძის პროდუქტებითა და ბოსტნეულით სარგებლობის დროსაც, იგი იწვევს ისეთ ავთვისებიან დაავადებას, როგორიც არის ლეიკემია (სისხლის გათეთრება). ასეთი კატეგორიის ავადმყოფებში, მწვანე ჩაის მიღების შედეგად, აღნიშნული იზოტოპის უდიდესი ნაწილი გამოიდევნება ორგანიზმიდან, რაც დაადასტურა ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა.

**მწვანე ჩაი დადებითად მოქმედებს ადამიანის სისხლძარღვებზე და განსაკუთრებით კაპილარებზე. ის, აგრეთვე, დადებით გავლენას ახდენს სისხლმბად ორგანოებზე და არეგულირებს სისხლის წნევას. ამასთანავე, მწვანე ჩაი უსაფრთხო გასახდომი საშუალებაა. ასე რომ, ხშირად უნდა მივირთვათ ეს მაცოცხლებელი და მატონიზებელი სასმელი.**

რაც შეეხება კოფეინს, მას მწვანე ჩაი მინიმალური რაოდენობით შეიცავს. ჩაის შემადგენლობაში შედის ჩაის კოფეინი ანუ თეინი, რომელიც აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და თავის ტვინის ქერქს, ამაღლებს განწყობილებას, ხელს უწყობს აზროვნებას, ზრდის შრომისუნარიანობას და აუმჯობესებს ორგანიზმის რეაქციას. თეინი არ გროვდება ორგანიზმში, ამიტომ ჩაის არ აქვს გვერდითი მოვლენები.

ამას გარდა, ჩაი ხელს უწყობს ძვლების გამაგრებას, სისხლის წარმოქმნას, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებას. განსაკუთრებით ეფექტურია ასაკოვანი და ხანდაზმული ადამიანებისთვის.

**ჩაი არის ანტიმჟანგავი სასმელების ლიდერი. თავისუფალი რადიკალების გასანეიტრალებლად ჩაი სამჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე ვაშლის წვენი. 2 ფინჯანი ჩაი=1 ჭიქა წითელ ღვინოს=7 ჭიქა ფორთოხლის წვენს=20 ჭიქა ვაშლის წვენს. ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ სასარგებლოა მხოლოდ ახალდაყენებული ჩაი და არამც და არამც ნადგომი.**

მეცნიერები არაერთგვაროვნად აფასებენ ტკბილი ჩაის გავლენას ორგანიზმზე. სტატისტიკურად, იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, სადაც ჩაის ძირითადად უშაქროდ სვამენ, იშვიათად უვითარდებათ ონკოლოგიური დაავადებები. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ეს ძირითადად შავ ჩაის ეხება. მწვანე ჩაის დადებით თვისებებზე კი შაქარი არ ახდენს გავლენას – პირიქით, აძლიერებს სამკურნალო თვისებებს, რადგან უკეთ აითვისება ამ სასმელში არსებული კატეხინები. საერთოდ, დიეტოლოგები ამბობენ, რომ ჯობს, ჩაი ტკბილეულობის გარეშე მიირთვათ.

ცნობილია, რომ ჩაიში არის მნიშვნელოვანი კომპონენტი — კატეხინი, რომელიც ბუნებრივი და ძლიერი ანტიოქსიდანტია. სწორედ ის ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს. კატეხინი ჩაიში მეტია, ვიდრე ხილ-ბოსტნეულის უმრავლესობაში. გარდა ამისა, კატეხინები ანელებს დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. მაგრამ როდესაც ჩაიში რძეს ვამატებთ, ამ უნიკალური სამკურნალო ეფექტის დიდი ნაწილი საერთოდ იკარგება

**თაფლი შაქარზე უფრო სასარგებლოა, მაგრამ ვისაც ცხელი ჩაი უყვარს თაფლით, ის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს.** 40 გრადუსზე მეტი ტემპერატურისას თაფლში მთლიანად ირღვევა მისი ფასეული თვისებები, ხოლო უფრო მაღალ ტემპერატურაზე თაფლი კანცეროგენად გადაიქცევა — მასში არსებული ფრუქტოზა მჟავდება, ამ დამჟავების პროდუქტი კი კუჭში მავნე ნივთიერებებს განავითარებს. ცხელ ჩაიში თაფლის დამატება კატეგორიულად არ არის რეკომენდებული!

**ისევე, როგორც თაფლი ლიმონი ცხელ ჩაიში არ უნდა დაამატოთ.** მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით ლიმონში მთლიანად ირღვევა C ვიტამინი და ბევრი სხვა ფასეული კომპონენტები. თუ გსურთ, ლიმონს სასარგებლო თვისებები შეუნარჩუნდეს, ჩაიში მაშინვე ნუ ჩააგდებთ, ცოტა მოიცადეთ, რომ სითხე ოდნავ შეგრილდეს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მფრინავი ექიმები

**ავსტრალიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც სახლებს შორის დიდი მანძილია.** ამდენად, როცა ადამიანს სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდება, მისთვის დახმარების დროულად აღმოჩენის მიზნით შემოიღეს მფრინავი ექიმების სერვისი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ექიმები ზარის მიღებიდან რამდენიმე წუთში თვითმფრინავების საშუალებით ჩნდებიან ავადმყოფებთან. პირველად ეს სერვისი 1928 წელს ჯონ ფლინის დამსახურებით ამუშავდა. დღეს ამ სამსახურის განკარგულებაში 40 თვითმფრინავია და ყოველ წელს 197 ათას ადამიანს ეხმარება.



# ყველაზე სექსუალური ქალი პოლიტიკოსები

## ალინა კაბაევა, რუსეთი



ალინა კაბაევა 2007 წლიდან რუსეთის დუმის დეპუტატია. ალინა კაბაევას მოპოვებული აქვს ორი ოლიმპიური ოქრო, 14 მსოფლიოო ჩემპიონის მედალი და 25 ევროპის ჩემპიონის მედალი.

## ჯულია ბონკი, გერმანია



ბონკი მემარცხენე პოლიტიკოსია. ის გერმანიის პარლამენტში 18 წლისა აირჩიეს, რის გამოც პარლამენტის ყველაზე ახალგაზრდა წევრია.

## ევა კაილი, საბერძნეთი



ევა კაილი პარლამენტის წევრი იყო და სატელევიზიო ახალი ამბების ყოფილი წამყვანი. გარდა ამისა, იგი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრია.



## მარია კარფანა, იტალია

კარფანა ყველაზე ლამაზ მინისტრად დაასახელეს მსოფლიოში. იტალიის ტელევიზიის ყოფილი მსახიობი და მოდელი პოლიტიკაში 2004 წლიდან მოვიდა.



## ლუსიანა ლეონი, პერუ

ლუსიანა ლეონი პერუელი პოლიტიკოსია. 1993 წლის თებერვალში, 14 წლის გოგონა პარტია აპრისტას ახალგაზრდული ფრთის აღმასრულებელი მდივანი გახდა. 2006 წელს 31 წლის ლეონი პერუს პარლამენტის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა წევრად დაასახელეს.

# რა კლავს ტვინს

**ჩვენი გრძნობები, აზრები, სურვილები, განცდები და მოქმედებები — ყველაფერი ტვინს ემორჩილება. თუ გვინდა, რომ ეს „ცოცხალი კომპიუტერი“ დიდხანს გვემსახუროს და ცხოვრების საუკეთესო მომენტებით ტკბობის საშუალება მოგვცეს, უნდა გავუფრთხილდეთ მას. ამისათვის კი აუცილებლად დაგჭირდებათ იმ ფაქტორების ცოდნა, რომლებიც ტვინს სრულყოფილად მუშაობაში ხელს უშლის.**



### ძილის ნაკლებობა

ტვინში მიმდინარე პროცესების აქტიურად წარმართვა ძილზე დიდად არის დამოკიდებული. ძილის რეჟიმი რეგულარული უნდა იყოს და დღეღამეში 7-8 საათი უნდა ეთმობოდეს. უძილობა ისე მოქმედებს ორგანიზმზე, როგორც ალკოჰოლი — აქვეითებს სიფხიზლეს, რის გამოც მოსალოდნელია ავარიები, ტრავმები და უბედური შემთხვევები. ხშირად უძილობა ნივთიერებათა ცვლაზე უარყოფით გავლენას ახდენს და შედეგად წონის მატებას ვიღებთ.

### სტრესი

სტრესი აქვეითებს მეხსიერებას, სტრესში მყოფი ადამიანი ისეთი საკვებისკენ მიილტვის, რომელიც ასუქებს და მავნებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის. სტრესი ასევე ცუდ არჩევანს გაგაკეთებინებთ კარგსა და ცუდს შორის, სტრესს მიჰყავხართ დეპრესიისკენ. დეპრესიაში მყოფი ადამიანები კი საღად ვერ აზროვნებენ, ყველაფერს მუქ ტონებში ხედავენ და არ შეუძლიათ ყურადღების მობილიზება.

### ქრონიკული ტკივილი

ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილი ან სისუსტე ორგანიზმს სასიცოცხლო ძალებს აცლის. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი კი არ ცხოვრობს, არსებობს. ტვინი სრული ძალებით ვერ მუშაობს.

### გაუწყლოება

მეცნიერებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ გაუწყლოება მეხსიერებას აქვეითებს, ადამიანი დუნდება და პასიური ხდება. ვინც ცოტა წყალს სვამს, თავის ტკივილსაც ხშირად უჩივის.

### კოფეინი

ის ტვინზე უარყოფითად მოქმედებს. ეს სტიმულატორია, რომელიც ტვინის ხელოვნურ აღგზნებას იწვევს, მაგრამ არსებობს ფიზიოლოგიის კანონი: ყველაფერი, რაც ხელოვნურად აღაგზნებს, მერე აუცილებლად გამოიწვევს ძლიერ შეკავებას. როცა სტიმულაციის ეფექტი გაივლის, დაგრჩებათ დაძაბულობა და თავის ტკივილი.

### ურეჟიმო ცხოვრება

მოუწესრიგებელი ცხოვრება ძალიან ნეგატიურად აისახება ტვინის მუშაობაზე. ჩვენი სხეული ციკლების მიხედვით მუშაობს. სხეულის ტემპერატურას, არტერიულ წნევას და ჰორმონალურ ფონს დღეღამის განმავლობაში თავისი ციკლი გააჩნია. ჩვენ რითმზე აწყობილი არსებები ვართ, ამიტომ ისინი, ვინც რეჟიმში ცხოვრობენ, უკეთესი ჯანმრთელობით გამოირჩევიან. ურეჟიმოდ თქვენი სხეული ისეთ მდგომარეობაშია, როგორც აკლიმატიზაციის დროს. ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა, გულმავიწყობა, დაძაბულობა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები — ეს ემუქრებათ ადამიანებს, რომლებსაც დღე და ღამე არეული აქვთ, ჭამათა შორის ინტერვალები — დაუცველი, ძილი — მოუწესრიგებელი.

### ზედმეტი ჭამა

ნეიროპეპტიდები, რომლებიც ტვინის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულნი, საჭმლის მონელებაშიც მონაწილეობენ. ამიტომ კვებისთანავე სამუშაოს ან სამეცადინოს ნუ ჩაუჯდებით. ამ დროს ტვინის ნაწილი საჭმლის მონელებითაა დაკავებული და თქვენი გონებრივი შრომისთვის სრულად „ვერ მოიცლის“.

### ალკოჰოლი და ნარკოტიკები

აქ ყველაზე მეტი რამის თქმა შეიძლება, თუმცა, ალბათ, საჭიროც არ არის. ეს ორი ნივთიერება პირდაპირ აგრესიულ შეტევას ახორციელებს ტვინის უჯრედებზე. არ გირჩევთ ნომერ პირველი ორგანოს ასე გამეტებას.

# სასწაულები, რომლებსაც მეცნიერება ვერ ხსნის

**დავა, რომ რწმენის წყალობით ავადმყოფი განიკურნება, წლების განმავლობაში განხილვის საგანი იყო. ინგლისელი ექთანი ფლორენს ნაითინგეილი, რომელიც მორწმუნე ადამიანი იყო, წერდა, რომ „ხშირად, როდესაც პაციენტი უგონო მდგომარეობაში ყოფილა, ადამიანის ხმა, რომელიც მისთვის ლოცულობდა, ესმოდა“.**



1959 წელს გამოვიდა ფრანკლინ ლოერის წიგნი, სახელწოდებით „ლოცვის ძალა მცენარეებზე“. წიგნში დეტალურად იყო აღწერილი ექსპერიმენტი, რომელშიც ჩართული იყო 150 ადამიანი, 27 000 თესლი და ნერგი. კვლევაში მცენარეები ორ ჯგუფად დაყვეს. როგორც ფრანკლინი ამბობს, მცენარეებმა, რომლებისთვისაც მომვლელები სისტემატურად ლოცულობდნენ, გადარჩენისა და ზრდის უკეთესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე იმ კატეგორიამ, რომლისთვისაც არავინ ლოცულობდა.

1988 წელს ამერიკელმა ექიმმა რანდოლფ ბაირდმა რამდენიმე მორწმუნე ქრისტიანი შეკრიბა, რათა სანფრანცისკოს კორონალური თრომბოზის სამკურნალო დაწესებულების გარეთ 400 პაციენტისთვის ელოცათ. **„შედეგი ცხადყოფს, რომ შუამავალ მლოცველს სასარგებლო თერაპიული ეფექტის მოხდენა შეუძლია პაციენტზე, რომელსაც გულის ინტენსიური მკურნალობა სჭირდება“**, — განაცხადა ექიმმა სამედიცინო ჟურნალ Southern Medical Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

2007 წელს არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს, სისტემურად მიმოეხილათ ყველა ლიტერატურა, რომელიც ლოცვის ეფექტზე იყო აგებული. კვლევა, რომელიც 17 გამოქვეყნებულ ნაშრომზეა დაფუძნებული, ადასტურებს, რომ „პაციენტებს, რომელთა ჯანმრთელობისთვისაც ადამიანები ლოცულობდნენ, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყოთ“.

# ძაღლებმა და კატებმა მილიარდის ღირებულების ციფრული ტექნიკა «შეჭამეს»



**ევროპაში შინაურმა ცხოველებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 2,1 მილიარდი ევროს ღირებულების ციფრული ტექნიკა „შეჭამეს“.**

აღმოჩნდა, რომ ადამიანის ოთხფეხა მეგობრები ტექნიკის ნამდვილი გამანადგურებლები არიან. ძაღლები და კატები დაუნდობლად ღეჭავენ და აზიანებენ ტელეფონებს, ნოუთბუქებს, პლანშეტებს... დაზიანების მთავარი მიზეზი ისაა, რომ ცხოველებს ეს მოწყობილობები თავიანთი სათამაშოები ჰგონიათ და ღრღნიან, თუმცა ხშირია მათზე გადარბენისა და სითხის დაქცევის ფაქტებიც.



### ბერი, რომელიც ნაკვალევს ტოვებს

**ჩინელი ბერი ჰუაჩი ბოლო 20 წლის განმავლობაში ყოველდღე ლოცულობს. შედეგად, იმ ადგილას, სადაც დღეში უამრავჯერ დგება, ხის იატაკზე მისი ფეხის ანაბეჭდი გაჩნდა. ბერის ნაკვალევი ქალაქ ტუნჟენის მონასტერშია. ის ბოლო 20 წლის განმავლობაში ტაძარში ყოველდღე, მზის ამოსვლამდე მიდის. ახალგაზრდობაში დღეში 2000-3000-ჯერ ლოცულობდა.** „ახლა უკვე მოვხუცდი და დღეში მხოლოდ 1000-ჯერ ვლოცულობ. ზოგჯერ, ზამთარში 500-ჯერაც“, — ამბობს იგი. ჰუაჩის წყალობით, მონასტერში ბევრი ახალგაზრდა მიდის. როგორც ისინი ამბობენ, ჰუაჩი მათთვის მისაბაძი მაგალითია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისტორიული წინასწარმეტყველებები, რომლებიც რეალობად იქცა

**ისტორიის მანძილზე მომხდარა შემთხვევები, როდესაც ადამიანებს თავისი შორსმჭვრეტელობით მსოფლიო გაუოგნებიათ. ბევრი წინასწარმეტყველება, თავის დროზე, სავარაუდოდ, ძალიან სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ დღეისთვის ჩვენი რეალობის ნაწილად იქცა.**




**უკაბელო მოწყობილობები**

1909 წელს სერბ-ამერიკელმა გამომგონებელმა, ელექტრიკოსმა, მექანიკურმა ინჟინერმა და ფუტურისტმა ნიკოლა ტესლამ იწინასწარმეტყველა, რომ მალე შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მასშტაბით უკაბელო მოწყობილობებზე გადაგვეგზავნა ერთმანეთისთვის შეტყობინებები. მისი წინასწარმეტყველებიდან რამდენიმე ათწლეულში უკაბელო მოწყობილობები რეალობად იქცა.

**ინტერნეტი**

მწერალმა ი. მ. ფოსტერმა ინტერნეტის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ დაწერა, როდესაც ინტერნეტის იდეაც კი არ არსებობდა. 1909 წელს დაწერილ მოთხრობაში „მანქანა ჩერდება“ ფოსტერი წერს: „იქ იყო ღილაკები და გადამრთველები — ღილაკები იმისთვის, რომ საკვები გამოგეძახებინა, მუსიკა ჩაგერთო, ტანსაცმელი შეგეძინა. იქ იყო ღილაკი, რომელიც ლიტერატურასთან წვდომას გაძლევდა. და იქ, აგრეთვე, იყო ღილაკი, რომელიც მეგობრებთან კომუნიკაციის საშუალებას იძლეოდა“.

**ორგანოების გადანერგვა**

XVII საუკუნეში ანგლო-ირლანდიელმა ფილოსოფოსმა, ქიმიკოსმა, ფიზიკოსმა და გამომგონებელმა რობერტ ბოილმა იწინასწარმეტყველა დაავადებების ტრანსპლანტაციით განკურნების მეთოდი. ამის მტკიცებულება 1660-იანი წლების მისივე ხელნაწერებშია აღმოჩენილი.

**ტიტანიკის ჩაძირვა**

ძალიან დიდია მსგავსება ტიტანიკის ისტორიასა და მორგან რობერტსონის ნოველას „ამაოება, ანუ ტიტანის დაცემა“ შორის. ნოველაში რობერტსონი ყვება გამოგონილი გემის შესახებ, რომელიც საოცრად წააგავს რეალურ ტიტანიკს. ორივე მოიაზრებოდა ჩაუძირავად, ორივეს მსგავსი სახელები ჰქონდათ, ორივე იდენტური პროპელერებით იყო აღჭურვილი, ორივე აისბერგს შეეჯახა აპრილის ღამეს, ორივე შემთხვევაში მაშველი ნავების სიმცირე იყო, ორივე გემი ჩაიძირა და მგზავრების ნახევარზე მეტი იმსხვერპლა. ნოველა კი რეალურ მოვლენამდე თოთხმეტი წლით ადრე იყო დაწერილი.

**ტელევიზია და მობილური ტელეფონები**

ადამიანებს გამუდმებით აინტერესებთ თავიანთი მომავალი. 1000 წელს ინჟინერმა მისტერ უოტკინსმა დაწერა წერილი სახელწოდებით „რა შეიძლება მოხდეს მომავალ ათას წელიწადში“. მან დაწერა, რომ ადამიანებს დედამიწის მთლიანად მოვლის საშუალება ექნებათ, ადამიანები და ნივთები კამერის ფოკუსში აღმოჩნდებიან, რომელიც ელექტრონულად იქნება დაკავშირებული ეკრანთან და რეალური მოქმედებიდან დიდი მოშორებით შეგვეძლება დანახვა, თუ რა ხდება სხვადასხვა ადგილას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ტელევიზია გამოიგონეს, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი — მობილური ტელეფონი.



# Abraj Kudai — ყველაზე დიდი სასტუმრო



**მსოფლიოში ყველაზე დიდი სასტუმრო მექაში აშენდება. მასში 10 000 ნომერი და 70 რესტორანი განთავსდება. მშენებლობა 2017 წელს დასრულდება.** იგი სტუმრებს უპრეცედენტო დონის მომსახურებას შესთავაზებს. სასტუმროს Abraj Kudai ერქმევა და მისი მშენებლობა დაახლოებით 3,6 მილიარდი დოლარი დაჯდება. 45-სართულიანი შენობა უდაბნოს ციხესიმაგრის სტილში აშენდება. სასტუმროს ხუთი სართული გამუდმებით დაჯავშნილი იქნება საუდის არაბეთის სამეფო ოჯახისთვის.

**ხშირად არათუ იმპორტირებული, ადგილობრივი პროდუქციაც პესტიციდებითა და ნიტრატებითაა გაჟღენთილი, მაგრამ არსებობს რამდენიმე ხერხი, როგორ უნდა შევამციროთ ხილ-ბოსტნეულში ამ საშიში ნივთიერებების რაოდენობა.**

# როგორ გავასუფთავოთ ხილ-ბოსტნეული ნიტრატებისგან

**კომბოსტოში ნიტრატები ყველაზე დიდი რაოდენობით გარეთა ფურცლებსა და მკვრივ გულშია კონცენტრირებული, ამიტომ ეს ნაწილები უნდა მოაჭრათ.**

**კარტოფილში** ქიმიური ნივთიერებები კანქვეშ და ბოლქვის შუაგულში გროვდება. ამიტომ წამოდუღებისთანავე წყალი გამოუცვალეთ. კერძებში კი უმჯობესია წინასწარ წამოდუღებული კარტოფილის ნაჭრები ჩაყაროთ.

**კიტრი ღია მწვანე ფერის უნდა იყოს, თუ ძალიან მუქი შეფერილობა აქვს, ეს ნიტრატების მაღალ შემცველობაზე მიანიშნებს. ყაბაყსა და ბადრიჯანს კი კანი მოაცილეთ და ამოაჭერით თესლები — ეს მავნე ნივთიერებების ბუდეა.**

**მწვანილი** ყველაზე უხვად ითვისებს ნიტრატებს და ამიტომ გამოყენებამდე ერთი საათის განმავლობაში გამდინარე წყალში უნდა იდოს.

**პომიდვრის** ყიდვისას დააკვირდით კანის სისქეს — რაც უფრო სქელია პომიდვრის კანი, მით მეტ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს. არ შეიძინოთ მონარინჯისფრო ნაყოფი, რაც უნდა იაფი ღირდეს. გამყიდველს აუცილებლად გააჭრევინეთ პომიდორი და, თუ შიგნით მოთეთრო რბილობი და სქელი ძარღვები შენიშნეთ, ესე იგი, დიდი რაოდენობით შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს. თუ მხოლოდ შინ მიტანისას აღმოაჩინეთ ეს, ამ შემთხვევაში, პომიდორი ერთი საათით გააჩერეთ ცივ წყალში.

**სტაფილოს, ჭარხლის, ბოლოკისა** და სხვა ბოლქვიანი მცენარეების თავი და დაბოლოება ნიტრატების ნამდვილი ბუდეა. გამოყენების წინ ეს ნაწილები მოაჭერით. სტაფილოს ერთი სანტიმეტრის სიმაღლეზე აუცილებლად მოაცილეთ წვეტი, გამწვანებული უბნებიც უნდა მოაჭრათ.

**ყურძენს** შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად ნივთიერება ფუნგიციდით ამუშავებენ. ეს ნივთიერება რომ მოვაცილოთ, ამისათვის სოდიან წყალში უნდა გავრეცხოთ, შემდეგ კი სუფთა წყალი გადავავლოთ. საერთოდ, ნებისმიერ ხილ-ბოსტნეულს მოუხდება სოდაში გარეცხვა.

**საზამთროს** ყიდვისას, პირველ რიგში, უარი თქვით ტრადიციაზე და არასოდეს გააჭრევინოთ საზამთრო გამყიდველს. ეს ბაქტერიების გამრავლების შესანიშნავი წყაროა. თუ ძალიან მსხვილი და ოდნავ მოყვითალო კურკები აქვს, ესე იგი ქიმიურად არის გამდიდრებული. შეგიძლიათ, მარტივი ტესტიც ჩაატაროთ — საზამთროს რბილობი ერთი წუთით წყლით სავსე ჭიქაში მოათავსეთ. თუ წყალმა ფერი შეიცვალა, ესე იგი ქიმიურ ნივთიერებებს შეიცავს; თუ წყალი მხოლოდ აიმღვრა, — სუფთაა.





**თუ ვაშლისა და მსხლის ხელში აღებისას გრძნობთ, რომ მეტისმეტად გლუვი და სრიალა კანი აქვს, ესე იგი, იერსახის შესანარჩუნებლად დიფენილომით დაამუშავეს. აშშ-სა და ევროკავშირში დიფენილომი ძლიერი კანცეროგენული და ალერგიული შემადგენლობის გამო აკრძალულია. ასეთი ხილი გაუთლელად არ უნდა მიირთვათ.**

ეცადეთ, არც თვითონ მიირთვათ და, რაც მთავარია, არ შესთავაზოთ ბავშვებს ხილ-ბოსტნეული, რომელთა ბუნებრივი მწიფობის სეზონი ჯერ არ დამდგარა.

**ყველაზე დაბინძურებული ხილ-ბოსტნეული მსოფლიოს ბაზრებზე თურქეთიდან, ჰოლანდიიდან, ისრაელიდან და ეგვიპტიდან ხვდება. მათი მიწა საკმაოდ მწირია და ქიმიური დამუშავების გარეშე მდიდარ მოსავალს არ იძლევა.**

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. ქალაქი საბჭოთა დასავლეთ უკრაინაში
2. ფაბა ქარელის მუნიციპალიტეტში
3. ყაზახეთის დედაქალაქი
4. ლუდის ობი
5. ბრაზილიელი მოდელი ადრიანა ...
6. ანტილოპას სახეობა
7. მუს. ნოტი
8. კუნძულოვანი სახელმწიფო აფრიკის სამხრეთით
9. საფარი, ფენა
10. ფრანგი მხატვარი ედგარ ...
11. ჯაზის მომღერალი ... ჯერო
12. ერთგვარი ნამცხვარი
13. სომხური საკრავი
14. ზღვრის გრაფიკული გამოსახულება
15. ბაკნიანი ქვეწარმავალი
16. მდინარე იტალიაში
17. მწვავე ინფექციური დაავადება
18. ტაძარი ფუარლის რაიონში
19. სტადიონი ვალენსიაში
20. ფრანგი მსახიობი ... მონტანი
21. საჩხერის თემში
22. ინგლისის საფეხბურთო კლუბი
23. მაგარი, მყარი
24. უსიერი ტყე
25. დიდი რუსი მეფე
26. მარადმწვანე სუბტროპიკული ხე ან ბუჩქი
27. მომღერალი ... ჩარლზი
28. ესპანური მაგარი ღვინო
29. შტატი აშშ-ში
30. ისტორიკოსი ... ლორთქიფანიძე
31. ახალი წელი გურიაში
32. ფრანგი მომღერალი პატრიცია ...
33. ფეხბურთელი ალექსანდრე ...
34. ფრანგი მწერალი გი ... მოპასანი
35. ფულის ერთეული ბირმაში
36. სამეურნეო იარაღი
37. სოფელი თუშეთში
38. ქართული ღვინო
39. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში
40. კარაქისგან დამზადებული პროდუქტი
41. მადრიდის სამეფო კლუბი
42. მდიდრული სასახლე
43. სახელგანთქმული [illegible]
44. ესტონეთის დედაქალაქი
45. სპექტაკლი „... დაიხოცნენ, მერე იქორწინებს"
46. იტალიელი პოეტი ... ალიგიერი
47. პრინცესა დაიანა — ლედი ...
48. მსახიობი ... ტაილერი
49. ინგლისელი მსახიობი [illegible] ...
50. ფიოდორ დოსტოევსკის რომანი
51. ნაბიჯი ცეკვაში
52. ფრანგული საფეხბურთო კლუბი
53. სახოტბო შეძახილი ღვთისმსახურებაში
54. წესის დარღვევა კალათბურთში
55. ალადინის მაიმუნი
56. ერთი შემსრულებლის კონცერტი
57. პატარა ტანის ცხენი
58. დონ კიხოტის ცხენის სახელი
59. ...-კლარჯეთი
60. ისტორიული რეგიონი ჰიმალაის მთებში
61. პიროვნების დახასიათება, აღწერა
62. „ფოლკსვაგენის" მოდელი
63. განსაკუთრებული ნიჭი





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 9 | 8 | | | |
| | 7 | 6 | 5 | | | 1 | | |
| 5 | 9 | 8 | | | | | | |
| | | | | | 7 | | | 9 |
| | 8 | 4 | | 1 | | 5 | 7 | |
| 9 | | | 8 | | | | | |
| | | | | | | 6 | 1 | 7 |
| | | 1 | | | 3 | 9 | 5 | |
| | | | 7 | 4 | | | 2 | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 8 | 4 | 3 | | | |
| 3 | | | | 7 | 6 | 9 | | |
| | 8 | | 2 | | | 6 | | |
| 4 | | | | | | 2 | | |
| 8 | | | | 2 | | | | 4 |
| | | 1 | | | | | | 7 |
| | | 4 | | | 9 | | 7 | |
| | | 9 | 6 | 8 | | | | 5 |
| | | | 4 | 5 | 2 | | 6 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 4 | |
| | | 7 | 2 | | 3 | | | |
| | | | | | 9 | 8 | | 1 |
| | | 4 | | 8 | 7 | | 6 | |
| 9 | | | | 3 | | | | 2 |
| | 5 | | 9 | 2 | | 3 | | |
| 6 | | 3 | 5 | | | | | |
| | | | 4 | | 1 | 9 | | |
| | 7 | | | | | | | |

**ამ პერიოდში მოსალოდნელია პოზიტიური ძვრები კომერციისა და ტურიზმის სფეროებში. წარმატებას მიაღწევენ ვერძისა და ტყუპის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**10 – 16 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ეს პერიოდი ისეთი დატვირთული იქნება მოვლენებით, რომ ნორმალურად დასვენების საშუალება არ მოგეცემათ. წარმატებები სიხარულს მოგგვრით, თუმცა ნერვიულობაც ბევრჯერ მოგიწევთ.

ბევრი რამის შეცვლას მოისურვებთ, როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში. მოინდომებთ დიდძალი ფულის გამომუშავებას, მაგრამ უნდა დაფიქრდეთ — ღირს კი ფულის გამო რეპუტაციის შელახვა?

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთმინებით მოეკიდეთ მის ნაკლოვანებებს.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე და დაიცავით კვების რეჟიმი!

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 11 ივნისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

მოგიწევთ უძრავი ქონების საკითხების გადაწყვეტა. სამსახურში ყურადღება გაამახვილეთ დეტალებზე — სწორედ ასე მიაღწევთ დასახულ მიზნებს.

კოლეგებთან, ბიზნესპარტნიორებსა და იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ერთობლივ ფინანსურ საქმიანობას ეწევით, პოზიციები უნდა შეაჯეროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ შემოსავალს, როგორსაც ელით, ვერ მიიღებთ.

ამ პერიოდში მაღალია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების ალბათობა.

თუ შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, კარგი იქნება, თუ გამოკვლევებს ჩაიტარებთ და იმკურნალებთ.

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე 16 ივნისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

მოგეცემათ შესაძლებლობების გამოყენების შანსი, რომელიც კარიერაში წინსვლის საწინდარი იქნება. გაითვალისწინეთ ახლობელთა რჩევები და დასახულ მიზნებს უფრო სწრაფად მიაღწევთ.

არ ჩაერიოთ ახლობლებისა თუ კოლეგების კონფლიქტში — ამით რეპუტაციას შეილახავთ.

მარტოხელა ტყუპებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც დაქორწინებას გადაწყვეტენ.

ჩაიტარეთ ღვიძლისა და სისხლის გაწმენდის პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივნისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო დასვენება დაგჭირდებათ და კარგი იქნება, თუ შვებულებას აიღებთ, თუ ამის შესაძლებლობა არ გაქვთ, საპასუხისმგებლო საქმეების დასრულების ვადა რამდენიმე დღით გადასწიეთ.

მოაწესრიგეთ მიმდინარე საფინანსო საქმეები — დააბრუნეთ ვალები, გადაიხაhდეთ გადასახადები და გააანალიზეთ შემოსავალ-გასავლები.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — ბავშვებს.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივნისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

თუ ყველა ნაბიჯს კარგად აწონ-დაწონით და, ამასთანავე, გულმოდგინედ იმუშავებთ, წარმატება არ დააყოვნებს, რაც თქვენს შემოსავლებზეც აისახება, ამიტომ გამოავლინეთ ინიციატივა და გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ მისი მოთხოვნები და შეეცადეთ, სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყოთ — წაიყვანოთ სამოგზაუროთ ან წვეულებაზე.

შეიძლება შეგექმნათ საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემა, ამიტომ დაიცავით კვების რეჟიმი და ნუ მიიღებთ ცხიმიან საკვებს.

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივნისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

წარმატება ელით იმ ქალწულებს, რომლებსაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ უცხოელებთან — ერთობლივი პროექტები წარმატებით დასრულდება და ქალწულებს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება მიეცემათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის შენიშვნებს გაითვალისწინებთ და ერთად მეტ დროს გაატარებთ.

გაფრთხილდით ელექტრომოწყობილობებსა და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 13 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივნისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

ამ პერიოდში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. მაღალია კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან უთანხმოების ალბათობა, ამიტომ თავი შეიკავეთ კრიტიკული გამონათქვამებისგან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. დაქორწინებულმა სასწორებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას.

უარი თქვით ცხიმიან საკვებზე და ფიზიკურად დაიტვირთეთ — ბუნების წიაღში ისეირნეთ ან შეასრულეთ მსუბუქი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 10 ივნისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

თუ ემოციებს არ მოთოკავთ და აგრესიას გამოავლენთ, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება როგორც კოლეგებთან, ისე ოჯახის წევრებთან.

სამსახურში წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ საქმის ყველა დეტალს ზედმიწევნით შეისწავლით.

საყვარელი ადამიანი გრძნობების გულწრფელობაში რომ დაარწმუნოთ და ურთიერთობაში ჰარმონიას მიაღწიოთ, ყველაფერი უნდა უამბოთ თქვენი პრობლემების შესახებ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 12 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივნისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

ფარული რეზერვების გამოვლენის პერიოდია. თქვენი მონდომებისა და მუხლჩაუხრელი მუშაობის წყალობით ბევრი რამ ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ. წარმატებები კი ახალი მიზნების განხორციელებისკენ გიბიძგებთ.

თუ წარსულში საყვარელ ადამიანთან უთანხმოება შეგექმნათ, ეს თქვენი ბრალი იქნებოდა, რადგან ემოციებს ვერ მოთოკავდით, მაგრამ ახლა დაშვებული შეცდომის გამოსწორების შანსი მოგეცემათ და ხელიდან არ გაუშვათ.

ნუ მიიღებთ ბევრ სითხეს, აგრეთვე, მლაშე და ცხარე კერძებს!

**დადებითი დღე: 16 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 13 ივნისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

არასტაბილური პერიოდია. მოგიწევთ ნერვიულობა სხვადასხვა მიზეზის გამო, განსაკუთრებით — პროფესიულ სფეროში. შეეცადეთ, დროულად დაასრულოთ ხელმძღვანელობის მიერ დავალებული საქმე და კორექტულობა დაიცვათ კოლეგებთან.

თხის რქები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიპყრობენ და შესაძლოა, მგზნებარე რომანიც გააჩაღონ.

თქვენს ნერვულ სისტემაზე შესანიშნავად იმოქმედებს ფიზიკური დატვირთვები, ამიტომ შეეცადეთ, ივარჯიშოთ და მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 13 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 11 ივნისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

თქვენი ენერგია თანამშრომლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ მიმართეთ, რადგან მათი მხარდაჭერა ძალიან წაგადგებათ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

მარტოხელა მერწყულებისთვის რომანტიკული შეხვედრებისა და სასიყვარულო ინტრიგების პერიოდია.

ახალგაცნობილ საწინააღმდეგო სქესის ადამიანთან ურთიერთობა, შესაძლოა, ქორწინებითაც დასრულდეს.

იგრძნობთ ფიზიკურ დაღლილობას, რომელიც დაძაბული სამუშაო გრაფიკითა და კვების არასწორი რეჟიმით იქნება გამოწვეული.

იმუნიტეტის ასამაღლებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 11 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 16 ივნისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

ამ პერიოდში შეგექმნებათ პრობლემები, რომლებიც სასწრაფოდ გადასაწყვეტი იქნება, წარმატება კი დამოკიდებულია თქვენს მოხერხებულობასა და გაბედულებაზე. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეს, სჯობს, უკვე დაწყებული დაასრულოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოთმინება გამოიჩინეთ, კამათმა შეიძლება უთანხმოებამდე ან სულაც კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

იმ თევზებმა, რომლებსაც ენდოკრინული სისტემის პრობლემა აქვთ, საკონსულტაციოდ ექიმს უნდა მიმართონ და პროფილაქტიკური პროცედურები ჩაიტარონ.

**დადებითი დღე: 10 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 15 ივნისი.**



# ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი წლის ბოლოს გაიხსნება

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ვახტანგ კაპანაძის ინფორმაციით, ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი ვაზიანში, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის გაიხსნება.**

„საწვრთნელი ცენტრის მიმართულებით ნატოსთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. მე ვერ ვხედავ რაიმე ხელისშემშლელ პირობას, რომ რაც შეიძლება ჩქარა არ დავიწყოთ აღნიშნულის განხორციელება. უკვე გამოყოფილია ოფისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სადაც დაჯდება ის ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ მიმართულებით. შერჩეულია პიროვნებები, რომლებიც საბოლოო ფორმას მისცემენ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას. თავისთავად შერჩეულია ადგილი და ჩვენ არა მხოლოდ მივყვებით გეგმას, არამედ ვაჩქარებთ კიდეც მას“, — განაცხადა კაპანაძემ.

გენერალური შტაბის უფროსი დარწმუნებულია, რომ ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი, რომლის გახსნის გადაწყვეტილება უელსის სამიტზე მიიღეს, „ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იქნება საქართველოსა და ნატოს თანამშრომლობაში“.

# ახალი პანთეონი, სავარაუდოდ, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის შიგა სივრცეში მოეწყობა



**თბილისის საკრებულოს სხდომაზე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი დახურულად გამოცხადდა.**

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ოფიციალურად დახურვაზე მერიამ საკრებულოს მიმართა.

„ეს ჩვენი დედაქალაქისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია, ამიტომ სამ თვეზე მეტია, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა შეირჩეს პანთეონის ადგილი, რომელიც ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს ქალაქს. პანთეონი არ არის მხოლოდ დასაკრძალი ადგილი, არამედ ერთ-ერთი კულტურული გარემო და სივრცეა, რომელსაც თავისი ფუნქცია და მნიშვნელობა ექნება წლების განმავლობაში“, — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

ალიბეგაშვილის თქმით, პანთეონი, სავარაუდოდ, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის შიგა სივრცეში მოეწყობა.

# თურქეთის პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა

**პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მმართველმა პარტიამ გასულ კვირას გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად საპარლამენტო უმრავლესობა დაკარგა და ქვეყანაში ახალი კოალიციური მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს, ამიტომ თურქეთის პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა.**

მოსალოდნელია, რომ ერდოღანმა მთავრობის ახალი კაბინეტის ფორმირება დაავალოს პარტია „სამართლიანობისა და განვითარების“ ლიდერს — აჰმეთ დავუთოღლუს, რომელიც მინისტრთა კაბინეტს 2014 წლის აგვისტოდან ჩაუდგა სათავეში.

ოპოზიციური პარტიები არ აპირებენ შეთანხმებას მმართველ პარტიასთან და შეეცდებიან, შეამცირონ ერდოღანის გავლენა მთავრობაზე.



# სააკაშვილი: ქართველმა «კანონიერმა ქურდებმა» ოდესაში «რაზბორკა» მომიწყვეს



**ადგილობრივმა ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ „რაზბორკა“ მომიწყვეს — ამის თაობაზე ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინულ მე-5 არხთან ინტერვიუში განაცხადა.**

„მე ეს ბრძოლა უკვე გავიარე საქართველოში. რაღაც უკვე დეჟა ვიუ მაქვს. აქ ვიღაც ადგილობრივმა ქართველი ეროვნების კანონიერმა ქურდებმა ,,რაზბორკა“ მომიწყვეს. მესმის, რომ ეს მხოლოდ ჩემთვის არ იყო გამიზნული, ისინი მსგავს რაღაცებს აქ ხშირად აწყობენ. იგივე ხდება ე.წ. ბესარაბიულ იდეაზე (ბესარაბიის მხარის კულტურული ავტონომიის შესახებ), ამასაც ქართველები აძლევენ ბიძგს, რომლებიც საქართველოდან ჩამოვიდნენ და, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას გრუ და ეფ-ეს-ბე უკეთებს ინიცირებას“, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, თბილისი ძალიან ჰგავს ოდესას, რადგან ორივე გრაფი ვორონცოვის აშენებულია, ,,თუმცა ოდესაში ქუჩები უფრო ფართოა,“ — დასძინა მან.

# ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის სახლს მოლოტოვის კოქტეილი ესროლეს

**ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის, მარტინ სტროპნიცკის სახლს მოლოტოვის კოქტეილები დაუშინეს. თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა.**

ინციდენტის დროს მინისტრი სახლში არ იმყოფებოდა. მან მოგვიანებით განაცხადა, რომ თავდასხმა, სავარაუდოდ, ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ რადიკალურად განწყობილი ჯგუფების წარმომადგენლებმა განახორციელეს.



როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, თავდაცვის მინისტრმა აქამდე მუქარის არაერთი შეტყობინება მიიღო.

# 30-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ფოტოებზე: ლადო გუდიაშვილი; ეიფელი; პაბლო პიკასო.1. ოდესა; 2. აგარა; 3. ასტანა; 4. პკე; 5. ლიმა; 6. გნუ; 7. ლა; 8. მადაგასკარი; 9. გარსი; 10. დეგა; 11. ელ; 12. ტერამისუ; 13. ლირა; 14. ასო; 15. კუ; 16. პო; 17. მალარია; 18. გრემი; 19. მესტალია; 20. ივ; 21. პინა; 22. არსენალი; 23. მტკიცე; 24. უღრანი; 25. პეტრე; 26. ფეიხოა; 27. რეი; 28. ხერესი; 29. აიოვა; 30. მარიკა; 31. კალანდა; 32. კაასი; 33. იაშვილი; 34. დე; 35. ჯა; 36. ცელი; 37. შატილი; 38. მანავი; 39. ანგოლა; 40. ერბო; 41. რეალი; 42. ვილა; 43 ასი; 44. ტალინი; 45. ჯერ; 46. დანტე; 47. დი; 48. ლივ; 49. ბუტი; 50. იდიოტი; 51. პა; 52. ნანტი; 53. ოსანა; 54. გარბენი; 55. აბუ; 56. სოლო; 57. პონი; 58. როსინანტი; 59. ტაო; 60. ტიბეტი; 61. პორტრეტი; 62. პასატი; 63. ტალანტი.

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 2 | 4 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 4 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 9 | 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 4 | 2 |
| 1 | 3 | 5 | 2 | 6 | 7 | 4 | 8 | 9 |
| 2 | 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 5 | 7 | 6 |
| 9 | 6 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 |
| 8 | 4 | 3 | 9 | 2 | 5 | 6 | 1 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 8 | 3 | 9 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 2 | 3 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 6 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 3 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 1 | 8 | 7 | 2 | 9 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 7 | 5 | 9 | 3 | 8 | 2 | 1 | 6 |
| 8 | 6 | 3 | 7 | 2 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 9 | 2 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 | 8 | 7 |
| 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 4 | 3 | 5 |
| 7 | 3 | 8 | 4 | 5 | 2 | 1 | 6 | 9 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 4 | 7 | 2 | 1 | 3 | 6 | 9 | 5 |
| 3 | 6 | 5 | 7 | 4 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 4 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 9 |
| 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 |
| 7 | 5 | 6 | 9 | 2 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 6 | 9 | 3 | 5 | 7 | 2 | 1 | 8 | 4 |
| 5 | 8 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 3 | 7 |
| 4 | 7 | 1 | 3 | 9 | 8 | 2 | 5 | 6 |


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894